N 6 2020

# მასწავლებელი

მასწავლებელთა
პროფესიული
განვითარების
ეროვნული
ცენტრი

ISSN 1987-6149

ძვირფასო მასწავლებლებო!

ჟურნალი „მასწავლებელი“ და ინტერნეტგაზეთი „Mastsavlebeli.ge“ წარმოგიდგენთ

## მასწავლებლის წიგნს:
## „სხვა გაკვეთილების ცხრილი“



# მასწავლებელი

№6(67) 2020

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

**მთავარი რედაქტორი:**
ნატო ინგოროყვა

**რედაქტორები:**
მანანა ბოჭორიშვილი,
ნანა მაჭავარიანი

**რედკოლეგია:**
ბერიკა შუკაკიძე,
მანანა რატიანი,
მარიკა სიხარულიძე,
ნათია ნაცვლიშვილი

**სტილისტი:**
ირმა ტაველიძე

**დიზაინი:**
ბესიკ დანელია

**მხატვარი:**
მამუკა ტყეშელაშვილი

**კორექტორი:**
ქეთევან ნიკოლეიშვილი

**ნომერზე მუშაობდნენ:**
თამთა კობახიძე, მაია ფირჩხაძე,
ქეთევან ოსიაშვილი,
მაია ჯალიაშვილი, გიორგი ჭაუჭიძე,
ლევან ალფაიძე, მარიამ გოდუაძე,
თამთა დოლიძე,
თინათინ ზარდიაშვილი,
მალინა საჯაია, ირმა კახურაშვილი,
ქეთევან კობალაძე,
ნასტასია არაბული, ნესტან რატიანი

**საკონტაქტო ინფორმაცია:**
მასწავლებელთა პროფესიული
განვითარების ეროვნული ცენტრი.
მისამართი:
თბილისი, სანდრო ეულის ქ. 5,
ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი: FuturaBook Geo. ავტორი: კობა კურტანიძე.
ყველა უფლება ეკუთვნის ავტორს.



ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.



ISSN 1987-6149 UDC 371.1  მ-374

WWW.TPDC.GE

## ნატო ინგოროყვა

ეს ჟურნალ „მასწავლებლის“ 2020 წლის ბოლო ნომერია. რთული, სახიფათო და მაინც საინტერესო წლის.

შემეძლო, მესაუბრა იმაზე, რომ ამ სასწავლო წელს ყველა მასწავლებელი გმირია და მომეთხრო ამ გმირობის რამდენიმე თვალსაჩინო ისტორია.

მესაუბრა COVID-19-ით გარდაცვლილ მასწავლებლებზე.

ასეც დავიწყე ამ წერილის წერა. ვწერდი იმაზე, რომ...

ვწერდი და ვშლიდი.

ბოლოს გადავწყვიტე, დამეტოვებინა რამდენიმე წინადადება, რომელთა მიღმა, სიტყვების დერეფნებში, ისედაც ბევრი ამბავი წაიკითხება.

მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს მფლობელი ლადო აფხაზავა ყვავილებს ახარებს და ყიდის, რომ მოსწავლეებს ინტერნეტის საფასური გადაუხადოს.

წლის საუკეთესო სკოლის დირექტორი ლიკა გომართელი მიღებულ ჯილდოს მოსწავლეებისთვის ინტერნეტის ჩასართავად ხარჯავს.

საუკეთესო მასწავლებელმა მაია ტყემალაძემ ჯილდოდ მიღებული თანხით მოსწავლეებს პლანშეტები უყიდა.

ჩვენს ქვეყანას კიდევ ბევრი ასეთი მასწავლებელი ჰყავს. მათ შესახებ წერენ სოციალურ ქსელებში, მასწავლებელთა დახურულ ჯგუფებში...

თითოეული ასეთი საქციელი, ცხადია, აღგვაფრთოვანებს.

მე სხვა რამ მინდა ვთქვა:

ეროვნული ჯილდოს მფლობელი პედაგოგი ყვავილებს არ უნდა ყიდიდეს მოსწავლეებისთვის ინტერნეტის ჩასართავად.

არც საუკეთესო სკოლის დირექტორი და საუკეთესო მასწავლებელი უნდა ხარჯავდნენ ასე მიღებულ ჯილდოს.

რას ვისურვებდი საახალწლოდ? განათლება ყველა მოსწავლისთვის თანაბრად ხელმისაწვდომი იყოს, ყველა მასწავლებელს ჰქონდეს შესაფერისი სამუშაო გარემო და, რაც მთავარია, რაც შეიძლება მალე დავუბრუნდეთ ჩვეულ ცხოვრებას.





## სასწავლო რესურსი


7 | მაია ფირჩხაძე
**მეტაკოგნიტიური სავარჯიშოები აღქმის, ფაქტის, მოვლენისა და ცნებების გააზრებისთვის**

როდესაც გვინდა, მოსწავლემ შეძლოს ისტორიული ეპოქის აღქმა და წარმოსახვის განვითარება, წარსულსა და თანამედროვეობას შორის უწყვეტი კავშირის დანახვა და ამისთვის საჭიროა ისტორიული წყაროებისა და დოკუმენტების მოშველიება, სტანდარტის შედეგების მიღწევა უნდა შევძლოთ მასალისთვის შესაფერისი ეფექტური დავალებების შერჩევით.

19 | გიორგი ჭაუჭიძე
**სასწავლო ერთეულის შექმნის გზამკვლევი**

კარგად მოფიქრებული საკვანძო კითხვები ერთგვარი გზამკვლევია მასწავლებლებისთვის საიმისოდ, რომელ აქტივობაზე ამუშაონ მოსწავლეები კომპლექსური დავალების შესრულების მიზნით.

## განათლების ფსიქოლოგია


12 | ქეთევან ოსიაშვილი
**რა სიკეთის მომტანი შეიძლება აღმოჩნდეს დისტანციური სწავლება**

რა ხდება მაშინ, როდესაც ბავშვი სკოლას იცვლის და ახალ სკოლაში ონლაინრეჟიმში აგრძელებს სწავლას? ასეთ დროს, როგორც სასკოლო პრაქტიკა გვიჩვენებს, ახალ სკოლასთან ადაპტაცია ბავშვისთვის გაცილებით ადვილია.

48 | ქეთევან კობალაძე
**მშობლებო, ნუ დააპროგრამებთ შვილებს!**

ძვირფასო მშობლებო, იყავით საყრდენი შვილებისთვის. ნუ ცდილობთ მათ გადაკეთებას, შეცვლას. უბრალოდ, გიყვარდეთ ისინი და იყავით ბედნიერი მათთან ერთად. კიდევ ერთხელ: ნუ დააპროგრამებთ შვილებს, რადგან შემდგომში ამ „პროგრამებისგან“ გათავისუფლება ძალიან ძნელია.

39 | თინათინ ზარდიაშვილი
**დისტანციური სწავლება და „სასწავლო გაჩერებები“**

„სასწავლო გაჩერებები“ აქტივობათა ერთობლიობაა, რომელიც საშუალებას აძლევს მასწავლებელს, მიაღწიოს დასახულ მიზანს, შეუქმნას მოსწავლეებს სახალისო და საინტერესო გარემო, აუმაღლოს მოტივაცია, გაზარდოს მათი ჩართულობა მათივე შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით.

53 | ნესტან რატიანი
**„ფრთხებიან ყვავები დამბაჩის ხმაზე?“**

როდესაც გვაინტერესებს, იცვლება თუ არა პერსონაჟი მოქმედების განვითარებასთან ერთად, ვსაუბრობთ ცვალებად და სწორხაზოვან, სტატიკურ და დინამიკურ პერსონაჟებზე. როდესაც გვაინტერესებს კონფლიქტში მონაწილე მხარეები, ვსაუბრობთ პროტაგონისტსა და ანტაგონისტზე.

27-30

გურამ მეგრელიშვილი
მორცხვი ბავშვების მინდორი

ცირა ბარბაქაძე
როგორ ჩავატაროთ „თავისუფლების გაკვეთილი“

ინა იმედაშვილი
ერთხელ ჯადოსნურმა ჯოხმა რაღაც ჩამჩურჩურა...

შორენა ტყეშელაშვილი
მედიაწიგნიერება და საბავშვო ლიტერატურა

## გამოცდილება

4 | თამთა კობახიძე
**თვითშეფასება სკოლაში**
თვითშეფასების პროცესი მხოლოდ იმ შემთხვევაშია წარმატებული, როცა მონაწილე მხარეები ცვლილებების აუცილებლობას იაზრებენ და აღიარებენ; როცა მზად არიან, მიიღონ რეკომენდაციები კოლეგებისგან და შეცვალონ არსებული პრაქტიკა.

33 | მარიამ გოდუაძე
**დოკუმენტი ინკლუზიურ კლასებში სპეციალური თუ საგნის მასწავლებლებისთვის**
ქცევის შეფასების პროცესში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს ABC მოდელით შექმნილი ფორმა, რომელიც მოიცავს ქცევაზე დაკვირვებას და იმ სიტუაციური ფაქტორებისა თუ ცვლადების აღრიცხვას, რომლებიც წინ უძღვის ან მოსდევს კონკრეტულ ქცევას.

36 | თამთა დოლიძე
**რამდენიმე გზა კითხვის სწავლებისთვის**
წერა და კითხვა თითქმის თანადროული პროცესებია, თუმცა განათლების სფეროს წარმომადგენელთა აზრი ამ მიმართულებითაც არაერთგვაროვანია. ზოგიერთი მიიჩნევს, რომ წერა-კითხვა სინქრონულად უნდა ისწავლებოდეს, რადგან ორივე მათგანი საერთო უნარ-ჩვევების განვითარებას უწყობს ხელს.

## მოსაზრება

15 | მაია ჯალიაშვილი
**მოსწავლის დამოუკიდებლობა**
მსოფლიო ისტორიასა და მეცნიერებაში უამრავი მაგალითია, როდესაც შეცდომით გადადგმულმა ნაბიჯმა სრულიად ახალი გზა გამოაჩინა, გეგმიდან გადახვევამ მეტი შემოქმედებითი იმპულსი დაბადა და გონებას განსხვავებული ამოცანების გადაწყვეტისკენ უბიძგა.

26 | ლევან ალფაიძე
**გავაუმჯობესოთ მოსწავლეთა ჩართულობა, სწავლება და შედეგები**
აუცილებელია, გავითვალისწინოთ ტექნოლოგიის ძალა, რომელიც, გარკვეულწილად, იმ კატალიზატორს წარმოადგენს, მოსწავლეთა ჭეშმარიტი ჩართულობის უზრუნველსაყოფად და მათთვის გაზიარებული კონცეფციების რეალურ ცხოვრებაში გამოსაყენებლად რომ არის საჭირო.

43 | მალინა საჯაია
**რამდენიმე რჩევა მშობლებს ონლაინსწავლებისას შვილების ჩართულობისა და მოტივაციის ასამაღლებლად**
დისტანციური სწავლის დროს მოტივაციის დაკარგვის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ ბავშვები თავს გარიყულად გრძნობენ. მათ მოსწონთ გუნდის ნაწილად ყოფნა და სხვა ბავშვებთან ერთად მუშაობა. ასე რომ, ეძებეთ გზები იზოლაციის დასაძლევად.

46 | ირმა კახურაშვილი
**სასკოლო გაკვეთილების მრავალფეროვნება დისტანციურად და არამხოლოდ**
ვფიქრობ, ერთ-ერთი მთავარი გაკვეთილი, რომელიც პანდემიისგან უნდა მივიღოთ, ის არის, რომ მასწავლებლები ძალიან მნიშვნელოვანი ადამიანები არიან და მათ უნდა მოვუფრთხილდეთ.

51 | ნასტასია არაბული
**კომუნიკაციის პრობლემები**
იმსჯელეთ ბავშვებთან ერთად დისტანციური სწავლების სიკეთეებსა და სირთულეებზე; ელაპარაკეთ იმაზე, რა უჭირთ ყველაზე მეტად, როგორ შეცვლიდნენ არსებულ პროცესს, რომ მათთვის უფრო მისაღები გამხდარიყო; მოუყევით იმ სირთულეებსა და გამოწვევებზე, რომლებიც თქვენ გქონდათ სწავლისა და სწავლების სხვადასხვა ეტაპზე.

თამთა კობახიძე

# თვითშეფასება სკოლაში

სანამ შიდასასკოლო თვითშეფასების თეორიულ განმარტებაზე, მასთან დაკავშირებულ მეთოდოლოგიურ მიდგომებსა თუ არსებულ პრაქტიკაზე ვისაუბრებთ, გავიხსენოთ თეორიული მიდგომები შეფასებასთან დაკავშირებით.

ზოგად განათლებაში ორგანიზაციული შეფასების პრაქტიკა ამერიკის შეერთებული შტატებიდან იღებს სათავეს. მეოცე საუკუნის ბოლოს ის ფართოდ გავრცელდა ევროპაშიც. თავდაპირველად წარმოებაზე, პროდუქციის ხარისხის კონტროლსა და შემოწმებაზე ორიენტირებულმა პროცესმა 80-იანი წლებიდან განათლების სფეროშიც გადმოინაცვლა და ამჟამად მისი განუყოფელი ნაწილია. წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა შეფასების თეორიული ჩარჩო-მიდგომებიც.

ლიტერატურაში ძირითადად გამოიყოფა შეფასების შემდეგი მოდელები:

- **მიმდინარე და შემაჯამებელი (formative-sumative)** – კურიკულუმის პროცესის თანმხლები შეფასება/საბოლოო შედეგების აღწერილობითი შეფასება;
- **მიკრო და მაკრო** – რომელიმე სტრუქტურული ელემენტის დამოუკიდებლად შეფასება/მთელი სტრუქტურის კომპლექსური შეფასება;
- **შიდა და გარე** – შეფასება, წარმართული თავად პროცესის მონაწილეთა მიერ/გარე პირების მიერ ჩატარებული შეფასება;
- **ნაწილისა და შედეგის** – კურიკულუმის სტრუქტურისა და/ან პროცესის ცალკეული მახასიათებლის შეფასება/წინასწარ შერჩეული ეფექტისა და გავლენის შეფასება (Ditton, 2018).

უნდა აღინიშნოს, რომ, მრავალი მკვლევრის მოსაზრებით, შიდასასკოლო შეფასება და თვითშეფასება ერთმანეთისგან განსხვავებული ცნებებია. განსხვავებები შეინიშნება უმთავრესად დაგეგმვის, მიზნების ჩამოყალიბებისა და განხორციელების ეტაპებზე. თვითშეფასების დროს დაკვეთა მოდის უშუალოდ სასკოლო საზოგადოებისაგან, მაგ., კათედრა ან პედაგოგიური საბჭო წყვეტენ, რომ უნდა შეაფასონ კონკრეტული საგნის მასწავლებლების მუშაობა. ასეთ დროს შეფასების საგანი ვიწროა და შემფასებლებიც, როგორც წესი, თავად მასწავლებლები არიან. შიდა შეფასება კი მოიცავს ორგანიზაციის შიგნით ყველა სფეროს შეფასებას. პროცესში ყველა მასწავლებლის ჩართულობა სავალდებულო არ არის, რადგან ფასდება არა კონკრეტულად რომელიმე მასწავლებლის და/ან საგნის სწავლების სირთულეები, არამედ ზოგადად სკოლაში სწავლების პროცესის მიმდინარეობა. შიდა შეფასების განხორციელებას სკოლას შესაძლოა კანონიც ავალდებულებდეს, ამიტომ შიდა შეფასების პროცესში ხშირად მოწვეული სპეციალისტებიც არიან ჩართულნი კითხვარებისა და შეფასების

> თვითშეფასების პროცესი მხოლოდ იმ შემთხვევაშია წარმატებული, როცა მონაწილე მხარეები ცვლილებების აუცილებლობას იაზრებენ და აღიარებენ; როცა მზად არიან, მიიღონ რეკომენდაციები კოლეგებისგან და შეცვალონ არსებული პრაქტიკა.

პროცესის მეთოდოლოგიური გამართულობის უზრუნველსაყოფად. ასეთ დროს აღნიშნავენ, რომ შიდა შეფასების პროცესში გარე შეფასების ელემენტებიცაა. მართლაც, შიდა/გარე და თვითშეფასების ძალიან ბევრი შერეული ვარიანტი არსებობს და, როგორც უკვე ვთქვით, მათი განსხვავების ყველაზე მარტივი მეთოდი შეფასების საგანზე დაკვირვებაა.

მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ ტერმინი „სკოლის თვითშეფასება" ბუნდოვანია, რადგან ხშირ შემთხვევაში არ არის განსაზღვრული, ვინ რას აფასებს. მსგავსი ტენდენციაა საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეებშიც. თვითშეფასება როგორც ტერმინი ძირითადად განისაზღვრება იმით, ვინ ატარებს პროცესს და რა არის შეფასების საგანი. მკვლევრებს მიაჩნიათ, რომ ეს საკმარისი არ არის; ცხადი უნდა იყოს, რა მიზნით ტარდება შეფასება და ვინ ადგენს ამ მიზნებს. მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი განსაზღვრა, სკოლა შიდა შეფასებას ატარებს თუ თვითშეფასებას.

შიდა შეფასების პროცესი აწყობილია ხარისხის ციკლის ირგვლივ, რაც გულისხმობს დაგეგმვის, ქმედების, შეფასებისა და განხორციელების პროცესის უწყვეტობას. შვეიცარიელი მკვლევრები (Beywl.Balzer, 2016) გვთავაზობენ წარმატებული შეფასების 10 აუცილებელ ნაბიჯს:

1. **შეფასების საგნის განსაზღვრა;**
2. **შეფასების ჯგუფის ჩამოყალიბება;**
3. **დეტალური მიზნებისა და საკვლევი კითხვების განსაზღვრა;**
4. **შეფასების კრიტერიუმებისა და წინაპირობების განსაზღვრა;**
5. **კონკრეტული მეთოდოლოგიური ნაბიჯების დაგეგმვა და განხორციელება;**
6. **მონაცემების ანალიზი;**
7. **მონაცემთა ინტერპრეტაცია;**
8. **მონაცემების წარმოდგენა;**
9. **შედეგების გამოყენება;**
10. **შეფასების შეფასება** (თვითრეფლექსია).

როგორც ვხედავთ, შიდა შეფასების მიმდინარეობას ბევრი საერთო აქვს თვითშეფასებასთან, ხოლო ორივეს, საბოლოო ჯამში – პრაქტიკის კვლევასთან. თვითშეფასება, პირველ რიგში ორგანიზაციის განვითარებას ემსახურება და მისი ჩატარების მიზანიც პროცესისა და შედეგის გაუმჯობესებაა. მას პირდაპირი კავშირი აქვს სკოლის ხარისხის მართვასა და უზრუნველყოფასთან. მეთოდოლოგიაში თვითშეფასების საფუძვლად სამი მარტივი კითხვა გამოიყოფა, რომლებზე პასუხიც მთელი პროცესის კონცეფციას მოიცავს:

1. რა მიზანს გვინდა მივაღწიოთ სკოლაში/გაკვეთილზე?

2. რა აქტივობებს ვახორციელებთ ამ მიზნების მისაღწევად?
3. ვატარებთ თუ არა აქტივობებს მართებულად?

თვითშეფასების პროცესი მხოლოდ იმ შემთხვევაშია წარმატებული, როცა მონაწილე მხარეები ცვლილებების აუცილებლობას იაზრებენ და

> მნიშვნელოვანი ფაქტორია წარუმატებლობის შიშის გადალახვა, რაც სკოლის ადმინისტრაციის ხელშეწყობის გარეშე უმეტესად შეუძლებელია. მესამე და მნიშვნელოვან პირობას კი შეფასების შედეგების მიღება და აღიარება წარმოადგენს.

აღიარებენ; როცა მზად არიან, მიიღონ რეკომენდაციები კოლეგებისგან და შეცვალონ არსებული პრაქტიკა. მეორე და მნიშვნელოვანი ფაქტორია წარუმატებლობის შიშის გადალახვა, რაც სკოლის ადმინისტრაციის ხელშეწყობის გარეშე უმეტესად შეუძლებელია. მესამე და მნიშვნელოვან პირობას კი შეფასების შედეგების მიღება და აღიარება წარმოადგენს. კვლევაზე დაფუძნებული, ობიექტური და სანდო შედეგები ყოველთვის არ ასახავს მასწავლებელთა მოლოდინს, თუმცა თანამშრომლობასა და განვითარებაზე ორიენტირებულ გარემოში ნებისმიერ შედეგთან გამკლავება მონაწილეთა ვალდებულებაა. აქედან გამომდინარე, შეფასებას (შიდა შეფასება იქნება ეს თუ თვითშეფასება) ნდობისა და თანამშრომლობის ატმოსფერო სჭირდება. დაუშვებელია მისი გამოყენება ვინმეს დასჯის ან დაშინების მიზნით. ასეთ დროს მონაწილე მხარეები უბრალოდ თავს აჩვენებენ შემფასებელს, რომ წარმართავენ პროცესს, რეალურად კი შეფასება მხოლოდ ქაღალდზე მიმდინარეობს და მას ორგანიზაციისთვის პრაქტიკული სარგებელი არ მოაქვს.

მაია ფირჩხაძე

# მეტაკოგნიტიური სავარჯიშოები
## აღქმის, ფაქტის, მოვლენისა და ცნებების გააზრებისთვის

ახალი ეროვნული სასწავლო გეგმით, საბაზო საფეხურზე ისტორიის სწავლა-სწავლების ერთ-ერთი მიზანია, დაეხმაროს მოსწავლეს ისტორიული ეპოქების აღქმასა და მათი მახასიათებლების გააზრებაში, ერთმანეთთან/თანამედროვეობასთან შედარებაში და თანამედროვეობასა და წარსულს შორის მჭიდრო კავშირის დანახვაში.

საბაზო საფეხურის საგნობრივი პროგრამა სტანდარტის შედეგების მისაღწევ გზად ძირითად ცნებებზე ორიენტირებულ სწავლებას გვთავაზობს. ისტორიის საგნის შესწავლაც რამდენიმე ძირითად ცნებაზეა ორიენტირებული. მოცემულ შემთხვევაშიც კონკრეტული მიზანი: ისტორიული ეპოქების აღქმა და მათი მახასიათებლების გააზრება, ერთმანეთთან/თანამედროვეობასთან მათი შედარება და თანამედროვეობასა და წარსულს შორის მჭიდრო კავშირის დანახვა – კონკრეტული ცნებების დამუშავების გზით უნდა განხორციელდეს.

თავისთავად, **ისტორიული ეპოქის აღქმა გულისხმობს წარმოდგენების ჩამოყალიბებას წარსულზე** (მატერიალური, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული ცხოვრების დეტალებზე და ა.შ.), **ისტორიულ დროზე** (ისტორიული მოვლენებისა და ფაქტების ხანგრძლივობა და თანმიმდევრულობა), **ისტორიულ სივრცეზე** (მოვლენის დაკავშირება კონკრეტულ ადგილთან, სივრცესთან). **უფრო მეტიც – უმთავრესი, რაც ისტორიაზე მსჯელობის დროს ახსენდება მოსწავლეს, რასთანაც ის ასოცირებას ახდენს, ისტორიული ფაქტი და მოვლენაა.**

**მაშ, რატომ ცნებები?**

ისტორიის მეთოდოლოგიაში **ფაქტი** ნიშნავს იმას, რაც მოხდა, რაც გაკეთდა, შესრულდა. მას ვერ დააკვირდები და მის „კვლავ განმეორებას“ ვერ მოახდენ. ესაა ისტორიული ფაქტის სპეციფიკა. ფაქტები აუცილებელია ისტორიული კავშირურთიერთობების დასადგენად და შესადარებლად, მათი განზოგადებისა და განსაზღვრისთვის. **მოვლენები** ცალკეული ფაქტებია, „შედარებით მცირე ერთეულები“ (მაგალითად, „დიდი გამყინვარება“, „სამამულო ომი“, „სამოქალაქო ომი საქართველოში“ და ა.შ.). ცალკეული ფაქტების შესწავლა, რომლებიც განუმეორებელია თავისი ხასიათითა და შინაარსით, ეხმარება მოსწავლეს, გაიგოს და შეითვისოს **ტიპური მოვლენები – საზოგადო ცნებები** (მაგალითად, რევოლუცია, აჯანყება), **რომლებიც არ არის დაკავშირებული კონკრეტულ ფაქტებთან, სადაც არ არის მითითებული ადგილი, დრო და მონაწილეები, მაგრამ „მრავალჯერადია“** (მაგალითად, „ფეოდალური სასამართლო სისტემა“, „შუა

> ახალი ეროვნული სასწავლო გეგმით, საბაზო საფეხურზე ისტორიის სწავლა-სწავლების ერთ-ერთი მიზანია, დაეხმაროს მოსწავლეს ისტორიული ეპოქების აღქმასა და მათი მახასიათებლების გააზრებაში, ერთმანეთთან/თანამედროვეობასთან შედარებაში და თანამედროვეობასა და წარსულს შორის მჭიდრო კავშირის დანახვაში.

საუკუნეების ბაზარი“ და ა.შ.). **მათი დადგენისა და გააზრების საფუძველზე მოსწავლე შეიმეცნებს ისტორიულ პროცესებს** (ისტორიული მდგომარეობის ცვლილებებს – მიმართულს განვითარებისკენ ან პირიქით). **ანუ ესაა მთელი ჯაჭვი დროში ურთიერთდაკავშირებული ფაქტებისა, როდესაც არსებობს დამაკავშირებელი მიზეზები და შესაბამისი შედეგები** (მაგალითად, მანუფაქტურების წარმოშობა შუა საუკუნეებში, რასაც თან ახლდა შუა საუკუნეების ქალაქების წარმოშობა და ა.შ.).

**რაც შეეხება ისტორიულ ფაქტებს** – სწავლების დროს, ცნების შინაარსში წვდომის თვალსაზრისით, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ **ისტორიული ფაქტები იყოფა ორ ჯგუფად: მთავარ და არამთავარ ფაქტებად. მთავარია ის ისტორიული ფაქტები**, რომლებზეც აგებულია გაკვეთილის თემის ძირითადი შინაარსი, ანუ ისინი **ქმნიან შესასწავლი მოვლენის სურათს და მოვლენას ხსნიან მისი არსებითი, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი მხარეების წინ წამოწევით. მთავარი ფაქტის განმსაზღვრელი, დამახასიათებელი ნიშანი ისაა, რომ ის განაპირობებს მნიშვნელოვან თეორიულ დასკვნებს, რომლებიც აუცილებელია ისტორიული ცნებების, მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებებისათვის.**

**მთავარი ფაქტებისთვის არსებითია:**

- გარემომცველი სამყარო;
- მატერიალური საგნები;
- ადამიანები – ისტორიული მოვლენების მონაწილეები;
- დროსა და სივრცეში ლოკალიზებული ფაქტები;
- დროსა და სივრცეში ლოკალიზებული სტატისტიკური ფაქტები.

**არამთავარ (მეორეხარისხოვან) ფაქტებს მიეკუთვნება** ნაკლებად ინფორმაციული ფაქტები, რომლებიც ხელს უწყობს მთავარი ფაქტის „გახსნას“:

- მეორეხარისხოვანი დინამიკური ფაქტები, მათი დროითი და სივრცობრივი კავშირები;
- მეორეხარისხოვანი სტატისტიკური ფაქტები, მათი დროითი და სივრცითი ურთიერთობები;
- ისტორიულ-სტატისტიკური, ქრონოლოგიური და კარტოგრაფიული მასალები.

მასწავლებელს უნდა ახსოვდეს, რომ **ფაქტების ანალიზი,**



> როდესაც გვინდა, მოსწავლემ შეძლოს ისტორიული ეპოქის აღქმა და წარმოსახვის განვითარება, წარსულსა და თანამედროვეობას შორის უწყვეტი კავშირის დანახვა და ამისთვის საჭიროა ისტორიული წყაროებისა და დოკუმენტების მოშველიება, სტანდარტის შედეგების მიღწევა უნდა შევძლოთ მასალისთვის შესაფერისი ეფექტური დავალებების შერჩევით.

**მთავარისა და მეორეხარისხოვანის გამოყოფა, მათი კავშირურთიერთობების დადგენა მოსწავლეს ჩამოუყალიბებს:**

- დასკვნების გამოტანის, გაანალიზების, შედარების, კანონზომიერების დადგენის და სხვა უნარებს, რომლებიც მას ცნებების გახსნაში, გააზრებასა და ათვისებაში დაეხმარება.

**საზოგადოდ, ისტორიული ეპოქის აღქმისა და ისტორიული წარმოსახვის განვითარებისთვის ყველაზე ხელსაყრელ საშუალებად მიიჩნევა თვალსაჩინოებების გამოყენება**: სურათების, ფილმების, სამეცნიერო-პოპულარული და მხატვრული ლიტერატურის, ისტორიული შინაარსის ტექსტების, საისტორიო წყაროების, დოკუმენტების, ისტორიული და გეოგრაფიული რუკების, სქემატური და თემატური რუკების, აპლიკაციების, მათი სიმულაციების, მოდელირებული სტრატეგიების და ა.შ., – რომელთა **სწორად შერჩევა და შესაფერისი მეთოდური მიდგომების გამოყენება დაეხმარება მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული ისტორიული ცნებების დაუფლებაში** და მათთან დაკავშირებული თეორიული მასალის ათვისებაში.

მთავარია გვახსოვდეს, რომ **ისტორიული წარმოსახვა, როგორც ისტორიული აღქმის შემადგენელი ნაწილი, ისტორიული ცოდნის პირველი საფეხურია, რომელზე ასვლის გარეშეც მოსწავლე ვერ გაიგებს ისტორიული პროცესის არსს და ვერ შეძლებს ცნებების ფორმირებასა და სიღრმისეულ გააზრებას.**

მაგრამ რამდენადაც ისტორიის შესწავლასა და ისტორიული წარმოსახვის განვითარებაში, წარსულსა და თანამედროვეობას შორის კავშირურთიერთობების დადგენაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს **ისტორიული წყაროები, ისტორიული დოკუმენტები, შეიძლება ითქვას, რომ მათზე მუშაობა (რაზეც ბუნებრივადაა მიბმული კანონებისა და თეორიების ცოდნაც) ცნებებზე ორიენტირებული სწავლების საყრდენი წერტილია.**

როდესაც გვინდა, მოსწავლემ შეძლოს ისტორიული ეპოქის აღქმა და წარმოსახვის განვითარება, წარსულსა და თანამედროვეობას შორის უწყვეტი კავშირის დანახვა და ამისთვის საჭიროა ისტორიული წყაროებისა და დოკუმენტების მოშველიება, **სტანდარტის შედეგების მიღწევა უნდა შევძლოთ მასალისთვის შესაფერისი ეფექტური დავალებების შერჩევით.**

ამ მიმართულებით საბაზო საფეხურის **ისტორიის სწავლების მეთოდიკური ორიენტირები გვთავაზობს მეტაკოგნიციაზე აქცენტირებულ დავალებებს,** როგორც წარმატების მიღწევის ერთგვარ გარანტს.

**მაგალითი**: **მეტაკოგნიციაზე აქცენტირებული ზოგადი ხასიათის იმ დავალებების – სავარჯიშოების/შეკითხვების – ტიპოლოგია,** რომლებიც საგნობრივი აპარატის, **ისტორიული ცნებების,** ისტორიული ფაქტების, მოვლენებისა და პროცესების **გააზრებაში** დაეხმარება მოსწავლეებს (მკვიდრ წარმოდგენასთან დაკავშირებულ საკვანძო შეკითხვებთან ერთად, რომლებიც თან ახლავს საგნობრივ პროგრამას) და ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების პროცესს:

- კითხვები, რომლებიც მოითხოვს ლაკონიურ პასუხებს (ტერმინებს, ცნებებს, თარიღებს, დასკვნებს);
- არგუმენტირებული მსჯელობა: მოსწავლის მიერ საკუთარი აზრის გამოხატვა და არგუმენტების მოყვანა;
- ძირითადი ცნებების განსაზღვრა;
- რუკაზე მუშაობა (ტექსტში დასახელებული ისტორიულ-გეოგრაფიული ობიექტების მითითება);
- ქრონოლოგიური ცხრილების შედგენა;
- ტექსტის ძირითადი იდეის განსაზღვრა და დასკვნების გამოტანა;
- შედარებისა და კლასიფიკაციის სქემების შედგენა;
- ციფრული ინფორმაციის გადაყვანა გრაფიკულ ნახაზებში, სტატისტიკური ცხრილებისა და დიაგრამების აგება;
- ისტორიული ამბის თანამედროვის თვალით გადმოცემა;
- ავტორისეული ტექსტის შედგენა;
- ტექსტის დასათაურება;
- სიმულაციური თამაშები

და ა.შ.

წყაროს ტექსტებზე, დოკუმენტებზე მუშაობა სპეციფიკურ მიდგომებს მოითხოვს. ცნებებზე ორიენტირებული სწავლების პირობებშიც ეს თავისებურებები გათვალისწინებულ უნდა იქნეს. მთავარი აქ ორი საკითხის გადაწყვეტაა:

1. ისტორიული დოკუმენტის ტიპის დადგენა და
2. დოკუმენტის შესაბამისი კითხვების ტიპოლოგია/ შესაბამისი დავალებების შერჩევა.

**მაგალითი:** სტანდარტის შედეგების გათვალისწინებით, გთავაზობთ ისტორიული დოკუმენტების ტიპებს და მეტაკოგნიტიური **შეკითხვების ტიპოლოგიას/დავალებების ნიმუშებს,** რომლებიც დაეხმარება საბაზო საფეხურის მასწავლებელს (სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების შესაძლო გზებთან ერთად, რომელიც ასევე ახლავს საგნობრივ პროგრამებს) ისტორიულ დოკუმენტებთან მუშაობისას ძირითადი ცნებების ათვისებაში (დრო, სივრცე, საზოგადოება, ძალაუფლება; ისტორიული მოვლენა-პროცესი; წყარო, ისტორიული ინტერპრეტაცია და კვლევა) და ისტორიულ წარმოსახვას, ფაქტსა და მოვლენას, წარსულსა და თანამედროვეობას შორის კავშირურთიერთობების დადგენაში:

| დოკუმენტის ტიპი | შეკითხვების ტიპოლოგია / დავალებები |
|---|---|
| **სამართლებრივი ხასიათის დოკუმენტები: სიგელები, ბრძანებები, კანონები, სახელმწიფო მოხელეთა სიტყვები, ოქმები და ა.შ.** | • სად, როდის და რატომ წარმოიშვა ეს დოკუმენტი? (აღწერეთ ამ დოკუმენტის შექმნის პირობები);<br>• ვინ მიიჩნევა დოკუმენტის ავტორად? რა ვიცით ამ ადამიანის შესახებ, მისი საქმიანობისა და მოღვაწეობის შესახებ?<br>• განსაზღვრეთ ძირითადი/ახალი ცნებები, რომლებიც დასახელებულია ტექსტში.<br>• რომელი ფენების, საზოგადოებრივი ჯგუფების ინტერესები იკვეთება დოკუმენტში?<br>• რით განსხვავდება ეს დოკუმენტი ან მისი ცალკეული ნაწილი მსგავი, მაგრამ ადრე შექმნილი დოკუმენტისგან?<br>• რა სახის ცვლილებები მოიტანა ან შეეძლო მოეტანა სახელმწიფოში ამ დოკუმენტს?<br>• მოიფიქრეთ ისტორია, რომელიც გახსნის დოკუმენტის ძირითად იდეას (იმიტირებული სასამართლო პროცესი, ოპოზიციის ქმედება, სამეფო აუდიენცია, სახალხო მღელვარება და სხვ.)<br>და ა.შ. |
| **საერთაშორისო ხასიათის დოკუმენტები: ხელშეკრულებები, შეთანხმებები, აქტები, საქმიანი მიმოწერები და ა.შ.** | • მიუთითეთ რუკაზე სახელმწიფო, რომელმაც შეადგინა ეს დოკუმენტი.<br>• აღწერეთ მისი შექმნის ისტორიული პირობები.<br>• აღწერეთ დოკუმენტი, გამოყავით მისი შემადგენელი ნაწილები; შეაფასეთ მისი მნიშვნელობა (დადებითი მხარე, ზარალი) როგორც ადგილობრივი, ისე გლობალური მნიშვნელობით.<br>• ახსენით, რატომ და როგორ შეიქმნა ეს დოკუმენტი ასეთ პირობებში (ერთი მხარის სასარგებლოდ და სხვათა საზიანოდ, ან თანაბარ, პარიტეტულ საფუძველზე).<br>• როგორი პოლიტიკური, ეკონომიკური, ტერიტორიული ცვლილებები წარმოიშვა (ან მოსალოდნელი იყო) ამ დოკუმენტის საფუძველზე?<br>• როგორ – ღია თუ ფარულ – მიზნებს ატარებდა მოცემული დოკუმენტი და რატომ?<br>• შეაფასეთ დოკუმენტი.<br>• მოიფიქრეთ, როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო ეს დოკუმენტი პოლიტიკურ ძალთა სხვაგვარი გადანაწილების პირობებში<br>და ა.შ. |
| **დოკუმენტები, რომლებიც დაკავშირებულია პოლიტიკურ ბრძოლასთან: პროგრამები; მოწოდებები; პლაკატები; დეკლარაციები და ა.შ.** | • ვინ არის დოკუმენტის ავტორი? როგორია მისი პოლიტიკური შეხედულებები?<br>• სად და როგორ პირობებში შეიქმნა დოკუმენტი?<br>• რას ეხება დოკუმენტი? რას მოგვითხრობს ის? |

| დოკუმენტის ტიპი | შეკითხვების ტიპოლოგია / დავალებები |
|---|---|
| | • საზოგადოების რომელი ფენის ინტერესებს გამოხატავს დოკუმენტი?<br>• რომელ პოლიტიკურ დაჯგუფებას უნდა მიეკუთვნებოდეს ავტორი? რომელი ფენის ჭეშმარიტ დამცველად გვევლინება იგი?<br>• რა წინაპირობა არსებობდა/ რა შეიძლება მოჰყოლოდა დოკუმენტის შექმნას?<br>• შეაფასეთ დოკუმენტი ისტორიკოსის პოზიციიდან. |
| ისტორიული ხასიათის დოკუმენტები: ანალები; ქრონიკები; მატიანეები; ისტორიული თხზულებები | • რომელი ისტორიული ფაქტია ასახული დოკუმენტში?<br>• მიუთითეთ რუკაზე ადგილი, სადაც მოხდა დოკუმენტში აღწერილი ამბავი.<br>• განსაზღვრეთ დრო, როდესაც მოხდა აღწერილი ამბავი, თუ ის არ არის მითითებული დოკუმენტში (წელთაღრიცხვის სისტემის გათვალისწინებით).<br>• როგორ ხსნის ავტორი მიზეზებს, რომლებიც განსაზღვრავს დოკუმენტის მნიშვნელობას?<br>• როგორია ავტორის დამოკიდებულება აღწერილი მოვლენის მიმართ? როგორი უნდა იყოს მისი დამოკიდებულება აღწერილი ამბის მიმართ?<br>• რაში ემთხვევა / არ ემთხვევა / ავტორის პოზიცია თანამედროვე შეხედულებებს იმავე / მსგავს საკითხებზე?<br>• შეაფასეთ ამ დოკუმენტის მნიშვნელობა ანალოგიური პერიოდის ისტორიულ თხზულებებთან მიმართებით. |
| პირადი ხასიათის დოკუმენტები: მემუარები, დღიურები, წერილები, თვითმხილველთა ჩანაწერები | • ვინ არის დოკუმენტის ავტორი? როგორია მისი სოციალური მდგომარეობა? საქმიანობა? რა კავშირშია აღწერილ მოვლენებთან?<br>• რას მოგვითხრობს დოკუმენტის ავტორი? როგორია მისი დამოკიდებულება მოცემული მოვლენების მიმართ? მოიყვანეთ საკუთარი მოსაზრებების დამადასტურებელი არგუმენტები.<br>• რით ახსნით ავტორის ამგვარ დამოკიდებულებას?<br>• რით ჰგავს ეს პოზიცია სხვა ავტორთა პოზიციებს, რომლებიც იმავე ფაქტს აღწერენ? რით განსხვავდება?<br>• რამდენად სანდოდ მიგაჩნიათ ავტორის მონათხრობი?<br>• იზიარებთ თუ არა ავტორის შეხედულებებს, შეფასებებს, შედეგებს? |
| ლიტერატურული დოკუმენტები როგორც ეპოქის ისტორიული ძეგლები: პროზა, პოეზია, დრამა, ეპიტაფიები, სიმღერები, მითები, სატირა და სხვ. | • მოძებნეთ რუკაზე ადგილი, სადაც ხდება მოქმედება მოყვანილ ნარატივში.<br>• ყოფა-ცხოვრების დეტალების მიხედვით: ტანსაცმელი, ქცევა და ა.შ. – მიახლოებით განსაზღვრეთ ნაწარმოების/ტექსტის შექმნის დრო. იპოვეთ მინიშნება, რომ მოცემული ნაწარმოები ამა და ამ ეპოქაში შეიქმნა.<br>• იპოვეთ რუკაზე ადგილი, სადაც ხდება აღწერილი მოქმედება;<br>• ისტორიული პირების, მოვლენების როგორი სახე შექმნა ავტორმა? რა შეიძლება იყოს მასში გაზვიადებული, გამოგონილი და ა.შ.?<br>• როგორ ფიქრობთ, რა მიზნით გააკეთა ეს ავტორმა? რისი თქმა სურდა ამით?<br>• როგორ ახსნით ისტორიული პირების საქციელს? ეთანხმებით თუ არა მის არგუმენტებს?<br>• რომელ საზოგადოებრივ ფენას მიეკუთვნება ავტორი? რამდენად ობიექტური და მიუკერძოებელია ის?<br>• რომელ ლიტერატურულ ნაწარმოებში შეხვედრიხართ მსგავს სიუჟეტს? რით უნდა აიხსნას მისი პოპულარობა? |

ამ ტიპის საგაკვეთილო აქტივობებითა და პრაქტიკული სავარჯიშოებით მოსწავლე შეძლებს სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევას, ისტორიული წარმოდგენების ფორმირებას, წარსულსა და თანამედროვეობას შორის კავშირურთიერთობის დანახვას, ცნებების ათვისებას და მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას.

ქეთევან ოსიაშვილი

# რა სიკეთის მომტანი შეიძლება აღმოჩნდეს დისტანციური სწავლება

> რა ხდება მაშინ, როდესაც ბავშვი სკოლას იცვლის და ახალ სკოლაში ონლაინრეჟიმში აგრძელებს სწავლას? ასეთ დროს, როგორც სასკოლო პრაქტიკა გვიჩვენებს, ახალ სკოლასთან ადაპტაცია ბავშვისთვის გაცილებით ადვილია.

ვფიქრობ, ამ სტატიის სათაურის წაკითხვისას ბევრს მწარედ გაეღიმება, ზოგი გაბრაზდება, ზოგს აგრესიაც კი დაეუფლება. ადამიანთა გარკვეული ნაწილი უბრალოდ განაწყენდება. მართლაცდა, რომელ სიკეთეზეა საუბარი, როდესაც მოზარდებისთვის აუტანელი გახდა საგაკვეთილო პროცესის ონლაინრეჟიმში წარმართვა, როდესაც მათი ემოციური და სოციალური განვითარება სერიოზული საფრთხის წინაშე დადგა, როდესაც საგრძნობლად იმატა ბავშვებში შფოთვამ და დეპრესიამ? ცალკეული მოზარდებისთვის ონლაინსწავლება იმდენად მიუღებელი აღმოჩნდა, რომ თვეების განმავლობაში ისინი მხოლოდ ფორმალურად ესწრებიან გაკვეთილებს და მასწავლებლის მიერ დასმულ შეკითხვებს არ პასუხობენ, არ მონაწილეობენ დისკუსიაში მაშინაც კი, როცა კარგად იციან განსახილველი საკითხი და საკუთარი პოზიციის გამოხატვაც თავისუფლად შეუძლიათ. ზოგიერთი მათგანი კი პროტესტის ნიშნად საერთოდ გაურბის გაკვეთილებზე დასწრებას. არანაკლებ აუტანელი გახდა ონლაინგაკვეთილები ბავშვებთან ცოცხალ ურთიერთობას მოკლებული პედაგოგებისთვის, რომლებიც გარკვეული შეზღუდვების პირობებშიც კი მზად არიან, რეალურ სასკოლო გარემოში, საკლასო ოთახებში შეხვდნენ ბავშვებს, იქ გააგრძელონ სასწავლო პროცესი. და, რა თქმა უნდა, მშობლები, რომლებიც, ვფიქრობ, ყველაზე მეტად ნატრობენ ბავშვების სკოლაში გაშვებას. სამსახურებრივი მოვალეობებით დატვირთული ბევრი მშობლისთვის თითქმის შეუძლებელია შვილის ონლაინსწავლებისთვის თვალის დევნება, რაც ცალკეულ ბავშვებს ონლაინგაკვეთილებისთვის თავის არიდების საშუალებას აძლევს.

მაშ, რა გვრჩება ისეთი, რაც ონლაინსწავლების სიკეთეზე საუბრის უფლებას გვაძლევს? თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ამქვეყნად ნებისმიერ მოვლენაში შეიძლება სასიკეთო მარცვლის პოვნა, ვფიქრობ, ნამდვილად არ იქნება ზედმეტი ონლაინსწავლების სიკეთეზე საუბარი. რა უცნაურიც უნდა მოგვეჩვენოს, ონლაინგაკვეთილებში, უამრავი ნაკლის მიუხედავად, ბევრი კარგის პოვნაც შეიძლება, მაგრამ ამჯერად მხოლოდ ერთ დადებით მომენტს შევეხებით და ეს ონლაინსწავლების პირობებში ახალ სასკოლო გარემოსთან ადაპტაციას უკავშირდება.

უმრავლესობას გამოუცდია ბავშვისთვის სკოლის შეცვლა და ამასთან დაკავშირებული სირთულეები. სკოლის შეცვლის მიზეზად შეიძლება იქცეს საცხოვრებელი ბინის შეცვლა, პედაგოგებთან გართულებული ურთიერთობა, თანატოლებთან კონფლიქტი, სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესით უკმაყოფილება... ახალ სასკოლო გარემოსთან შეგუება ადვილი არ არის. განსაკუთრებით მტკივნეულია სკოლის

შეცვლა გარდატეხის ასაკში მყოფი მოზარდისთვის, რომლისთვისაც პრიორიტეტულია თანატოლებთან ურთიერთობა. იმ ჯგუფის შეცვლა, სადაც მას უკვე დამკვიდრებული ჰქონდა ადგილი და ახალ ჯგუფში გადასვლა, სადაც სერიოზული „ბრძოლა“ მოუწევს ადგილის დასამკვიდრებლად, ბუნებრივია, სირთულეების გარეშე ვერ ჩაივლის.

სასკოლო გარემოზე საუბრისას აუცილებლად უნდა გავმიჯნოთ ერთმანეთისგან ფიზიკური და სოციალური გარემო. ფიზიკურ გარემოსთან ადაპტაცია მოზარდისთვის გაცილებით უმტკივნეულოდ მიმდინარეობს, ვიდრე სოციალურ გარემოსთან შეგუება. ახალი თანაკლასელები, თავიანთი ხასიათით, ინტერესებით, ღირებულებებით, რომლებიც შესაძლოა მისი ღირებულებებისგან სრულიად განსხვავებული და მიუღებელიც კი იყოს; ახალი პედაგოგები სწავლებისა და ურთიერთობის საკუთარი სტილით, რომელიც შესაძლოა ასევე უცხო და მიუღებელი აღმოჩნდეს მოზარდისთვის...

ამ ყველაფერს ემატება უცხო ფიზიკური გარემო, სადაც შესაძლოა ის მთლად დაცულად და უსაფრთხოდ ვერ გრძნობდეს თავს. ყოველივე ამან შესაძლოა შფოთვა და სტრესიც კი გამოიწვიოს.

რა ხდება მაშინ, როდესაც ბავშვი სკოლას იცვლის და ახალ სკოლაში ონლაინრეჟიმში აგრძელებს სწავლას? ასეთ დროს, როგორც სასკოლო პრაქტიკა გვიჩვენებს, ახალ სკოლასთან ადაპტაცია ბავშვისთვის გაცილებით ადვილია. ის „საკუთარი ტერიტორიიდან“ ერთვება სასწავლო პროცესში, ამიტომ გაცილებით უსაფრთხოდ და დაცულად გრძნობს თავს, რაც




მას გამბედაობას მატებს, ეს კი საგაკვეთილო პროცესში მისი აქტიური ჩართვისა და სასწავლო მოტივაციის გაძლიერების წინაპირობა ხდება. ასეთი ბავშვების ქცევაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ონლაინგაკვეთილებზე ისინი ხშირად უფრო მეტად აქტიურობენ, ვიდრე მოსწავლეები, რომლებიც მათ ახალ კლასში დახვდათ. არც ვიდეოკამერების ჩართვას და მონიტორზე გამოჩენას გაურბიან. როგორც ჩანს, ონლაინგაკვეთილები მათთვის ძალიან კარგი საშუალება აღმოჩნდა ახალ სოციალურ გარემოში თავის დასამკვიდრებლად.

ექვსი წლის ბავშვისთვის ადვილი არ არის, თუნდაც რამდენიმე საათით მოსწყდეს ნაცნობ, ჩვეულ გარემოს და დარჩეს იქ, სადაც მისთვის ყველა და ყველაფერი უცხოა და სადაც მისგან გამუდმებით ითხოვენ გარკვეული წესების

რა უცნაურიც უნდა მოგვეჩვენოს, პირველკლასელებისთვისაც კი, რომელთა მდგომარეობა, არცთუ უსაფუძვლოდ, სერიოზულად აფიქრებდა მშობლებს და პედაგოგებს, ცხოვრების ახალ, მნიშვნელოვან ეტაპთან ადაპტაცია გაცილებით უმტკივნეულოდ წარიმართა, ვიდრე ეს რეალურ სასკოლო გარემოში შეიძლებოდა მომხდარიყო. ყველამ კარგად ვიცით, რომ ბევრი პირველკლასელისთვის ცხოვრებაში მომხდარი სერიოზული ცვლილებების მიღება და ახალ, სრულიად უცხო გარემოსთან შეგუება სირთულეებს უკავშირდება. ექვსი წლის ბავშვისთვის ადვილი არ არის, თუნდაც რამდენიმე საათით მოსწყდეს ნაცნობ, ჩვეულ გარემოს და დარჩეს იქ, სადაც მისთვის ყველა და ყველაფერი უცხოა და სადაც მისგან გამუდმებით ითხოვენ გარკვეული წესების დაცვას. ამიტომ არის, რომ ბევრი პირველკლასელი სასწავლო წლის პირველ დღეებში გაუთავებლად ტირის, სახლში წაყვანას ან, უკეთეს შემთხვევაში, საკლასო ოთახში დედის ყოფნას ითხოვს. ასე იყო მუდამ და საზეიმოდ მორთულ სკოლის ეზოში ატირებულ პირველკლასელებსაც ხშირად ვხედავდით. რა ხდებოდა მიმდინარე წელს, როდესაც პირველკლასელებს ონლაინრეჟიმში მოუწიათ სასკოლო ცხოვრების დაწყება და სასწავლო პროცესში ჩართვა? შინ, დედის გვერდით, კომპიუტერთან მოკალათებული პატარები გაცილებით დაცულად, უსაფრთხოდ და კომფორტულად გრძნობდნენ თავს და საგაკვეთილო პროცესშიც ხალისით ერთვებოდნენ. ყოველივე ამას ის შედეგი მოჰყვა, რომ ორი კვირის შემდეგ სკოლაში მისული ბავშვები გაცილებით უკეთ ადაპტირებულები აღმოჩნდნენ სასწავლო პროცესთან, ვიდრე იმავე პერიოდის განმავლობაში რეალურ სასკოლო გარემოში მოახერხებდნენ.

დასასრულ, ვთქვათ ისიც, რომ ყოველივე ზემოთქმული მართებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ბავშვს არც ისე დიდხანს უწევს ონლაინ სასწავლო გარემოში ყოფნა. განუსაზღვრელი დროით ონლაინსწავლება, საეჭვოა, სიკეთის მომტანი აღმოჩნდეს ბავშვებისთვის, განურჩევლად ასაკისა.

მაია ჯაღიაშვილი

# მოსწავლის დამოუკიდებლობა

> დასწავლის ფუნქცია ნაკლებადაა სრულიად ახალი ცოდნისა თუ უნარის შეძენა; ეს ჩვენს ცვინეში არსებული საინფორმაციო მარაგის გამდიდრების, განმტკიცებისა და გაღამუშავების პროცესია.

იმ ამოცანებს შორის, რომლებსაც მასწავლებელი სასწავლო პროცესში სახავს, უმნიშვნელოვანესია მოსწავლის დამოუკიდებლობის განვითარება. ეს საუკეთესოდ მაშინ მიიღწევა, როცა მოსწავლე ითვალისწინებს მასწავლებლის რჩევებს, რომლებსაც დავალების შესრულებისას იღებს. ე. წ. უკუკავშირი უნდა იყოს არა ფორმალური, არამედ არსებითი, რაც მასწავლებლისგან დროს, დაკვირვებასა და ანალიზს, ერთი სიტყვით, ძალისხმევას მოითხოვს. მოსწავლეები ხშირად მხოლოდ ქების ან კარგი ნიშნის მისაღებად ასრულებენ დავალებას. ამას აკეთებენ ვალდებულების, პასუხისმგებლობის კარნახით, რაც უთუოდ მნიშვნელოვანია სასკოლო ფასეულობათა სისტემის სიმტკიცისთვის, მაგრამ საკმარისი არ არის. მოსწავლის მიერ იმის გაცნობიერება, რისთვის სწავლობს, უმნიშვნელოვანესია მისი პიროვნული განვითარებისთვის. მასწავლებლის გამოძახილი დავალებაზე, რეფლექსია უფრო ეფექტური აღმოჩნდება, თუ მოსწავლე თვითონ იქნება ამის ინიციატორი, ე.ი. დაინტერესდება თავისი შეცდომებით და გააცნობიერებს მათი გამოსწორების აუცილებლობას, რათა შემდგომში დამოუკიდებლად შეძლოს ხარვეზების დანახვა. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, მთავარი დასაყრდენი მოსწავლის მიერ მიღწეული შედეგები და მისი ძლიერი მხარეები უნდა იყოს. საკუთარ სასწავლო პროცესზე დაკვირვება მას თვითშეფასების უნარს გამოუმუშავებს.

თვითშეფასების პროცესში უმნიშვნელოვანესია, რომ მასწავლებელმა გამოიჩინოს მეტი შემოქმედებითობა და სტანდარტული თვითშეფასების რუბრიკები ხანდახან შეცვალოს, გაამრავალფეროვნოს, სტერეოტიპული კითხვები კონკრეტულ კლასსა თუ მოსწავლეს მიმდინარე ამოცანების შესაბამისად მიუსადაგოს. მასწავლებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, რომ მოსწავლემ შეძლოს ორი რამის გამოკვეთა:

1. დასახოს შეცდომათა გამოსწორების უახლოესი გზა;
2. დასახოს შეცდომათა გამოსწორების გრძელვადიანი გზა.

ეს იმას ნიშნავს, რომ მასწავლებელმა გააცნობიეროს, რა ცოდნა და უნარები აქვს ამჟამად ისეთი, რომელთა საფუძველზეც შეიძლება კონკრეტული ხარვეზები დაძლიოს. ამავე დროს, იმასაც მიხვდეს, რომ სხვადასხვა ნაკლოვანების გამოსასწორებლად მას ბევრი შრომა და დრო დასჭირდება.

> მსოფლიო ისტორიასა და მეცნიერებაში უამრავი მაგალითია, როდესაც შეცდომით გადადგმულმა ნაბიჯმა სრულიად ახალი გზა გამოაჩინა, გეგმიდან გადახვევამ მეტი შემოქმედებითი იმპულსი დაბადა და გონებას განსხვავებული ამოცანების გადაწყვეტისკენ უბიძგა.

მოსწავლეს კი კიდევ ორ მნიშვნელოვან საკითხზე უნდა შეეძლოს დაფიქრება:

1. დამოუკიდებლად რისი გაკეთება შეუძლია უკეთესი შედეგის მისაღწევად;
2. რომელია ის ხარვეზები, რომელთა გამოსწორებაშიც მასწავლებელი უნდა დაეხმაროს.

პირისპირ თუ დისტანციური სწავლებისას მასწავლებლის უკუკავშირი მხოლოდ მაშინ იქნება ეფექტური, თუ სასწავლო პროცესის განმავლობაში მოსწავლეს ამგვარი თვითშეფასების უნარი ჩამოუყალიბდება. ამ გზაზე კი მნიშვნელოვანია, მოსწავლემ დაინახოს საკუთარი მიღწევები, რაც მასწავლებლის მიერ ყოველი წინ გადადმული ნაბიჯის შემჩნევას და დაფასებას გულისხმობს. პედაგოგმა უნდა აღიაროს მოსწავლის წინსვლა არა საერთო საკლასო სივრცისა თუ საკუთარი მიზნების კონტექსტში, არამედ, უპირველესად, მოსწავლის ცოდნისა და უნარების გათვალისწინებით. ამგვარი აღიარება იქცევა სტიმულად დამოუკიდებელი განვითარებისთვის.

მასწავლებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, რომ რეფლექსიის დროს მოსწავლემ გამოიყენოს დამოუკიდებლობის განვითარებისკენ მიმართული იმგვარი სიტყვიერი თვითშეფასებები, რომლებშიც წინსვლის იმედი გამოჩნდება. მაგალითად, შესრულებული დავალების რეფლექსიისას მოსწავლემ უნდა დაწეროს (თუ აღნიშნოს) არა ის, რომ „არ შეუძლია“, არამედ „ჯერ არ შეუძლია“, ან „ჯერ კიდევ არ შეუძლია“. ამგვარად, ჩნდება პერსპექტივა, რომ ეს „ჯერ“ თუ „ჯერჯერობით“ მხოლოდ მცირე დაბრკოლებაა, რომელიც აუცილებლად გადაილახება. ამასთანავე, გამოკვეთილი უნდა იყოს, წინა თვითშეფასებასთან შედარებით, უკვე რა შეუძლია, რა ხარვეზი გამოასწორა, რომელი დაბრკოლება გადალახა, რას მიაღწია დამოუკიდებლად თუ მასწავლებლის დახმარებით.

დამოუკიდებლობის გზაზე შეცდომების დაშვება ბუნებრივი და მისაღებია. მასწავლებელმა უნდა მიაჩვიოს მოსწავლე, რომ მან შეცდომა გაიაზროს იმგვარი რაკურსით, რომელიც აჩვენებს: სწორედ შეცდომა დაეხმარება ახლის შესწავლასა და გააზრებაში.

მსოფლიო ისტორიასა და მეცნიერებაში უამრავი მაგალითია, როდესაც შეცდომით გადადგმულმა ნაბიჯმა სრულიად ახალი გზა გამოაჩინა, გეგმიდან გადახვევამ მეტი შემოქმედებითი იმპულსი დაბადა და გონებას განსხვავებული ამოცანების გადაწყვეტისკენ უბიძგა. ამგვარად, მოსწავლეებისთვის კარგი იქნება თანამედროვე, ცნობილი, წარმატებული ადამიანების გამოცდილების გაცნობა, მათი გამონათქვამების ციტირება. მაგალითად, მსოფლიოში ცნობილი ინოვატორის, ელექტრომობილებისა (Tesla) და კოსმოსური ხომალდების (SpaceX) მწარმოებელი კომპანიის დამფუძნებელი ილონ მასკი ამბობს: „შეცდომის დაშვება საშიში არ არის. მთავარია, ყველა შეცდომა ახალი იყოს და არასდროს გაიმეოროთ ძველი“; „ყველაზე რთული საკუთარ თავთან გულწრფელობა, საჭირო კითხვების მოძიება და პასუხის გაცემაა. თუ საკუთარ თავთან გულახდილად საუბარს შეძლებთ, დარწმუნებული იყავით, რომ ცხოვრებაში ყველაფერი გამოგივათ“.

„სტენფორდის „ცხოვრების მოწყობის“ ლაბორატორიაში გამოკრულია პოსტერი, რომელზეც წერია: „თქვენ აქ ხართ“. მოსწავლეებმა უნდა მიმოიხედონ გარშემო, დააკვირდნენ საკუთარ თავს და სიტყვიერად გამოხატონ, როგორ აქვთ გაცნობიერებული „აქ ყოფნა“, მერე კი სამი უმნიშვნელოვანესი კითხვა დასვან:

1. საით მივდივარ?
2. როგორ მივაღწევ იქამდე?
3. შემდეგ სად წავალ?

სწორედ ეს სიტყვები უნდა გამოაკრას ყველა მასწავლებელმა თვალსაჩინოდ საკლასო დაფაზე და ელექტრონულადაც განათავსოს, როგორც ყოველდღიურად გასათვალისწინებელი „რესურსი“ საკუთარ თავზე ფიქრისთვის, შესაძლებლობათა გამუდმებული ანალიზისთვის. უკუკავშირი უნდა დაიწყოს და დაამთავროს მოსწავლემ. „როდესაც სწავლების საჭესთან მოსწავლე ჯდება, ის თვითონ განსაზღვრავს ადგილმდებარეობას, მოძრაობის მარშრუტს და დანიშნულების ადგილს, აგრეთვე იმასაც, საითკენ გაემგზავროს შემდეგ“, – ვკითხულობთ ამერიკელი მასწავლებლის კარა დაუმას წერილში „მოსწავლის დამოუკიდებლობის განვითარების მეთოდი“.

ამერიკელი მასწავლებელი ტომ გიბსონი კი ძალიან საინტერესო წერილში „ექვსი უდიდესი შეცდომა, რომლებსაც მასწავლებლები უშვებენ“ გამოკვეთს, რა უშლის ხელს პედაგოგს, მოსწავ-

ლეს მეტი დამოუკიდებლობა მისცეს. მისი აზრით, პირველი შეცდომაა ის, რომ მასწავლებელს სურს, გამუდმებით ყველაფერს აკონტროლებდეს. გიბსონი უდიდეს ძალისხმევას ახარჯავდა იმას, რომ მოსწავლეებს სცოდნოდათ, რა უნდა შეესრულებინათ და თუ არ დაუჯერებდნენ, წარმოედგინათ, რა მოჰყვებოდა ამას. კონტროლის დაკარგვის შეგრძნება ხშირად უჩნდებოდა და აღიზიანებდა. მაგალითად, თუ მოსწავლე დაიგვიანებდა, იცელქებდა, დავალებას არ შეასრულებდა. მას მოსწონდა შეგრძნება, რომ ყველაფერს აკონტროლებდა, ყველაფერზე გავლენას ახდენდა. ფიქრობდა, რომ ამგვარი ტოტალური ზედამხედველობა მისთვისაც და მოსწავლეებისთვისაც ხარისხიან სასწავლო პროცესს უზრუნველყოფდა. თუმცა მალე მიხვდა, რომ მეტი თავისუფლება უნდა მიეცა მათთვის და ამან უკეთესი შედეგი გამოიღო. იმავე დავალებებს, რომლებსაც ადრე უხალისოდ ხვდებოდნენ, მოსწავლეები ახლა მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ.

ტომ გიბსონი იმასაც ურჩევს მასწავლებლებს, მეტისმეტად სერიოზულ, უკმაყოფილო, მოქუფრულ და დაძაბულ სახეს ნუ მიიღებენ, როდესაც ყველაფერი ისე არ არის, როგორც დაგეგმეს. მაგალითად, გაკვეთილზე მოსწავლემ უადგილოდ გაიცინა, ან მოულოდნელად უკბილოდ იხუმრა. ამ დროს მათთან ერთად გაცინება საუკეთესო გამოსავალი იქნება. მასწავლებელმა არც იმაზე უნდა იტეხოს თავი, როგორ მოიქცეს, რომ მოსწავლეებს სულ მოსწონდეთ და მისით აღტაცებულნი იყვნენ. მთავარია, პატივისცემა ჰქონდეთ და არა მეგობრული მოწონება. მათ უნდა იგრძნონ, რომ პედაგოგიც აღიარებს მოსწავლეებს, უყვარს და პატივს სცემს.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებლისთვის ერთადერთი სწორი პასუხი კი არ იყოს მთავარი,

არამედ ამ პასუხამდე მისასვლელი, შეცდომებით სავსე გზები. მან მეტი დამოუკიდებლობა უნდა მისცეს მოსწავლეებს და ზიანი არ მიაყენოს სწავლების პროცესს. ხანდახან მოსწავლეები პრობლემის გადაწყვეტის ისეთ ორიგინალურ გზას აგნებენ, რომელზეც მასწავლებელს არც უფიქრია. არც ის არის საჭირო, მასწავლებელმა მაშინვე შეაფასოს, სწორი გზით მიდის თუ არა მოსწავლე, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ამ უკანასკნელმა ჰკითხოს კიდეც ამის შესახებ. თუ მასწავლებელი თავიდანვე მიანიშნებს, რომ ამოცანის ამოხსნის სწორ ხერხს მიაგნო, მოსწავლე ფიქრს შეწყვეტს. დაე, მან ბოლომდე არ იცოდეს ამის შესახებ და სხვადასხვა გზა მოსინჯოს, რათა მისი აზროვნების პროცესი უფრო მრავალფეროვანი და მასწავლებლისგან მაქსიმალურად დამოუკიდებელი გახდეს.

უკუკავშირი სასარგებლო ინფორმაციას უნდა შეიცავდეს. ეს მნიშვნელოვანია დასწავლის პროცესის დასაჩქარებლად. ექსპერტთა აზრით და კვლევების მიხედვით, დასწავლის ფუნქცია ნაკლებადაა სრულიად ახალი ცოდნისა თუ უნარის შეძენა; ეს ჩვენს ტვინში არსებული საინფორმაციო მარაგის გამდიდრების, განმტკიცებისა და გადამუშავების პროცესია. არაერთი მეცნიერული კვლევა არსებობს იმის შესახებ, თუ რა გავლენას ახდენს უკუკავშირი არა მხოლოდ მოზარდ, არამედ ზრდასრულ ადამიანებზეც. ადამიანის ტვინი უნიკალურია და შეუძლია, გარკვეულ მონაცემებზე დაყრდნობით თვითონვე განსაზღვროს, რა სჭირდება განსავითარებლად, ოღონდ სხვისი შეფასება მეტად მნიშვნელოვანია საკუთარი გადაწყვეტილების ფორმირებისა და მიღებისთვის.

ეს კარგად იცოდა ადამიანის ფსიქოლოგიის ღრმა მცოდნემ – შოთა რუსთაველმა, ამიტომ იმ რთულ ვითარებაში, როცა ტარიელს ძალიან უჭირდა ფიქრი, ავთანდილის რჩევაზე მაინც ასე აპასუხებინა: „ჰკითხე ასთა, ქმენ გულისა, რა გინდა ვინ გივაზიროს“ (ეს იყო პასუხი რჩევაზე: „რაცა არ გწადდეს, იგი ჰქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასა“). „გული“ ამ შემთხვევაში ინდივიდუალურობას გულისხმობს, თუმცა გულს სჭირდება სხვათა შეფასებები, რათა მათზე დაყრდნობით საბოლოოდ მაინც საკუთარი გზა აირჩიოს.

საინტერესოა ამ თვალსაზრისით ასეთი ექსპერიმენტი: „მეცნიერებმა სტუდენტები ორ ჯგუფად დაყვეს. ერთ ჯგუფს დაევალა, თავის ოცნებებსა და მათი ასრულების გზებზე ეფიქრა, ხოლო მეორე ჯგუფს – მხოლოდ საშინაო დავალების შეცდომებზე კონცენტრირება. მეცნიერები თითოეულ სტუდენტს მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიით (MRI) აკვირდებოდნენ, რომ დაენახათ, ტვინის რომელი ნაწილი აქტიურდებოდა ფიქრის პროცესში. მეორე ჯგუფის შემთხვევაში სიმპათიკური (არეგულირებს ორგანიზმის რეაქციებს დაძაბულ სიტუაციებში) ნერვული სისტემა გააქტიურდა. ის საფრთხის ან სტრესის დროს ტვინს „ბრძოლისათვის“ ამზადებს. აქ ყალიბდება „შეებრძოლე ან გაიქეცი“ რეაქცია, რომელიც ტვინის სხვა ნაწილებს აჩუმებს. იმაზე ფოკუსირება, რაც ადამიანებმა არ იციან, დასწავლის სურვილს არ ზრდის, პირიქით, აზიანებს მას. იმ სტუდენტების ტვინში კი, რომლებიც თავიანთ ოცნებებზე ფოკუსირდნენ, აინთო პარასიმპათიკური ნერვული სისტემა, რომელიც ნერვული უჯრედების განვითარებას, კეთილდღეობის შეგრძნებას, იმუნური სისტემის უკეთეს ფუნქციონირებას უწყობს ხელს. ექსპერიმენტმა დაადასტურა, რომ ადამიანი „კომფორტის ზონაში“ უფრო შემოქმედებითია და უფრო მეტს სწავლობს.

საქართველოში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, პანდემიამ ჰიბრიდული სწავლების მოდელის დანერგვის აუცილებლობა წარმოშვა. ეს სიახლეა მასწავლებლებისთვისაც და მოსწავლეებისთვისაც. მოსწავლეთა ნაწილი სკოლაში დადის, ნაწილს კი დისტანციურად უტარდება გაკვეთილები. რა თქმა უნდა, მასწავლებელს დროის განაწილების პრობლემა უჩნდება, მაგრამ ნებისმიერ ვითარებაში მან უნდა მიაგნოს სწავლების იმგვარ ფორმებს, რომლებიც მეტ მნიშვნელობას შესძენს უკუკავშირის ფუნქციას, დამოუკიდებლობისკენ უბიძგებს მოსწავლეს, დაანახვებს სწავლის თუნდაც ძალიან მცირე შედეგს. ეს მას ერთგვარ „კომფორტის ზონას“ შეუქმნის და მეტის მიღწევის იმედს ჩაუსახავს. ეს აუცილებელია, რათა მან საკუთარი თავის ირწმუნოს და ნებისმიერი დაბრკოლება სამომავლოდ მოგვარების პერსპექტივით განიხილოს.

გიორგი ბაუბიძე

# სასწავლო ერთეულის (მატრიცის) შექმნის გზამკვლევი

**რა ნაბიჯები უნდა გადავდგათ დაწყებით საფეხურზე ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისთვის შერჩეული ტექსტის მიხედვით თემატური (სასწავლო) ერთეულის დაგეგმვისას?** სხვაგვარადაც შეგვიძლია ვიკითხოთ: **როგორ შევქმნათ სასწავლო ერთეული ქართულში?**

ამ კითხვაზე პასუხის გაცემაში წინამდებარე ტექსტი დაგვეხმარება. ამ ტექსტის უკეთ გასააზრებლად, კარგი იქნება, თუ შეასრულებთ ქვემოთ მოცემულ დავალებას:

ყურადღებით წაიკითხე წინამდებარე ტექსტი **„სასწავლო ერთეულის შექმნის გზამკვლევი“** და მასზე დაყრდნობით დაამზადე პოსტერი „ოთხი ნაბიჯი სასწავლო ერთეულის შესაქმნელად“.

**პოსტერის დამზადებისას:**

- გამოიყენე A4 ფორმატის ცარიელი ფურცელი და სხვადასხვა სახის საწერი თუ სახატავი მასალა (ან რომელიმე ციფრული პლატფორმა).
- ნამუშევარში გადმოეცი ტექსტში მოცემული საკვანძო, ძირითადი ინფორმაცია.
- გააფორმე ილუსტრაციებით და/ან სიმბოლოებით.

**ნამუშევრის პრეზენტაციისას ხაზი გაუსვი:**

- როგორ გაქვს პოსტერზე გადმოცემული საკვანძო ინფორმაცია სასწავლო ერთეულის შევსების შესახებ.
- რამდენად ეფექტურად გაქვს გამოყენებული ესა თუ ის ილუსტრაცია თუ სიმბოლო.

**პრეზენტაციის შემდეგ ისაუბრე:**

- როგორ დაიწყე დავალებაზე მუშაობა, რას მიაქციე ყურადღება პირველ რიგში?
- რა იყო შედარებით ძნელად შესასრულებელი?
- რას გააკეთებდი სხვაგვარად, ხელახლა რომ ასრულებდე დავალებას?

## ტექსტების შერჩევა

დასაწყისშივე განვმარტოთ, რომ სასწავლო (თემატურ) ერთეულში ვგულისხმობთ გარკვეული ლოგიკით წარმოდგენილი სასწავლო პროცესის ერთგვარ გზამკვლევს. თემატური ერთეულის აგების ლოგიკა და მისი ფორმა შემოთავაზებულია ახალი სკოლის მოდელის ექსპერტებისა და სპეციალისტების მიერ და ინტენსიურად ინერგება ჩვენს სკოლებში.

მშობლიური ენისა და ლიტერატურის სასწავლო ერთეულის (მატრიცის) ლოგიკურ აგებას დიდწილად განსაზღვრავს ტექსტი. მნიშვნელოვანია, რის დამუშავება გვინდა გაკვეთილებზე. ტექსტები ერთმანეთისგან განსხვავდება თემატიკით, მოცულობით, კითხვადობის სირთულით, ლექსიკური თუ ჟანრობრივი მახასიათებლებით, შექმნის მიზნით, სტილითა და სხვა ნიშნებით. შესაბამისად, თითოეული ტექსტის სასწავლო პროცესში დამუშავებას თავისებური, განსხვავებული, ინდივიდუალური მიდგომა სჭირდება.

ჩვენი ამოცანაა, თითოეულ ტექსტს შევურჩიოთ ადეკვატური, მოსწავლეთათვის საინტერესო და სასარგებლო აქტივობა-

> კარგად მოფიქრებული საკვანძო კითხვები ერთგვარი გზამკვლევია მასწავლებლებისთვის საიმისოდ, რომელ აქტივობაზე ამუშაონ მოსწავლეები კომპლექსური დავალების შესრულების მიზნით. შესაბამისად, აქტივობების გაწერა ერთგვარ ბოლო საფეხურადაც შეგვიძლია მივიჩნიოთ.

ბები, რომელთა საშუალებითაც სამიზნე ცნებების დამუშავებას მოვახერხებთ.

სანამ საუბარს გავაგრძელებთ, ყურადღება გავამახვილოთ ტექსტის შერჩევის ორ განმაპირობებელზე:

1. **თემა** – რა თემაზეა ტექსტი. გასაგები რომ გახდეს, რას ვგულისხმობთ, მაგალითი განვიხილოთ, რადგან სხვადასხვა სპეციალისტი „თემაში“ სხვადასხვა შინაარსს დებს. თემატური ერთეულების ფორმაში მეტი სიზუსტისა და სიცხადისთვის „დამატებითი თემატიკის“ ცნებაცაა შემოთავაზებული. თუ ტექსტი ცხოველების მეგობრობას ასახავს, რა თემაზე იქნება იგი? ალბათ, მეგობრობაზე, მაგრამ ეს არ არის საკმარისი ინფორმაცია მასწავლებლისთვის, რომელიც, დავუშვათ, დაინტერესებულია ამ მასალით. ამიტომ საჭიროა დაზუსტება, რომ ეს ტექსტი ცხოველების შესახებაცაა.

   თემაზე აქცენტის დასმა არ არის შემთხვევითი. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები ასაკობრივი შესაბამისობის შემდეგ სამართლიანად ანიჭებენ უმთავრეს მნიშვნელობას თემატური ერთეულის (სასწავლო ერთეულის, ე. წ. მატრიცის) ცნებას. ერთ თემაში ადვილად ლაგდება სწავლება.

2. **ჟანრი** – რა ჟანრის ტექსტია. მასწავლებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს შერჩეული ტექსტის ჟანრობრივ მახასიათებლებს. ერთ-ერთი მიზანი სწორედ ჟანრობრივი მრავალფეროვნება უნდა იყოს და არა მხოლოდ რომელიმე ერთი ჟანრის ტექსტების, დავუშვათ, იგავ-არაკების, შეთავაზება და სწავლება.

გარდა ამისა, ტექსტის შერჩევისას ვითვალისწინებთ, რა იდეის მატარებელია, როგორია მისი კითხვადობის დონე და შეესაბამება თუ არა ამ მახასიათებლით ჩვენი მოსწავლეების მზაობას, ვინ არის მისი ავტორი, რადგან სხვადასხვა ავტორის ნაწარმოებების შეთავაზება სტილურ მრავალფეროვნებასაც გამოიწვევს. როდესაც ასაკობრივი თავისებურების გათვალისწინებაზე ვსაუბრობთ, თემისა და ტექსტის კითხვადობის დონესთან ერთად ყურადღება უნდა მივაქციოთ მოცულობასაც, განსაკუთრებით – დაწყებით საფეხურზე.

დაბოლოს, მასწავლებლები უნდა დავფიქრდეთ, როგორ დამუშავდება ეს ტექსტი, რომელი სასწავლო საკითხის გასააქტიურებლად იქნება გამოსადეგი და რომელი კომპლექსური დავალების შეწყობა იქნება მისთვის მოხერხებული. შესაძლოა, უკანასკნელი ორი პარამეტრიდან თითოეულმა რომელიმე კონკრეტული ტექსტის სასარგებლოდ მიგვაღებინოს გადაწყვეტილება.

## რას გულისხმობს სასწავლო საკითხის შერჩევა?

ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველა საკითხი სამიზნედ გამოვაცხადოთ იმისდა მიხედვით, შევეხებით თუ არა მას სასწავლო პროცესში. მაგალითად, ტექსტზე მუშაობისას ყურადღებას მივაქცევთ ისეთ არავერბალურ ელემენტს, როგორიცაა ილუსტრაცია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ საკითხზე საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ, თუკი რაიმე საჭიროება არ დგას. შესაბამისად, უნდა ვეცადოთ, საკითხთა ჩამონათვალში თანდათან დავფაროთ ისინი მთელი წლის, მეტიც, საფეხურის განმავლობაში.

როდესაც ტექსტს გავეცნობით, ის პირდაპირ გვკარნახობს, რა სასწავლო საკითხი გავააქტიუროთ მისი დამუშავების დროს. ამის პარალელურად ვფიქრობთ, როგორი კომპლექსური დავალება შევთავაზოთ მოსწავლეებს თითოეული ცნების ჭრილში.

**საკითხები**

| შინაარსობრივი მხარე | ენობრივი მხარე | ჟანრობრივი მახასიათებლები |
|---|---|---|
| • მთავარი იდეა/დედააზრი, მინიშნება; მთავარი და არამთავარი ინფორმაცია;<br>• სიუჟეტის განვითარების საფეხურები (დასაწყისი, შუა ნაწილი, დასასრული); | • ლექსიკა – უცნობი სიტყვები; შესიტყვებები; იშვიათად გამოყენებული სიტყვები; ფრთიანი გამონათქვამები; სიტყვათა სემანტიკური | • კონკრეტული საბავშვო თხრობითი მხატვრული ტექსტების<br>• კონკრეტული არამხატვრული |

| | | |
|---|---|---|
| თანამიმდევრულობა; ეპიზოდი; დიალოგი.<br>• მოქმედების დრო და ადგილი;<br>• პერსონაჟი – ქცევა, მოტივაცია, შინაგანი სამყარო – ფასეულობები, დამოკიდებულებები; პიროვნული მახასიათებლები, ემოციები, ურთიერთობა სხვა პერსონაჟებთან;<br>• ავტორი, მთხრობელი, ხედვის კუთხე | კავშირები (სინონიმები, ანტონიმები, ლექსიკური ბუდეები); ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები (მაგ., მხატვრული ხერხები, ფრაზეოლოგიზმები);<br>• გრამატიკული საშუალებებები (სიტყვათწარმოება, რიცხვის წარმოება, ბრუნება, უღლება, რთული სიტყვები; ხარისხის ფორმები, სასვენი ნიშნები); ქრონოლოგიური და ლოგიკური კავშირების (მაგ., მიზეზშედეგობრიობის) გამომხატველი ენობრივი საშუალებები<br>• სტრუქტურული მხარე მაორგანიზებელი ვერბალური და არავერბალური ელემენტები და მათი განლაგება (მაგ., სათაური, ილუსტრაცია) | ჟანრის ტექსტების (მაგ., საინფორმაციო-დარგობრივი ტექსტები, შემეცნებითი სტატია),<br>• ლექსების |

## რა არის კომპლექსური დავალება?

მცირე ხნით შევჩერდეთ კომპლექსური დავალების პირობის ჩამოყალიბებაზე, რადგან იგი იმ მხრივაც არის საინტერესო, რომ შეფასების კრიტერიუმებსაც მოიცავს.

კომპლექსური დავალება, როგორც ვიცით, შემოქმედებითი პროდუქტის შექმნას გულისხმობს. აქ სიტყვა „შემოქმედებითი“ არ გულისხმობს მხატვრულ ნაწარმოებს - ნებისმიერი ნამუშევარი ასეთად შეგვიძლია მივიჩნიოთ. მოსწავლეს მკაფიოდ, თვალსაჩინოდ უნდა ავუხსნათ, რაზე მუშაობას მოვითხოვთ მისგან. უნდა ვაჩვენოთ, გავახსენოთ მსგავსი დავალება და ნამუშევარი. შესაძლოა, ასეთი ნამუშევრის შექმნის მოდელირებაც კი დაგვჭირდეს.

კომპლექსური დავალების პირობაში მითითებული უნდა იყოს, რა უნდა წარმოაჩინოს მოსწავლემ, რაზე ისაუბროს პრეზენტაციისას და პრეზენტაციის შემდეგ. ეს მხარე თუ არ იქნა გათვალისწინებული კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისა და პრეზენტაციის დროს, პროცესი სასარგებლო, მაგრამ რიგით აქტივობას დაემსგავსება.

განვიხილოთ ჩვენ მიერ შემოთავაზებული დავალება პოსტერის დამზადების შესახებ, რაზეც ახლა ვმუშაობთ, რა მიზნითაც ამ ტექსტს ვკითხულობთ:

ყურადღებით წაიკითხე წინამდებარე ტექსტი **„სასწავლო ერთეულის შექმნის გზამკვლევი“** და მასზე დაყრდნობით დაამზადე პოსტერი „ოთხი ნაბიჯი სასწავლო ერთეულის შესაქმნელად“.

**პოსტერის დამზადებისას:**

- გამოიყენე A4 ფორმატის ცარიელი ფურცელი და სხვადასხვა სახის საწერი თუ სახატავი მასალა (ან რომელიმე ციფრული პლატფორმა).
- ნამუშევარში გადმოეცი ტექსტში მოცემული საკვანძო, ძირითადი ინფორმაცია.

> მშობლიური ენისა და ლიტერატურის სასწავლო ერთეულის (მატრიცის) ლოგიკურ აგებას დიდწილად განსაზღვრავს ტექსტი. მნიშვნელოვანია, რის დამუშავება გვინდა გაკვეთილებზე. ტექსტები ერთმანეთისგან განსხვავდება თემატიკით, მოცულობით, კითხვადობის სირთულით, ლექსიკური თუ ქანრობრივი მახასიათებლებით, შექმნის მიზნით, სტილითა და სხვა ნიშნებით. შესაბამისად, თითოეული ტექსტის სასწავლო პროცესში დამუშავებას თავისებური, განსხვავებული, ინდივიდუალური მიდგომა სჭირდება.

- გააფორმე ილუსტრაციებით და/ან სიმბოლოებით.

**ნამუშევრის პრეზენტაციისას ხაზი გაუსვი:**

- როგორ გაქვს პოსტერზე გადმოცემული საკვანძო ინფორმაცია სასწავლო ერთეულის შევსების შესახებ.
- რამდენად ეფექტურად გაქვს გამოყენებული ესა თუ ის ილუსტრაცია თუ სიმბოლო.

**პრეზენტაციის შემდეგ ისაუბრე:**

- როგორ დაიწყე დავალებაზე მუშაობა, რას მიაქციე ყურადღება პირველ რიგში?
- რა იყო შედარებით ძნელად შესასრულებელი?
- რას გააკეთებდი სხვაგვარად, ხელახლა რომ ასრულებდე დავალებას?

კომპლექსური დავალების კიდევ ერთხელ გადათვალიერების შემდეგ კიდევ ერთი კითხვა დავსვათ: რა საკითხს შეიძლება შეესაბამებოდეს ეს კონკრეტული კომპლექსური დავალება? ვფიქრობ, პასუხი ცხადია: ჩვენ ვმუშაობთ ტექსტის შინაარსობრივ მხარეზე, მთავარი და არამთავარი ინფორმაციის გამოკვეთაზე და სწორედ ამ სტრატეგიის გამოყენება გვეხმარება კომპლექსური დავალების შესრულებაში.

კარგი იქნება, თუ კომპლექსური დავალების პირობის ჩამოყალიბებისას გავითვალისწინებთ შესაბამისი ცნების მკვიდრ წარმოდგენებს. მათი გადაკეთება, ერთი მხრივ, ადეკვატური მითითებების შედგენაში დაგვეხმარება, მეორე მხრივ, შეასრულებს შეფასებისთვის საჭირო საყრდენების როლს.

კონკრეტული მაგალითისთვის ვნახოთ ტექსტის ცნების მკვიდრი წარმოდგენა: *ყველა ტექსტს აქვს შინაარსი, ენა და სტრუქტურა.* ამის ასახვა შემდეგნაირადაა შესაძლებელი კომპლექსური დავალების პირობაში (დავუშვათ, კომიქსში, რომელიც უნდა შექმნან ტექსტის „სპილოს ინტერვიუ ჭიანჭველასთან“ მიხედვით): კომიქსში წარმოაჩინე ტექსტის შინაარსი და გამოიყენე ტექსტის ენა...

კიდევ ერთ მკვიდრ წარმოდგენას დავუკვირდეთ: *ტექსტში ზოგიერთი ინფორმაცია პირდაპირი მინიშნების სახითაა მოცემული, ზოგიერთი - არაპირდაპირი მინიშნების სახით.* ეს მკვიდრი წარმოდგენა შემდეგნაირად შეიძლება აისახოს პირობაში: ნამუშევრის პრეზენტაციისას აღნიშნე, კომიქსში შენ მიერ წარმოდგენილი ჭიანჭველას თვისება პირდაპირ არის ტექსტში მოცემული თუ არაპირდაპირ...

## საკვანძო კითხვები

მას შემდეგ, რაც კონკრეტულ ცნებასა და მის მკვიდრ წარმოდგენებზე დამიზნებულ კომპლექსურ დავალებას შევარჩევთ თუ შევქმნით, უნდა მოვიფიქროთ საკვანძო კითხვა. რა არის საკვანძო კითხვის მიზანი? როგორც ვიცით, ის მასწავლებლებს გვეხმარება, სასწავლო პროცესი მიზანმიმართულად, ზედმეტი გადახვევების გარეშე წარვმართოთ, ხოლო მოსწავლეებს კარგი სასწავლო კითხვა აღუძრავს მოტივაციას, წინარე ცოდნაზე დააფიქრებს და კომპლექსურ დავალებაზე სამუშაოდ მობილიზებაში ეხმარება.

კიდევ ერთხელ მივუბრუნდეთ ჩვენს დავალებას (პოსტერს „ოთხი ნაბიჯი სასწავლო ერთეულის შესაქმნელად“) და დავფიქრდეთ, რა იქნებოდა საკვანძო შეკითხვა ამ დავალებისთვის? ეს შეკითხვა დაისვა კიდეც, სანამ ამ ტექსტის კითხვას დავიწყებდით: **რა ნაბიჯები უნდა გადავდგათ ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას შერჩეული ტექსტის მიხედვით სასწავლო ერთეულის დაგეგმვისას?** სხვაგვარადაც შეგვიძლია ვიკითხოთ: **როგორ შევქმნათ თემატური ერთეული?**

საკვანძო კითხვები უნდა დავსვათ როგორც ცალკეული კომპლექსური დავალების პირობის წარდგენამდე, ისე წარდგენის შემდეგაც, თითოეულ ეტაპსა და ქვეეტაპზე მუშაობის დაწყებისას. მაგალითად, პირველი ეტაპის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობისთვის საკვანძო შეკითხვა იქნება: **რას მოითხოვს ჩემგან ეს კომპლექსური დავალება? რა შემიძლია გავაკეთო დამოუკიდებლად?**

ეტაპებისა და ქვეეტაპებისთვის განკუთვნილი საკვანძო შეკითხვები შემოთავაზებულია ცარიელ ფორმებში. რასაკვირველია, მასწავლებელს შეუძლია, უფრო მეტად დააკონკრეტოს ისინი და მოარგოს კონკრეტულ ტექსტსა თუ კლასს. თუ შევაჯამებთ, შეიძლება გამოვკვეთოთ შემდეგი რანგის საკვანძო კითხვები: თემაზე, ცნებაზე, სასწავლო საკითხზე, კომპლექსურ დავალებაზე, ეტაპზე, ქვეეტაპსა და აქტივობაზე ორიენტირებული სასწავლო კითხვები.

ეს ზოგადი ნათქვამი კონკრეტული ტექსტის „**სპილოს ინტერვიუ**

ჭიანჭველასთან“ მიხედვით შემდეგნაირად ჩაიშლება:

**თემატური საკვანძო შეკითხვა:** რა საინტერესო თვისებები აქვთ ცხოველებს?

**ტექსტის ცნებაზე ორიენტირებული საკვანძო შეკითხვები:** როგორაა გადმოცემული მთავარი სათქმელი? როგორ შეიძლება ამოვიცნო ტექსტში დაფარული ინფორმაცია?

**სასწავლო საკითხზე, პერსონაჟზე ორიენტირებული საკვანძო შეკითხვა:** რა თვისებებით გამოირჩევა ჭიანჭველა?

**კომპლექსურ დავალებაზე ორიენტირებული სასწავლო შეკითხვა:** როგორ წარმოაჩენს ჭიანჭველა საკუთარ თავს?

**ეტაპზე ორიენტირებული საკვანძო შეკითხვა:** როგორ წარმოვაჩინო ჭიანჭველას საინტერესო თვისებები კომპლექსურ დავალებაში?

**ქვეეტაპზე ორიენტირებული სასწავლო შეკითხვები:** რა ვიცი ჭიანჭველების შესახებ (თუ ტექსტის წაკითხვამდე ქვეეტაპია)? როგორ მოვახდინო ტექსტის წაკითხვით მსმენელებზე შთაბეჭდილება (თუ გაწაფული კითხვის ქვეეტაპია)?

## აქტივობები

კარგად მოფიქრებული საკვანძო კითხვები ერთგვარი გზამკვლევია მასწავლებლებისთვის საიმისოდ, რომელ აქტივობაზე ამუშაონ მოსწავლეები კომპლექსური დავალების შესრულების მიზნით. შესაბამისად, აქტივობების გაწერა ერთგვარ ბოლო საფეხურადაც შეგვიძლია მივიჩნიოთ. ამ პროცედურის შესახებ რამდენიმე საკვანძო მომენტს უნდა გავუსვათ ხაზი:

- თითოეული აქტივობის დაგეგმვისას უნდა გავითვალისწინოთ, რამდენად ემსახურება მასზე მუშაობა კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე კონცენტრირებას. ბევრი სასარგებლო აქტივობის მოფიქრება შეიძლება რომელიმე კონკრეტულ ტექსტზე სამუშაოდ, მაგრამ იქნება კი ყველა მათგანი ჩვენ მიერ შერჩეულ კომპლექსურ დავალებაზე დამიზნებული? რასაკვირველია, არა.
- გაწერილი აქტივობები ერთგვარი მონახაზია, რომელიც დაზუსტდება და შეივსება უშუალოდ ამ აქტივობების ჩატარების შემდეგ. შესაბამისად, ჩვენი სასწავლო ერთეული საბოლოო სახეს ამ აქტივობების მოსწავლეებთან მოსინჯვის შემდეგ მიიღებს.
- წინა პუნქტის გათვალისწინებით, მხოლოდ ამის შემდეგ გახდება თვალსაჩინო, რამდენი დრო დასჭირდა ამ კონკრეტული სასწავლო ერთეულის მოსწავლეებთან გაცოცხლებას და ამის შემდეგ შეივსება მატრიცის ის ადგილი სატიტულო გრაფაში, სადაც საათების რაოდენობაა მითითებული.
- საბოლოო სახით ჩამოყალიბებული სასწავლო ერთეული, რასაკვირველია, შეგვიძლია გამოვიყენოთ მომდევნო წელსაც, სხვა კლასთანაც, გავუზიაროთ სხვა მასწავლებელსაც და ამ ხელახალი გამოყენებისას ის კვლავ შეიძლება დაექვემდებაროს ცვლილებებს, იმისდა მიხედვით, რა მზაობა და საჭიროებები აქვთ სხვა კლასის მოსწავლეებს.

ბოლოს გავიხსენოთ, როგორაა შემოთავაზებული ტექსტის გაგება-ინტერპრეტირების ცნებაზე მუშაობისას აქტივობები ეტაპებისა და ქვეეტაპების მიხედვით:

**1-ლი ეტაპია** კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა, როდესაც მოსწავლეები უპასუხებენ საკვანძო კითხვებს: რას მოითხოვს ჩემგან ეს კომპლექსური დავალება? რას შევძლებ დამოუკიდებლად? რაში დამჭირდება დახმარება?

ამ ეტაპზე მასწავლებელი აცნობს ბავშვებს კომპლექსურ დავალებას, რათა ყველამ გაიგოს, რა უნდა გააკეთონ, რაზე უნდა გაამახვილონ ყურადღება, რაზე უნდა ისაუბრონ ნამუშევრის პრეზენტაციისას და პრეზენტაციის შემდეგ. ამისთვის მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა აჩვენოს ადრე შექმნილი ის პროდუქტი, რომლის მსგავსის შექმნაც ამ კომპლექსურ დავალებაში მოეთხოვებათ. თუ ასეთი დავალება პირველად სრულდება, მასწავლებელმა უნდა მიმართოს მოდელირებას: გაახსენოს უკვე შესწავლილი, ნაცნობი ნაწარმოები (მაგალითად, „წითელქუდა“, „მიამიტი ღამურა“) და ამ ნაწარმოების მიხედვით აუხსნას, რა უნდა გააკეთონ (კომიქსი, პოსტერი, პერსონაჟი სქემა...) და როგორ.

**მეორე ეტაპზე** მოსწავლეები ემზადებიან კომპლექსური

დავალების შესასრულებლად და ეს ეტაპი განსხვავდება სხვა ცნებებზე მუშაობის ეტაპებისგან, რადგან მოსწავლეები პირველად ეცნობიან ტექსტს. მაგალითად, წერის ცნებაზე მუშაობისას პირველი ეტაპის ანუ კომპლექსური დავალების პირობის გაცნობის შემდეგ ისინი პირდაპირ იწყებენ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობას.

მეორე ეტაპის საკვანძო კითხვაა: რა უნდა ვისწავლო/გავაცნობიერო იმისთვის, რომ მოცემული კომპლექსური დავალების შესრულება შევძლო?

სწორედ ეს ეტაპია დაყოფილი რამდენიმე ქვეეტაპად:

**პირველია ტექსტის წაკითხვამდე ქვეეტაპი,** როდესაც პასუხი უნდა გაეცეს საკვანძო კითხვებს: რას მეუბნება პირველადი მინიშნებები (მაგალითად, სათაური, ილუსტრაცია) ტექსტის შესახებ? რით უკავშირდება ისინი ჩემს ცოდნას?

ამ ქვეეტაპზე ჩატარებული აქტივობების შედეგად აღიძვრება მოტივაცია საკვანძო შეკითხვის/შეკითხვების დასმით, წინარე ცოდნის გააქტიურება სათაურსა და ილუსტრაციებზე დაყრდნობით, ვარაუდების გამოთქმა სათაურსა და ილუსტრაციებზე დაყრდნობით...

**შემდეგი ქვეეტაპია ტექსტის წაკითხვა – შინაარსის აღმოჩენა** საკვანძო შეკითხვით: რას მეუბნება ტექსტი?

ამ ქვეეტაპზე ხდება ტექსტის წაკითხვა, რაც სხვადასხვა ფორმითა და მეთოდით შეიძლება წარიმართოს: მასწავლებლის მიერ ტექსტის ხმამაღლა წაკითხვა პაუზებით, მონაკვეთებად წაკითხვისას ვარაუდების გამოთქმა და გადამოწმება, კითხვის დროს ან კითხვის დასასრულს კითხვების დასმა და პასუხების გაცემა, მოსწავლეების მიერ ინდივიდუალურად (ან წყვილებში, ან მცირე ჯგუფებში) წაკითხვა და რომელიმე კოგნიტიური სქემის (მაგალითად, პერსონაჟზე, შინაარსზე, მოვლენათა განვითარებაზე, მიზეზებსა და შედეგებზე) შევსება.

სასურველია, ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე მუდმივად ხდებოდეს ლექსიკური მარაგის გამდიდრებაზე

ზრუნვა. სწორედ ამისთვისაა შემოთავაზებული ერთ-ერთი ქვეეტაპი **ტექსტის ენა – სიტყვებისა და შესიტყვებების უცნობ სამყაროში შესვლა,** საკვანძო შეკითხვით: როგორ აღმოვაჩინო სიტყვის სამყარო?

ამ ქვეეტაპზე ხდება სიტყვებისა და გამოთქმების განმარტება, სხვადასხვა სქემის (სიტყვის პირამიდა, ვერბალური და ვიზუალური ასოციაციების სქემა, ფრეიერის სქემა, სიტყვის სხვადასხვა სახის რუკა...) შევსება შერჩეულ (ახალ, უცნობ, საკვანძო, მნიშვნელოვან...) სიტყვებზე, ტექსტის სიტყვებით თავსატეხების შედგენა და ამოხსნა, სხვადასხვა სტრატეგიით (სიტყვების გამომძიებელი, დაკარგული სიტყვები...) მუშაობა (ლექსიკური მარაგის გამდიდრების შესახებ იხ. ამავე ავტორის სტატიები ამავე პლატფორმაზე. რაც მთავარია, საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის სარეესურსო კრებულები პორტალზე „კარგი სკოლა“).

ერთ-ერთი ქვეეტაპია **ტექსტთან შეჭიდება**, რომელიც ტექსტის სიღრმისეულ გააზრებას უნდა ემსახურებოდეს. მისი საკვანძო კითხვა იქნება: რა არის ავტორის/ტექსტის მთავარი/დაფარული სათქმელი?

ამ ქვეეტაპის ტიპური აქტივობებია:

- ტექსტის მიხედვით სხვადასხვა სააზროვნო, სადისკუსიო შეკითხვაზე მსჯელობა;
- ტექსტის დამუშავება სხვადასხვა სააზროვნო სქემის (მოვლენათა ჯაჭვი, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების სქემა, მოთხრობის რუკა, პერსონაჟის რუკა, ტექსტი ამბობს – მე ვფიქრობ – ამიტომაც, კითხვებისა და პასუხების ურთიერთმიმართება – QAR...) გამოყენებით;
- ტექსტის მიხედვით წამოჭრილი დილემური საკითხების განხილვა, დისკუსიის გამართვა (ოთხი კუთხე, სოკრატული დიალოგი...).

დაწყებით საფეხურზე მნიშვნელოვანია კითხვაში გაწაფულობაზე ყურადღების გამახვილება, ამიტომ ახალი სკოლის მოდელის საავტორო ჯგუფსაც აქვს შემოთავაზებული ქვეეტაპი **კითხვაში გაწაფვა, გამოთქმით კითხვა.** ამ ქვეეტაპის საკვანძო კითხვებია: როგორ გამოვხატო ავტორის, პერსონაჟის გრძნობები, აზრები, ემოციები? როგორ მოვახდინო მსმენელზე შთაბეჭდილება?

აქტივობათა ვერსიები:

- წყვილებში ხმამაღალი კითხვა;
- განმეორებითი კითხვა;
- კითხვა აუდიოჩანაწერის დახმარებით;
- კითხვის მატარებელი.

გარდა ამ ქვეეტაპებისა, შეიძლება ვიმუშაოთ **ტექსტის ან ეპიზოდის მოკლე ან ვრცელი შინაარსის გადმოცემაზე, ტექსტის სტრუქტურის აღქმაზე,** იმისდა მიხედვით, როგორია ტექსტი და რა საჭიროებები დგას კლასში.

**მესამე ეტაპზე** ხდება უშუალოდ **კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა**, ხოლო **მეოთხე ეტაპზე კომპლექსურ დავალებებს წარმოადგენენ** მოსწავლეები.

ასე იქნება გადანაწილებული ჩვენ მიერ შერჩეული აქტივობები სასწავლო ერთეულში.

დასასრულ, მინდა, გავიხსენოთ კომპლექსური დავალება, რომელიც ტექსტის დასაწყისში იყო მოცემული და შემოგთავაზოთ ჩემ მიერ შესრულებული:

**ოთხი ნაბიჯი სასწავლო ერთეულის შესაქმნელად**

შევარჩიოთ ტესტი და სასწავლო საკითხები

შევადგინოთ კომლექსური დავალებები ცნებების მიხედვით

მოვიფიქროთ საკვანძო შეკითხვები

გავწეროთ აქტივობები ეტაპებისა და ქვეეტაპების მიხედვით

ლევან ალფაიძე

# გავაუმჯობესოთ მოსწავლეთა ჩართულობა, სწავლება და შედეგები

ამერიკელი ავტორის, სპიკერისა და განმანათლებლის ერიკ შენინგერის 2019 წელს გამოსული წიგნის, „Digital Leadership"-ის, ეს ნაწილი სასკოლო განათლების დღევანდელ გამოწვევებს ეძღვნება. ავტორი ცდილობს, გაგვიზიაროს თავისი დამოკიდებულება სკოლების ტრანსფორმაციის მიმართ და მონიშნოს ის სირთულეები, რომლებიც ყოველთვის ახლავს თან ამ ტიპის ფუნდამენტურ ცვლილებებს. მიუხედავად აშშ-სა და სხვა ინგლისურენოვან ქვეყნებში წიგნის პოპულარობისა, ავტორის ტონი და ემოცია გვიჩვენებს, რა რთულად მიმდინარეობს სასკოლო სამყაროს დიგიტალიზაცია – ციფრული ტექნოლოგიების საშუალებებზე გადასვლა – თვით აშშ-ის სასკოლო განათლების სექტორში. საინტერესო და დასაფასებელია ერიკ შენინგერის შემართება და ჯანსაღი დამოკიდებულება ცვლილებების ნელი ტემპისა და სიძნელეებისადმი. აქ კარგად ჩანს ავტორის ადამიანური, ჰუმანისტური დამოკიდებულება მასწავლებლებისადმი – ადამიანებისადმი, რომლებსაც პროფესიულად ევალებათ ბავშვებთან მუშაობა, მათთან მრავალი საათის გატარება და რომელთათვისაც საკმაოდ მტკივნეულია ტრადიციული საგანმანათლებლო სამყაროდან „ციფრულ რევოლუციურ" მეთოდებზე გადასვლა ტექნოლოგიების ასეთი ტემპით განვითარებისა და ცვლილებების დროში.

მარტივი კითხვა, რომელსაც ვსვამთ, ასე ჟღერს: „როგორ შეიცვალა ბავშვის ცხოვრება ბოლო 150 წლის განმავლობაში?" ამ კითხვაზე პასუხი იქნება: „ძნელია ისეთი სფეროს პოვნა, სადაც ის არ შეცვლილა!" მაგრამ თუ დღევანდელ და 100 წლის წინანდელ სკოლებს ერთმანეთს შევადარებთ, დავინახავთ, რომ ისინი უფრო ჰგვანან ერთმანეთს, ვიდრე განსხვავდებიან.

პიტერ სენჯი,
*წამყვანი ლექტორი, მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტი, სლოუნის მენეჯმენტის სკოლა (MIT Sloan School of Management)*

## სკოლა რეალურ ცხოვრებას უნდა ასახავდეს

მრავალ ჩვენგანს სჯერა, რომ ტექნოლოგიებს სკოლაში სწავლებისა და სწავლის კულტურის ტრანსფორმაციის საკმარისი პოტენციალი აქვს.

მიუხედავად ჩემი მრავალჯერადი მოწოდებისა, არაერთი სკოლა აგრძელებს ამაო მცდელობას, მოამზადოს ბავშვები იმ სამყაროსთვის, რომელიც უკვე დიდი ხანია აღარ არსებობს; სამყაროსთვის, სადაც ტექნოლოგია უფრო ლამაზი დეკორაცია ან, უარეს შემთხვევაში, მიმზიდველი გასართობია და რომელსაც არავითარი ადგილი არ უკავია სწავლებაში.

ბევრი მოსწავლისთვის სკოლა ვერ ასახავს რეალურ ცხოვრებას, რაც სასწავლო პროცესისადმი გაუცხოებას იწვევს.

ამ შემთხვევაში კითხვა ასე უნდა დაისვას: „როგორ მოვახერხოთ ისეთი სკოლების ტრანსფორმაცია, რომლებიც ჯერ კიდევ ვერ აცნობიერებენ

www.mastsavlebeli.ge

www.mastsavlebeli.ge



ГУРАМ МЕГРЕЛИШВИЛИ

# მორცხვი ბავშვების მინდორი

რამდენიმე წელია, ვასწავლი და ყველა კლასში ერთნაირი მდგომარეობა მხვდება – ცოცხალი, ინტერესიანი და მორცხვი ბავშვები გვერდიგვერდ სხედან და ეს უკანასკნელები ხმის ამოღებას ვერ ბედავენ.

სიმორცხვე თითქოს ხასიათის ნაწილია, მაგრამ ხშირად მიფიქრია: ხასიათს ხომ მხოლოდ ჩვენი ფსიქოტიპი არ ქმნის. ის, რომ ვიღაც ქოლერიკია და სხვა – მელანქოლიკი, არ შეიძლება აპრიორი განსაზღვრავდეს იმას, როგორები ვიქნებით საზოგადოების წიაღში.

ამაზე ფიქრმა ჩემი ძვირფასი მოსწავლეების შინაგანი სამყაროს იმ ნაწილის ზევით ამოწევისკენ მიბიძგა, რომელიც ღრმადაა დამალული და მგონია, რომ ხასიათის კი არა, გარემოებების ბრალია.

თუ სწავლება მხოლოდ ცოდნისა და ინფორმაციის მიცემაა, მე ასეთ მასწავლებლად დარჩენა არ გამიხარდებოდა. თუ ბავშვის აღზრდაში ოჯახთან ერთად მეც არ ჩავერთე, რაში მჭირდება ცოდნის მიცემა, რომელიც, ჩვენი ტექნოლოგიური საუკუნის წყალობით, ისედაც ხელმისაწვდომია?

განათლების პროცესი ხომ შედეგიდან არასოდეს გამომდინარეობს. ის ჩვენი არსებობის ნაწილია. განა ვინმე იტყვის, „გავნათლდი“ და მორჩა ამბავიც და ინტერესიც? თუ იტყვის, ხომ შემცდარია და თუ დაიჯერებს - სულელიც?

ერთი დიდი სიამოვნებაა ხოლმე მოსწავლეში პიროვნების დანახვა, მისი საინტერესო, შინაარსიანი ბუნების ჭვრეტა, მასთან ერთად და მისნაირად ფიქრის მცდელობა, სიტუაციასთან თანაზიარობა და იმ სიმძიმის ცენტრის პოვნა და ხელის ჩაჭიდება, ყველაფერს რომ აგაწევინებს.

მინდა, ერთ ჩემეულ გამოცდილებაზე მოგიყვეთ, რომელიც ზოგიერთ პედაგოგს იქნებ რამეში გამოადგეს კიდეც, რჩევა მომცეს, თავისი დაუმატოს და მთელი ეს ერთობლივი კერძი მასწავლებლებმა კლასში შევიტანოთ.

ბევრი შეამჩნევდა, რომ კლასის რომელიმე წევრის ჩაკეტილობა, სიმორცხვე, მორიდებულობა და სხვების წინაშე ხმის ამოღების შიში მთელ ჯგუფზე აისახება. ამიტომაც, როდესაც ახალ ჯგუფთან ვიწყებ მუშაობას, სწორედ ასეთი ბავშვების შინაგანი შებოჭილობისგან გათავისუფლება მიმაჩნია უპირველეს მიზნად.

რაკი ჩემი საქმე მწერლობასთან ერთად კინოცაა, კლასში იმ ნაცად მეთოდს ვიყენებ ხოლმე, მსახიობებთან ურთიერთობისას ჯერ კიდევ სტანისლავსკიმ რომ აჩუქა კაცობრიობას.

ადამიანს საკუთარი სხეულის, გონებისა და ემოციების გამოხატვის სირცხვილი უნდა დაავიწყო.

მე ასე ვიქცევი: როდესაც ჯგუფის ყველა წევრს დავალებას გამოვკითხავ და მორიდებული მოსწავლეები ალმურადენილები და შეშფოთებულები უყურებენ დანარჩენებს, ვხვდები, რამხელა სტრესის გადალახვა უწევთ ამ დროს და ჩემი თავი მახსენდება უზარმაზარ საკონფერენციო დარბაზში, სადაც ნაცნობ, დაღეჭილ თემაზე მიკროფონით უნდა ვთქვა რამდენიმე სიტყვა.

ვიღაცისთვის ეს მდგომარეობა ბუნებრივია. თავს ისე გრძნობს, როგორც ღამურა გამოქვაბულში, ვიღაც კი იძაბება, ოფლად იღვრება, სუნთქვა უხშირდება და თავბრუ ეხვევა. ასე ემართებათ ადამიანებს კამერის წინაც, რასაც ერთადერთი რამ – შეჩვევა შველის.

მოსწავლეების მორცხვობის დასაძლევად მარტივი და, ჩემი აზრით, ეფექტიანი საშუალება მოვიფიქრე: იოლ შეკითხვებს სწორედ მათ ვუსვამ კუთხეში მიმწყვდეულებად აღარ გრძნობენ თავს და ადვილად „აღწევენ“ თავს „მძიმე ვითარებას“.

საჯაროდ ხმის ამოღებაში ვარჯიში ბავშვებში თავდაჯერებას, საკუთარი ძალების რწმენას, „ბარიერის გადალახვით მიღებული სიამოვნების კვლავ განცდისკენ ლტოლვას“ და, სულ მცირე, გაუბრალოების შეგრძნებას იწვევს.

წვეთ-წვეთობით, დღიდან დღემდე, თვიდან თვემდე და ხან წლიდან წლამდეც კი ვაკვირდები, როგორი თავდაჯერებული და აქტიური ხდება მოსწავლე, რომელიც პირველ შეხვედრაზე სკამზე მოწურული იფშვნეტდა თითებს. ახლა ისინი არ აცლიან ხოლმე ახალმოსულ მორცხვ ბავშვს აზრის გამოთქმას, იწევენ ხელს, ყელს იწიწკნიან მუდარით: „მას, მას, მე ვიტყვი რა!“, აქვთ საკუთარი აზრის გამოხატვის მუდმივი სურვილი და შინაგან სილაღეს იქნებ მხოლოდ კლასში (რადგან არ ვიცით, სკოლიდან რა გარემოში ბრუნდებიან) ავლენენ ხოლმე.

ასეთი ბავშვები სკოლაზე შეყვარებულები ხდებიან. არასოდეს ეზარებათ გაკვეთილზე მოსვლა, რადგან ვის, თუ არა მათ, უძღები შვილივით კარგად ახსოვთ დრო, როდესაც ყველაფერი გაცილებით რთულად იყო.

როდესაც მორცხვ ბავშვს ხმის ამოღების რცხვენია, სულ მახსენდება უინსტონ ჩერჩილი, გამორჩეული ორატორი, რომელსაც მეტყველების პრობლემა ჰქონდა და სკოლაში სირცხვილით ხმას ვერ იღებდა; მერილინ მონრო, დაწყებით კლასებში ენის ბორძიკის გამო ტირილს რომ იწყებდა; მოსეც – ცნობილი ენაბლუ, ღმერთმა რჩეულ ხალხთან სალაპარაკოდ რომ გამოარჩია.

რა ბედნიერებაა, როცა არსებობს მასწავლებელი, რომელიც ასწავლის და რამდენჯერ მეტი სიხარულია ისეთი პედაგოგის არსებობა, რომელიც შეიძლება გახდეს კიბე, რომლითაც ბავშვი ზეციისკენ მიმავალ გზას დაადგება.

ციცა ბარბაქაძე

# როგორ ჩავატაროთ „თავისუფლების გაკვეთილი“



*„როდის გახდა ადამიანი თავისუფალი? იქნებ მაშინ, როცა წელში გაიმართა და ცას ახედა, როცა შიში დაამარცხა და მწვერვალზე ასვლა გაბედა, როცა სიკვდილისგანაც კი გათავისუფლდა და საკუთარი სული მოიპოვა, დაიბრუნა ის, რაც იგიში იგი იყო“.*

*ჯემალ ქარჩხაძე, „იგი“*

წერილს „თავისუფლების შესახებ“ ჯონ სტიუარტ მილი ასე იწყებს: „ამ ნარკვევის თემა არ არის ეგრეთ წოდებული ნების თავისუფლება, რომელიც ასე მოუხერხებლად უპირისპირდება ცუდად მონათლულ ფილოსოფიური აუცილებლობის მოძღვრებას. მისი თემაა სამოქალაქო, ანუ საზოგადოებრივი თავისუფლება: იმ ძალაუფლების ბუნება და საზღვრები, რომელიც შეიძლება საზოგადოებამ კანონიერად განახორციელოს ინდივიდზე“.

მე დავიწყებ პირიქით: შინაგანი თავისუფლებით და ნების თავისუფლებით.

თავისუფლება – ყველაზე აბსურდული თემაა ყველა თემას შორის. უნდა დავივიწყოთ ყველა განმარტება, რაც დღემდე წაგვიკითხავს ან გვსმენია, რადგან რაიმე წესის მიხედვით თავისუფლების განხილვა ზღუდავს თავისუფლებას.

მაინც რა არის ეს მოუხელთებელი ფრინველი? საიდან მოვიდა და რა ენაზე გვეჟღურტულება შიგნიდან? არც სოციალურ, სამართლებრივ და სხვა ტიპის თავისუფლებებს არ შევეხები (ჯონ მილის საპირწონედ), ამას სახელმწიფო უნდა აგვარებდეს!

მოდი, ეს იყოს საკუთარ თავში ჩახედვის, შეხედვის, ჩაღრმავების გაკვეთილი. შეგვიძლია, ის დუმილით დავიწყოთ, ან ლექსით, ან მოცარტის მუსიკით... მთავარია, ისე არ დავიწყოთ, როგორც ყველა გაკვეთილს ვიწყებთ. ეს უკვე იქნება რაღაც განსხვავებული, რაღაც თავისუფალი იმ წესისგან, რიგისგან, ყოველდღიური რუტინისგან, რომელშიც ვიმყოფებით და რომელსაც სასწავლო პროცესი ჰქვია.

გამოვაღოთ ოთახის (ან აუდიტორიის) ფანჯრები და არც „გულის კარის“ გამოღება დაგვავიწყდეს... რადგან ეს საათი საკუთარ თავში შესვლის საათია.

როგორ ფიქრობთ, მსმენელებისგან რა გვჭირდება ყველაზე მეტად იმისთვის, რომ თავისუფლება ვაგრძნობინოთ?

გახსნილობა?

აბა, ძვირფასო მასწავლებლებო, როგორ აღწევთ, რომ კლასში თქვენი მოსწავლეები ცოდნის მიღება-გაზიარების პროცესში „გახსნილები“ იყვნენ?

- გულწრფელობა;
- თვითგამოხატვა.

კარგი იქნება, თუ მარცხენა ნახევარსფეროსთან ერთად მარჯვენასაც გავააქტიურებთ. დიახ, თავისუფლება შემოქმედებასთანაა დაკავშირებული... ამას კი შემდეგნაირი დავალებებით მოვახერხებთ.

მაგალითად, თქვენ გადიხართ „ვეფხისტყაოსანს“. ეს პოემა კი თავისუფლებისა და სიყვარულის პოემაა. დავალება იქნება ასეთი:

„როდის გახდა ადამიანი თავისუფალი? იქნებ მაშინ, როცა წელში გაიმართა და ცას ახედა, როცა შიში დაამარცხა და მწვერვალზე ასვლა გაბედა, როცა სიკვდილისგანაც კი გათავისუფლდა და საკუთარი სული მოიპოვა, დაიბრუნა ის, რაც იგიში იგი იყო“.

*ჯემალ ქარჩხაძე, „იგი“*

რა კითხვას სვამთ ისეთს, რომ ბავშვი დააფიქროს, ჩააღრმავოს, ინტერესი აღუძრას და „გამოგყვეთ“? დიახ, გამოგყვეთ, რადგან ცოდნის მიღება „მოგზაურობაა“ და ამ მოგზაურობიდან გულცარიელები არ უნდა დაბრუნდნენ თქვენი მსმენელები.

სწორად მიხვდით, ჩვენ შინაგან თავისუფლებაზე უნდა ვისაუბროთ და არა მხოლოდ ვისაუბროთ, არამედ, „შევეხოთ“ კიდეც.

შინაგანი თავისუფლება რომ გამოვიწვიოთ, გარკვეული წინაპირობებია საჭირო:

- გახსნილობა;
- მოსწავლეებმა უნდა მოძებნონ ტექსტში თავისუფლების მეტაფორები;
- პოემის მიხედვით დადგან თავისუფლების პერფორმანსი;
- შეურჩიონ „ვეფხისტყაოსანს“ მუსიკა ან ნახატი, რომელიც, მათი აზრით, ყველაზე მეტად შეეფერება პოემის თავისუფლების იდეას.

ამ დავალებების წარდგენას რაც მოჰყვება კლასში, აუცილებლად თქვენც შეგიცვლით თავისუფლების საზღვრებს.

ყველა შესრულებული დავალება იქნება ინდივიდუალური და უნიკალური. ამავე დროს მოსწავლეები უპასუხებენ კითხვას: რატომ გააკეთეს ის, რაც გააკეთეს და როგორ შეცვალა თავისუფლებაზე ფიქრმა მათი ყოველდღიურობა. თავისუფალი ესეს სახით თუ დაწერენ ამ ყველაფერს, კიდევ უფრო შთამბეჭდავი იქნება.

ერთი პატარა პერფორმანსი შეგიძლიათ კლასშივე მოაწყობინოთ ბავშვებს. მაგალითად, შეაქმნევინოთ პოემის პერსონაჟთა **თავისუფლების მეტაფორები.**

რას ჰგავს ტარიელის თავისუფლება და რატომ?

რას ჰგავს ავთანდილის თავისუფლება და რატომ?

რას ჰგავს თინათინის თავისუფლება და რატომ?

რას ჰგავს ასმათის თავისუფლება და რატომ?

რას ჰგავს ნესტან-დარეჯანის თავისუფლება და რატომ?

რას ჰგავს ფატმან-ხათუნის თავისუფლება და რატომ? (და ასე შემდეგ)

მიეცით თავისუფლება მოსწავლეებს, თავად აირჩიონ პერსონაჟები.

**შემდეგი ეტაპი:**

მოსწავლემ შექმნა, მაგალითად, ნესტან-დარეჯანის „თავისუფლების მეტაფორა“:

**ნესტანის თავისუფლება ჰგავს სიცარიელეს,** რომელიც თავისუფალია 4 ელემენტისგან (მიწა, წყალი, ცეცხლი და ჰაერი), მაგრამ, ამავე დროს, სურს, ფრთებით მისწვდეს საწადელს, რასაც მიწაზე ვერ მიაღწია. პოემაში ის ამბობს:

„ღმერთსა შემვედრე, ნუთუ კვლა დამხსნას სოფლისა შრომასა,

ცეცხლსა, წყალსა და მიწასა, ჰაერთა თანა ძრომასა;

მომცნეს ფრთენი და აღვფრინდე, მივჰხვდე მას ჩემსა ნდომასა,

დღისით და ღამით ვჰხედვიდე მზისა ელვათა კრთომასა“.

აქ შეიძლება სთხოვოთ მოსწავლეს, აღწეროს „სიცარიელის თავისუფლება“ არა უბრალოდ სიტყვებით და ლოგიკურად (მარცხენა ნახევარსფერო), არამედ შეგრძნებებით (მარჯვენა ნახევარსფერო), „ტანის ენით“. რას გრძნობს სხეულში ასეთი სიცარიელის დროს? როგორ განიცდის, რა შეგრძნებაა ეს? რა შეგრძნებაა „ფრთების გამოსხმა“ და რა ძალა ამოძრავებს პერსონაჟის სწრაფვას? აუცილებელია, ეს ყველაფერი გამოთქვას, გამოხატოს გულწრფელად, გახსნილად და „ტანის ენით“.

ასეთ დავალებებს, განხილვებს, აქტივობებს სწავლებაში შემოაქვთ მეტი ჟანგბადი, მეტი სივრცე, მეტი ემოცია და შეგრძნება, რადგან ისინი „ცარიელი“, სახელმძღვანელოს სიტყვებით კი არ მეტყველებენ, არამედ შემოქმედებითად, განცდებით და ეს სრულიად ცვლის მათი აღქმის პარამეტრებს.

ეს არის ის, რაც ზრდის შინაგანი თავისუფლების ხარისხს.

წარმატებას გისურვებთ. შედეგები გაგვიზიარეთ!

ინა იმედაშვილი

# ერთხელ ჯადოსნურმა ჯოხმა რაღაც ჩამჩურჩულა...



თუ აქამდე არ შეგიმჩნევიათ, ერთ საიდუმლოს გაგიმხელთ: ჩვენ, მასწავლებლებს, ჯადოსნური ჯოხები გვაქვს, ოღონდ უხილავი. ჯოხი მაშინ ჩნდება ჩვენთან, როცა მასწავლებლობას ვიწყებთ და რჩება, სანამ მასწავლებლები ვართ. ჯადოსნურ ჯოხს ჯადოსნური ხასიათი აქვს – სიკეთესაც შეუძლია ემსახუროს და ბოროტებასაც, გააჩნია, როგორი პატრონი შეხვდება. იყო დრო, როდესაც ბოროტება სიკეთის ტყავში ეხვეოდა და სისასტიკე მომავალი კეთილდღეობის სურვილით მართლდებოდა. საბედნიეროდ, დრომ ახალი ღირებულებები მოიტანა და, რა თქმა უნდა, სიკეთის სახელით ჩადენილი ბოროტებაც გადაფასდა.

მასწავლებლისთვის ჯადოსნური ჯოხი პიროვნულ ინდივიდუალობას გამოხატავს და ის მხოლოდ საკლასო ოთახში, ბავშვებთან ხდება ჯადოსნური, მანამდე უჩინარია.

ჯოხის მიზანი ბავშვების ბედნიერებაა.

მინდა მოგიყვეთ, ჩემმა ჯადოსნურმა ჯოხმა როგორ დაატრიალა ერთი ამბავი და ბავშვებს ახალი სამყაროების შექმნაში დაეხმარა.

შემოდგომის ერთ წვიმიან დღეს, როცა საგაკვეთილო რუტინას მოწყენილობაც ერთვოდა, ჩემმა ჯადოსნურმა ჯოხმა ჩამჩურჩულა: დროა, ბავშვებმა ცოტაოდენი ჯადოსნობა ისწავლონ და ახალი სამყაროები შექმნანო. ეს როგორ? ამ წვიმაში რა დროს ახალი სამყაროებია, ბავშვებს ხომ არ დავასველებ-მეთქი? საკლასო ოთახიდან გასვლა სულაც არ დაგჭირდებათ, ქაღალდი და კალამიც საკმარისიაო, – ჯოხმა.

მოსწავლეები გაფაციცებით შემომყურებდნენ, იგუმანეს, რაღაც საინტერესო ამბავი გველისო.

ჰოდა, რაც არის, არის, დავუჯერებ-მეთქი, ვიფიქრე, ბავშვებს კი გავძახე: „აბა, ყველაფერი შეინახეთ, დღეს მხოლოდ რვეულები და კალმები დაგვჭირდება, სამყაროების შექმნა უნდა ვისწავლოთ!“

დაფაცურდნენ და რაღაც ძალიან მაგარის მოლოდინში გაინაბნენ.

მოკლედ, ჩამჩურჩულებდა ჩემი ჯოხი ჯადოსნურ სიტყვებს, მე კი მათ ბავშვებს გადავცემდი.

თურმე როგორც კი ორი სიტყვა ერთმანეთს დაუკავშირდება, წინადადებად იქცევა და დამოუკიდებელ ცხოვრებას იწყებს, ციცქნა სამყაროც მზადაა. მაგალითად: **გოგონა თამაშობს**. აბა, დავხუჭოთ თვალები და წარმოვიდგინოთ, რას ვხედავთ? – იატაკზე მიმოფანტულ კუბებს, თოჯინებს, დათუნიებს. პატარა გოგონა აშენებს ფერად კოშკს, რომელშიც საყვარელი დათუნიასთვისაც გამოინახება ოთახი. როგორია გოგონა? წითელბაფთიანი ან ცისფერკაბიანი, ქერათმიანი ან შავთვალა. როგორსაც წარმოიდგენ. ამ სამყაროს ბატონ-პატრონი შენ ხარ.

გაკვეთილზე 15 ბავშვი იჯდა და სულ რამდენიმე წუთში 15 სამყარო დაიბადა – ნაირ-ნაირი ფერებითა და თვალხატულა გოგონებით.

„მოდი, უფრო გავართულოთ“, – მკარნახობს ჯოხი და მეც იმავეს ვუმეორებ მოსწავლეებს. ახლა სამყარო წარმოსახვაში კი არა, ფურცლებზე შევქმნათ. ისე, როგორც ამას აკეთებენ მწერლები, რომლებიც სინამდვილეში ამბების არქიტექტორები და მშენებლები არიან. სიტყვა-აგურებისგან აგებენ ქალაქებს, იგონებენ პერსონაჟებს და თავგადასავლებს, ბოლოს კი ამ ყველაფერს მოხდენილი ფრაზებით ალამაზებენ.

– გინდათ, გახდეთ უხილავი სამყაროს შემოქმედები?

ცხადია, უნდათ.

მაშ, დავიწყოთ.

თუ გინდათ, სრულფასოვანი სამყარო შექმნათ, დაგჭირდებათ...

### წიგნაკი იდეებისთვის

სულ პაწაწინა წიგნაკი, რომელსაც თან ატარებთ, რომელშიც ჩაინიშნავთ ყველაფერს, რისი ჩანიშვნა და დამახსოვრებაც მოგინდებათ: ყურმოკრულ დიალოგებს, სიზმრებს, მხიარულ, უჩვეულო, საინტერესო შემთხვევებს, გონებაში მოულოდნელად გაელვებულ სიტყვებსა და ფრაზებს.

### ახალი ამბები

იკითხეთ ჟურნალ-გაზეთები. ინტერნეტი ყველას გვაქვს, მაგრამ ჟურნალ-გაზეთების კითხვა გაცილებით საინტერესოა. როგორც ფილმებშია ხოლმე: კაკაოსა და ფუნთუშასთან ერთად. დღის ან კვირის სიახლეებში შესაძლოა თქვენი მომავალი სამყაროს ბინადარი პერსონაჟებიც კი აღმოაჩინოთ. ან სულაც ახალი მცენარეები, ცხოველები, პლანეტები...

### როგორ ავაშენოთ სამყარო

ჯერ შეარჩიე ადგილი, სადაც შენი სამყარო დაიწყებს არსებობას. როდესაც ადამიანი სახლის ან ქალაქის აშენებას გადაწყვეტს, ჯერ ასაშენებელ ადგილს არჩევს. სამყაროსაც სჭირდება შესაფერისი ადგილი.

ასეთი ადგილი კი შეიძლება იყოს პლანეტა, კუნძული, ოკეანე... არათუ ადგილი, შეგიძლია დროც კი აირჩიო: შორეული წარსული თუ შორეული მომავალი.

დაგჭირდება პერსონაჟებიც. პლასტილინით ან თიხით ხომ გიძერწავს? პერსონაჟის შექმნაც ამას ჰგავს, ოღონდ ამ შემთხვევაში საძერწი მასალა სიტყვაა. ნელ-ნელა უნდა გამოძერწო პერსონაჟის ხასიათი, გარეგნობა, თვისებები.

ჰო, სამყაროს უნდა ჰქონდეს დასაწყისი, შუა ნაწილი და დასასრული, თუმცა ახლა მოდურია ტექსტები, სადაც დასასრული მკითხველის ფანტაზიასაა მინდობილი.

ციბრუტივით ტრიალებს ჩემი ჯოხი, ბავშვები წერას იწყებენ. წერენ და წერენ. ირეკება ზარი – არ ესმით, მეორე გაკვეთილი იწყება – ისევ წერენ.

წარდგენა ცალკე ამბავია. უფ, როგორ უყვართ! ყველას უნდა, თავისი სამყარო გადმოშალოს ფურცლებიდან. გახსოვთ ზაზა თვარაძის „სიტყვები“? აი, ის რომანი, რომელშიც სიტყვებს სხეულები აჩუქა და ჰაერში ალივლივა? ასეთი ამბებია ჩვენთანაც. ზედსართავი სახელები წითლად ღვივიან, ზმნები არსებითებთან იხლართებიან... ჯადოსნური ჯოხიც ბედნიერი და ვალმოხდილია. უკრავს და უკრავს ტაშს, არ იშურებს აღფრთოვანების შორისდებულებს: „უჰ, რა მაგარია!“; „ნამდვილი მწერალი ხარ!“; „აუ, წიგნი უნდა გამოსცე აუცილებლად!“; „გამაოგნე!“; „გამაოცე!“ – და ასე შემდეგ. მის სიტყვებს, რა თქმა უნდა, მე ვახმოვანებ.

ჩვენი ამბავი აქ არ მთავრდება, ეს სამყაროები დღესაც ცოცხლობენ ერთ ხელნაკეთ წიგნში. თვითონ წიგნი კი, ლამაზი ილუსტრაციებითა და ამბებით სავსე, ერთი სკოლის ერთ ბიბლიოთეკაში ინახება და ხშირად ათვალიერებენ მოსწავლეები. რა ხდება ამ წიგნში? ეს თავად უნდა ნახოთ, სამყაროების გამეორება ხომ წარმოუდგენელია.

ჰოდა, რისთვის დავწერე ეს წერილი: მიუგდეთ ყური თქვენს ჯადოსნურ ჯოხებს და გამოიყენეთ მათი მაგია. ის თქვენ ნამდვილად გაქვთ, მთავარია, აღმოაჩინოთ.

**P.S. ჩემმა ჯადოსნურმა ჯოხმა მორიდებით გამიმხილა, რომ წიგნაკისა და გაზეთის იდეა ამოუღია წიგნიდან „როგორ ვწეროთ მოთხრობები, ლექსები, რეპორტაჟები, წერილები და იმეილები“, რომლის ავტორები ანა ფონდესი და სელია უორენი არიან. ქართულ ენაზე კი წიგნი „პალიტრა L-ს“ გამოუცია. იქ უამრავ საინტერესო იდეას იპოვითო, დაამატა ბოლოს.**




შორენა ცყეშელაშვილი

# მედიაწიგნიერება და საბავშვო ლიტერატურა

ცოტა ხნის წინ ჩემს შვილებს იტალიელი საბავშვო მწერლის, ჯანი როდარის, „ჯელსომინო ცრუთა ქვეყანაში“ წავუკითხე. ჯანი როდარი, რომელიც ამ წიგნში ცრუთა ქვეყნის შესახებ გასაოცარ ამბებს გვიყვება, მეტაფორებით გველაპარაკება. ამბის მთავარი პერსონაჟი ჯელსომინოა, უჩვეულოდ ძლიერი ხმის პატრონი, რომლის ხმაზეც ფანჯრის მინები იმსხვრევა და შენობები ინგრევა. ამ გამორჩეულობის გამო ბიჭი იძულებული ხდება, მშობლიური სოფლიდან გადაიხვეწოს.

ხეტიალ-ხეტიალში ჯელსომინო ცრუთა ქვეყანაში ხვდება, სადაც ყოფილი მეკობრე ჯაკომონე მეფობს. ჯაკომონემ თავის სამეფოში ყველა წესი შეცვალა და სიცრუე დაამკვიდრა. პურს აქ მელანი ჰქვია, ყველს – საშლელი. კატები ყეფენ, ძაღლები კნავიან, ზოოპარკის ლომი ვალდებულია, თაგვივით იწრიპინოს, ხოლო თაგვები -ლომებივით ბღღვინავდნენ. სიმართლის მთქმელ ადამიანებს საგიჟეთში ამწყვდევენ, ქვეყნის მთავარ გაზეთს კი „სამაგალითო მატყუარა“ ჰქვია.

ამბის დასასრულს ჯელსომინო მჭექარე ხმით ანგრევს საგიჟეთს და სიმართლის თქმისთვის დასჯილ ადამიანებს ათავისუფლებს. მეფის სასახლესაც ზედ მიაყოლებს. გაგულისებული ხალხი იმ სვეტის დანგრევასაც ითხოვს, რომელზეც ჯაკომონეს ცრუ „საქმენი საგმირონია“ ამოტვიფრული. სინამდვილეში ყოფილ მეკობრეს გამეფების შემდეგ სასახლიდან ცხვირიც არ გამოუყვია და ერთადერთი, რაც ადარდებს, საკუთარი ქაჩალი თავი და პარიკებია.

**„კაცმა რომ თქვას, სვეტმა ვის რა უნდა დაუშავოს? სვეტზე გამოსახული სიცრუე ხალხს იმ დროს გაახსენებს, როცა ქვეყანას უსირცხვილო მატყუარა განაგებდა და ერთი კარგი სიმღერაც საკმარისი იყო, რომ მისი სახელმწიფოსგან ქვა ქვაზე აღარ დარჩენილიყო“,** – ამბობს ჯელსომინო. ის ხალხს არწმუნებს, რომ სვეტი ამირიდან მათ ვეღარაფერს დაუშავებს და ჯობია, ჯაკომონეს მეფობის დროის გასახსენებლად შემოინახონ.

### რატომ გვჭირდება მედიაწიგნიერება დღეს ისე, როგორც არასდროს?

2011 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა მედიაწიგნიერებას განსაზღვრავს როგორც გამჭოლ კომპეტენციას. გეგმის თანახმად, მოსწავლემ უნდა შეძლოს როგორც ახალი სტილისა და მრავალგვარი ფორმის მულტიმედია ტექსტების აღქმა-გააზრება, ინტერპრეტირება, გამოყენება და შექმნა, ასევე მედიასამყაროში ორიენტირებაც.

დღეს, როდესაც ციფრული მედია ასე განვითარდა და ყველა მოქალაქემ ინფორმაციის გამავრცელებლის ძალა შეიძინა, ნამდვილი ამბები კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა. თანამედროვე ადამიანები, რომლებიც ციფრული მედიაინსტრუმენტებით ვსარგებლობთ, არა მხოლოდ მოვიხმართ მედიაკონტენტს, არამედ თავადაც ვქმნით მას, ამიტომ ამბის სანდოობაზე პასუხისმგებლობა ჩვენც გვეკისრება.

მართალია, ჩვენ ვერ შევძლებთ მედიასივრცეში სიცრუის აღკვეთას და „სიცრუის სვეტების“ დანგრევას, მაგრამ თუ გაცნობიერებული გვექნება ჩვენი ამოცანა, უფრო ადვილად მოვახერხებთ მედიაგზავნილების სკეპტიკური პოზიციიდან შეფასებას და გაფილტვრას. და ვინაიდან სიცრუის სვეტების ნაკლებობას არ ვუჩივით, საჭირო გახდა ისეთი უნარების შეძენა და გამოყენება, რომლებიც ინფორმაციის ამ უზარმაზარ ნაკადში სწორი მიმართულებით გაგვიკვალავს გზას. სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი, ვიყოთ მედიაწიგნიერი მოქალაქეები და ეს უნარები მოსწავლეებსაც გამოვუმუშაოთ, ვასწავლოთ მათ მოვლენების განსხვავებული რაკურსით დანახვა და ობიექტურად შეფასება.

### რატომ საბავშვო ლიტერატურა?

რთულ თემებზე სასაუბროდ ლიტერატურა საუკეთესო საშუალებაა, განსაკუთრებით კი საბავშვო ლიტერატურა, რომელიც ახერხებს, რთული თემები მარტივად მოგვაწოდოს და ასე დაგვაფიქროს იმაზე, რაც ჩვენი ყურადღების მიღმა დარჩა.

ვფიქრობ, საბავშვო ლიტერატურა ძალიან კარგად შეგვიძლია გამოვიყენოთ მედიაწიგნიერების უნარების განსავითარებლად. ბავშვებისთვის დაწერილ ამბებში ბევრ რამეს ამოვიკითხავთ სიცრუისა და სიმართლის დაპირისპირებაზე და გაწაფული მკითხველი, რომელიც თავიდანვე მიჩვეულია ტექსტის კრიტიკულად აღქმას, მასზე დაკვირვებას, უფრო იოლად მოახერხებს ტყუილ-მართლის გარჩევას.

დღეს, როდესაც ინფორმაციის უზარმაზარ მორევში ვტრიალებთ, უნდა შეგვეძლოს სიყალბის ამოცნობა ამ მორევში გზის გასაკვლევად და ბავშვებსაც უნდა ვასწავლიდეთ, როგორ გაარჩიონ ერთმანეთისგან სიცრუე და სიმართლე.

### მედიაგზავნილი შეიძლება იყოს ყველგან

ამბები, რომლებიც ჩვენ გარშემო ტრიალებს, სხვადასხვა მიზნით ვრცელდება. ასეა ფეისბუქშიც, მედიაშიც და ლიტერატურაშიც.

„ჯელსომინო ცრუთა ქვეყანაში“ საბავშვო წიგნია, თუმცა იქ ბევრი პოლიტიკური გზავნილის ამოკითხვა შეიძლება. გაწაფული მკითხველი ადვილად აღმოაჩენს ტექსტში მეტაფორებს: ყოფილი მეკობრე მეფე გახდა; მეფეს სიქაჩლის დასამალავად ფერადი პარიკები სჭირდება; ჯელსომინოს ძლიერი ხმა შენობებსაც ანგრევს და ა.შ. ჯაკომონე, ყოფილი მეკობრე, რომელიც სამეფოში სიცრუის დიქტატურას ამყარებს, მეტაფორულად თანამედროვე ტროლებსაც ჰგავს, რომლებიც ინტერნეტსივრცეში გამიზნულად ავრცელებენ დეზინფორმაციას და ცდილობენ, რაც შეიძლება ბევრზე მოახდინონ გავლენა, ბევრი დაუქვემდებარონ სიცრუის კონტროლს.

მედიაწიგნიერი ადამიანი, რომელსაც შესწევს უნარი, კრიტიკულად შეაფასოს ამბავი, გაფილტროს ინფორმაცია, იოლად არ მოექცევა სხვისი დეზინფორმაციული კონტროლის ქვეშ.

ერთი სიტყვით, მოსწავლეებს ისიც შეგვიძლია ვუთხრათ, რომ ამბავს არასდროს შეხედონ მხოლოდ ერთი პერსპექტივიდან, ბევრჯერ შემოუარონ გარშემო, დასვან ბევრი კითხვა, რაც სიმართლის დადგენაში დაეხმარებათ.

### რაზე ვეღაპარაკე ჩემს შვილებს?

ჩემი შვილები ხუთი და რვა წლისანი არიან. უფროსთან ყველა თემაზე შემიძლია საუბარი და არც იმის ახსნა გამჭირვება, რომ ზოგიერთ ხელისუფალს ისეთი ენება მოერევა ხოლმე, სურს, ყველაფერი სიცრუის საბურველში გაახვიოს. ასეთი ხელისუფალი არც ისე ცოტაა და არა მხოლოდ წიგნებში. უმცროსს კი ვუთხარი, რატომ არის მნიშვნელოვანი სიმართლე და როგორი იქნებოდა ჩვენი ცხოვრება, ისეთ ქვეყანაში რომ გვეცხოვრა, როგორიც ცრუთა ქვეყანაა. ამიტომაა საჭირო, თავად მოქალაქეები ვიყოთ ისეთი გონიერები, რომ ვერავინ მოგვატყუოს.

ვესაუბრე იმაზეც, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოში ადამიანებს აქვთ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება, რომელიც მათი ფუნდამენტური უფლებაა და განურჩევლად იმისა, მოსწონთ თუ არ მოსწონთ თავისუფალი სიტყვა იქაურ ხელისუფლებს, ის დაცული უნდა იყოს. შემდეგ პარალელი გავავლეთ წაკითხულ ტექსტთან, სადაც სიმართლის მთქმელ ადამიანებს იჭერენ და ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ამწყვდევენ. რამდენიმე კითხვაც დავუსვი:

- რატომ მალავს სიმელოტეს ჯაკომონე?
- რისი სიმბოლოა ჯელსომინო?
- რა საჭიროა სიმართლე და როგორ ამბავს დაიჯერებდნენ ისინი?

რა თქმა უნდა, ბოლოს სამივე შევთანხმდით იმაზე, რომ სიმართლე ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რამ არის ამქვეყნად და რომ ერთმანეთი არ უნდა მოვატყუოთ.

თანამედროვე ონლაინსივრცე მართლაც ძალიან ჰგავს ცრუთა ქვეყანას, სადაც ბევრი ცრუ ამბავი ვრცელდება და ორიენტირება დღიდან დღემდე უფრო და უფრო რთული ხდება. ადამიანები იქცევიან ცრუ ინფორმაციის მომხმარებლებად, შემდეგ თავადაც ავრცელებენ მას და მანკიერი წრე უფრო და უფრო იზრდება.

საბავშვო ლიტერატურა და, საზოგადოდ, ლიტერატურა საუკეთესო გზაა იმისთვის, რომ მოსწავლეები დაწყებითი კლასებიდანვე მიეჩვიონ ტექსტზე დაკვირვებას, მის გაანალიზებას და კრიტიკულად შეფასებას, მდიდარი ლიტერატურული გამოცდილება კი ნამდვილად შექმნის ნოყიერ ნიადაგს სხვა, დამატებითი უნარ-ჩვევების ჩამოსაყალიბებლადაც.

> აუცილებელია, გავითვალისწინოთ ტექნოლოგიის ძალა, რომელიც, გარკვეულწილად, იმ კატალიზატორს წარმოადგენს, მოსწავლეთა ჭეშმარიტი ჩართულობის უზრუნველსაყოფად და მათთვის გაზიარებული კონცეფციების რეალურ ცხოვრებაში გამოსაყენებლად რომ არის საჭირო.

მოსწავლეთა სწავლების სხვადასხვა საჭიროებას და ერთ ადგილს ტკეპნიან?" ეს ძალიან მნიშვნელოვანია, თუ მართლაც გვსურს განათლების ისეთი რეფორმა, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ექნება მოსწავლეებისთვის.

ჩვენს მოსწავლეებს სურთ, იყვნენ კრეატიულნი, ისწავლონ თანამშრომლობის ატმოსფეროში, გამოიყენონ ტექნოლოგიები სწავლისთვის, დაუკავშირდნენ სხვა მოსწავლეებს, გააცნობიერონ ის გზავნილები, რომლებსაც მედიიდან იღებენ და გადაჭრან რეალური სამყაროს პრობლემები.

ის სკოლები და საგანმანათლებლო სისტემები, რომლებიც არ იყენებენ ციფრულ სწავლებას და აქცენტს სტანდარტიზაციაზე სვამენ, ყოველთვის უარყოფით რეაქციას გამოიწვევენ ჩვენს მოსწავლეებში.

აუცილებელია, გავითვალისწინოთ ტექნოლოგიის ძალა, რომელიც, გარკვეულწილად, იმ კატალიზატორს წარმოადგენს, მოსწავლეთა ჭეშმარიტი ჩართულობის უზრუნველსაყოფად და მათთვის გაზიარებული კონცეფციების რეალურ ცხოვრებაში გამოსაყენებლად რომ არის საჭირო.

თუ სკოლა საშუალებას აძლევს მოსწავლეს, გამოიყენოს სწავლის პროცესში ციფრული ეპოქის საშუალებები (რომლებსაც ისინი ისედაც იყენებენ სკოლის კედლების მიღმა), მას აქვს შანსი, იპოვოს მოსწავლეებისთვის მეტი შესაბამისობა და არსი იმ მასალაში, რომელსაც მათ ასწავლის.

სკოლის მართვა ციფრულ ეპოქაში ან, სხვაგვარად, „ციფრული ეპოქის ლიდერშიფი" (Digital leadership) შეიძლება აღვიქვათ როგორც დამოკიდებულებებისა და მიდგომების სპეციფიკური ნაკრები, რომელიც მიმართულია სკოლის კულტურის ტრანსფორმაციისკენ და ხელს უწყობს ბავშვების შემოქმედებითი ნიჭის გამომზეურებას, ახალი მეთოდებით ახალი არტეფაქტების შექმნას და სასწავლო მასალის შემეცნებითი შინაარსის დემონსტრირებას.

„ახალი" სასწავლო მასალა და „ახალი" მართვა ციფრულ ეპოქაში აღნიშნავს მოსწავლეთათვის ცოდნისა და უნარების ეფექტიან გადაცემას და მათთვის იმ თავდაჯერების ჩამოყალიბებას, რომელიც აუცილებლად დასჭირდებათ კოლეჯში, უნივერსიტეტში, სამუშაო ადგილზე, სწავლისა თუ შრომის დროს; რომელიც საფუძველს ჩაუყრის მათ მომავალს; ხელს შეუწყობს მათ წარმა-

> ჩვენს მოსწავლეებს სურთ, იყვნენ კრეატიული, ისწავლონ თანამშრომლობის ატმოსფეროში, გამოიყენონ ტექნოლოგიები სწავლისთვის, დაუკავშირდნენ სხვა მოსწავლეებს, გააცნობიერონ ის გზავნილები, რომლებსაც მედიიდან იღებენ და გადაჭრან რეალური სამყაროს პრობლემები.

ტებას ისეთ პროფესიებში, რომლებიც დღეს ჯერ კიდევ არ არსებობს ან ჯერ არ შექმნილა.

ყველაზე მნიშვნელოვანი კი ციფრული ეპოქის ლიდერობაში გახლავთ კონსტრუქტივისტული, ჰეუტაგოგიური (ინგლ. Heutagogy[1]) მიდგომა სწავლებისა და სწავლისადმი.

საინტერესოდ გვეჩვენება, რომ მასწავლებლები, მოსწავლეები, ქსელები, კავშირები, რესურსები და საშუალებები (ინგლ. Tools) ერთად ქმნიან უნიკალურ ობიექტ-ერთეულს, რომელსაც აქვს პოტენციალი, ინდივიდუალურად დააკმაყოფილოს მოსწავლის, განმანათლებლებისა და თვით საზოგადოების საჭიროებები (Gerstein, J., 2013).

ციფრული საშუალებები შესაძლებლობას გვაძლევს, გავამდიდროთ და განვავრცოთ ცოდნა, გავაზიაროთ გამოცდილება, მოვახდინოთ პრაქტიკის რეფლექსია, შევისწავლოთ უკუკავშირი და რეაქციები და ხელი შევუწყოთ სწავლის პროცესს. სამეცნიერო კვლევებმა აჩვენა, რომ ციფრულ სწავლას თან სდევს დადებითი ეფექტები მოტივაციისა და სწავლების შედეგების მხრივ (Gerstein, J., 2013).

ამის მიღწევა კი შესაძლებელი იქნება, თუ მოსწავლეებს უზრუნველვყოფთ რეალურ სამყაროში არსებული საშუალებებით, რომელთა გამოყენებითაც ისინი შეძლებენ ისწავლონ და შექმნან ახალი ცოდნა. სპეციფიკური ტექნოლოგიების გამოყენებაზე აქცენტირებით უფრო ადვილია მოსწავლეების ჩართულობის გაზრდა, რაც, თავის მხრივ, გააუმჯობესებს სწავლების შედეგებს. ეს რეალური გახდება მაშინ, როდესაც შეიცვლება სკოლების კულტურა და ის ორიენტირებული გახდება ციფრულ ეპოქაში მოსწავლეთა საჭიროებებზე.

## პატივი ეცი თითოეულ მოსწავლეს

ყველა ბავშვშია დამალული რაღაც დიადი. მასწავლებლის ამოცანაა, დაეხმაროს მას, იპოვოს და „გახსნას“ ეს „დიადი“.

თითოეული მოსწავლის პატივისცემა გახლავთ ის იარაღი, რომლითაც 21-ე საუკუნის ყველა „ციფრული“ ლიდერი უნდა აღიჭურვოს.

ეს საჭიროა ისეთი სკოლების შესაქმნელად, რომლებშიც ციფრულ „იარაღებს“ პასუხისმგებლობით გამოიყენებენ ყოველდღიურ სასწავლო პროცესში.

ჩვენ აუცილებლად გვჭირდება საუბარი ჩვენს მოსწავლეებთან. მოსწავლის/სტუდენტის პატივისცემა ნიშნავს მისთვის დროისა და ენერგიის დათმობას, განსაკუთრებულ ყურადღებას მათ მიერ დასმული კითხვების მიმართ, მათი მიღწევების აღნიშვნას, მათ დაფასებას, ძლიერი მხარეების ხაზგასმას და უბრალოდ ზრუნვას (Tomlinson, 2011).

მოსწავლეები უნდა იყვნენ ტრანსფორმაციული ცვლილებისა და ღონისძიებების ნაწილი. მათ ხმას შეუძლია, ღირებული წვლილი შეიტანოს ყველაფერში, კურიკულუმი იქნება თუ პედაგოგიკა, ტექნოლოგიის შეძენა თუ სწავლისთვის გამოყოფილი დროის განაწილება.

პატივისცემა ასევე მოიცავს პროფესიული ზრდის ახალი გზებისა და ბილიკების ძიებას, რაც საშუალებას მოგვცემს, აღმოვაჩინოთ და განვახორციელოთ სიახლეები მათთან ერთად და მათი სახელით. ჩვენს სკოლებში ყველა ბავშვი იმსახურებს ისეთ ზრდასრულ ადამიანებს, რომლებსაც სჯერათ მათი.

[1] Heutagogy, ჰეუტაგოგია (დაახლ. თვითმართვადი სწავლა) – ახალი ტერმინი პედაგოგიკაში, რომელიც 21-ე საუკუნეში გაჩნდა (Kenyon and Hase, 2001) და გამოიყენება ახალი, მოქნილი სწავლებისთვის, როდესაც მოსწავლე, მასწავლებელთან შეთანხმებით, თვითონ განსაზღვრავს მასალას და სწავლების მიმართულებას. პროცესი, როგორც მეცნიერები აღნიშნავენ, გულისხმობს მოსწავლის ავტონომიას და მჭიდრო კავშირსა და დახმარებას მასწავლებლის მხრიდან (იხ. წყარო: https://www.teachthought.com/pedagogy/a-primer-in-heutagogy-and-self-directed-learning/ )

მარიამ გოდუაძე

# დოკუმენტი ინკლუზიურ კლასებში სპეციალური თუ საგნის მასწავლებლებისთვის

## ABC მოდელი და ქცევაზე მუშაობის დოკუმენტაცია[1]

მოდელი, რომლის შესახებაც სტატიაში გვსურს საუბარი, შემუშავებულია ქცევაზე დაკვირვებისთვის და მოიცავს იმ სიტუაციური ფაქტორებისა თუ ცვლადების აღრიცხვას, რომლებიც წინ უძღვის ან მოსდევს კონკრეტულ ქცევას. აღნიშნული დოკუმენტი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ინკლუზიურ კლასებში სპეციალური თუ საგნის მასწავლებლებისთვის რთული ქცევის ბავშვებთან მუშაობის დაწყებისას ასეთი ქცევის მართვისა და პრევენციისა. მას საფუძვლად უდევს ბერას ფრედერიკ სკინერისეული რესპონდენტული ანუ **საპასუხო ქცევის** ტიპი, რომელშიც სტიმული ყოველთვის წინ უძღვის რეაქციას.

საზოგადოდ, უნდა ითქვას, რომ ქცევაზე დაკვირვების მიდგომა განათლებაში ქცევის ფსიქოლოგიის გზით ჩნდება. ბიჰევიორისტები[2] მიიჩნევდნენ, რომ ფსიქოლოგიამ უნდა შეისწავლოს მხოლოდ უშუალო დაკვირვებისთვის მისაწვდომი მოვლენები და ვინაიდან ცნობიერების შესწავლა კვლევის მეცნიერული მეთოდებით შეუძლებლად მიაჩნდათ მისი „დაფარულობისა და სუბიექტურობის გამო", მეცნიერული ფსიქოლოგიის შესწავლის საგნად ადამიანის ქცევას სახავდნენ. დღესდღეობით კოგნიტიურ თუ ჰუმანისტურ მოძღვრებებთან მიმართებით XX საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბებული ამ მოძღვრების თანამედროვე სასკოლო განათლებაში გამოყენება ყველაზე ეფექტურია პრობლემური ქცევის შეცვლისკენ მიმართული ეფექტური სტრატეგიების შემუშავებისთვის, ქცევის შეფასებისა და ანალიზისთვის, რამდენადაც ქცევის შეფასება ემსახურება პრობლემური ქცევის ფუნქციის განსაზღვრას.

ქცევის შეფასების პროცესში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს **ABC მოდელით** შექმნილი ფორმა, რომელიც მოიცავს ქცევაზე დაკვირვებას და იმ სიტუაციური ფაქტორებისა თუ ცვლადების აღრიცხვას, რომლებიც წინ უძღვის ან მოსდევს კონკრეტულ ქცევას.

**ABC მოდელში A** (Antecedent) აღნიშნავს წინაპირობას, **B** (Behavior) – ქცევას, ხოლო **C** (Consequence) – შედეგს.

**წინაპირობა**[3] განიმარტება როგორც ქცევის წინმსწრები ნებისმიერი მოვლენა ან გარემოება. წინაპირობის გრაფაში აღიწერება ქვევის წინმსწრები მიზეზი. **ქცევა** აღიწერება კონკრეტული ცნებებით, დეტალურად, ინტერპრეტაციების გარეშე. მაგ., *რამაზი უყვირის საბას; ლუკა თანაკლასელს რვეულს პარავს; სანდრო მუხლებზე დგება და ყვირის* და ა. შ. **ABC** მოდელში ქცევის ზუსტი განსაზღვრისას ბავშვთან დაკავშირებული ყველა პირისთვის იოლდება მისი კონკრეტული ქცევის ამოცნობა, დაკვირვება და ინტერვენციის გეგმის შემუშავება. **შედეგი** მოსდევს ქცევას და სწორედ მისი მეშვეობით დგინდება მაპროვოცირებელი და ქცევის შემანარჩუნებელი ფაქტორები.

ფსიქოლოგები გვაფრთხილებენ, რომ შედეგებმა შესაძლოა განამტკიცოს არასასურველი ქცევა და მთავარი კითხვა, რო-

> ქცევის შეფასების პროცესში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს ABC მოდელით შექმნილი ფორმა, რომელიც მოიცავს ქცევაზე დაკვირვებას და იმ სიტუაციური ფაქტორებისა თუ ცვლადების აღრიცხვას, რომლებიც წინ უძღვის ან მოსდევს კონკრეტულ ქცევას.

მელიც უნდა დავსვათ, ასეთია: რას იღებს ბავშვი ამ ქცევის საშუალებით? თუ შედეგი სუბიექტისთვის სასურველია, ქცევა კვლავ გამოვლინდება. თუ არასასურველია – ჩაქრება.

ქცევის შედეგების განსაზღვრისთვის დამხმარე კითხვებია:

- რა გამოიწვია ქცევამ?
- რა გააკეთეს ან თქვეს გარშემო მყოფებმა, თუკი ქცევა სოციალურ სიტუაციაში აღმოცენდა?
- ხომ არ წამოიწყო ან, პირიქით, შეწყვიტა სხვა პირმა ინდივიდთან ინტერაქცია?
- მიიღო თუ არა ინდივიდმა რამე?
- დაკარგა თუ არა ინდივიდმა რამე?
- ხომ არ დაიწყო ან შეწყდა აქტივობა ინდივიდის ქცევის შემდგომ?
- შეიცვალა თუ არა გარემო ან გარემო პირობები?

ABC მოდელის სრული ფორმა ასე გამოიყურება:

**განმახორციელებელი:** _____

**დაკვირვების ადგილი:** _____

**მოსწავლე:** _____

| ზუსტი დრო | A წინაპირობა | B ქცევა | C შედეგი | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| | (დეტალურად აღწერეთ, რა ხდება უშუალოდ ქცევის გამოვლენის წინ (გარემო, ადამიანები და სხვ.) | (აღწერეთ, რა სახით ვლინდება ქცევა) | (დეტალურად აღწერეთ, რა ხდება ქცევის გამოვლენის შემდეგ, რა შედეგები მოჰყვება ქცევას როგორც მოზრდილების, ასევე თანატოლების მხრიდან) | |
| 10.44 | მასწავლებლის თხოვნაა, მოსწავლეებმა ჩართონ კომპიუტერები. | ზაზა მუხლებზე დგება და დაჩოქილი მიდის მასწავლებლის მაგიდისკენ. | მასწავლებელი მიდის ზაზასკენ, რათა წამოაყენოს, ზაზა სწვდება კესოს პენალს და პირში იდებს. კესო ღიზიანდება. მასწავლებელი სთხოვს მას, გაუგოს ზაზას, ზაზას კი სთხოვს, სხვა დროს ასე აღარ მოიქცეს, ჰკიდებს ხელს და სვამს თავის სკამზე. | |
| 11.00 | ზარის დარეკვისთანავე შემოდის ქართულის მასწავლებელი, რომელიც დამრიგებელიცაა. მასწავლებელი ზაზას უთითებს, გადაშალოს წიგნი. | ზაზა ზის, იღებს წიგნს, შლის და ათვალიერებს, შემდეგ ხურავს და მთელი ძალით უსვამს მაგიდას. გადაყრის საგნებს მერხიდან, მერე დგება და ხმაურით იღებს. | ბავშვების რეაგირებაზე იწყებს საკლასო ოთახში სირბილს. მასწავლებლის კომენტარზე შლის წიგნს და კითხულობს ხმამაღლა, არ ჩუმდება. | |
| 11.05 | მასწავლებელი მიდის ოთოს მერხთან და აქებს მის დავალებას. | ზაზა ინტერესით უცქერის, მერე უცებ წამოიყვირებს: „ეეეჰ!“ და შლის წიგნს. | მერე კი შლის დავალების რვეულს და მასწავლებელთან მიაქვს. | |

სპეციალისტები მიგვითითებენ, რომ ABC ფორმატით ქცევაზე პირდაპირი დაკვირვება უნდა გაგრძელდეს მანამდე, სანამ მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით არ მოხდება ცვლადებს შორის მიმართებისა და გარკვეული კანონზომიერების აღმოჩენა. გამონაკლისია ის ქცევები, რომლებიც ზიანს აყენებს თავად ბავშვს ან მის გარშემო მყოფებს.

მიჩნეულია, რომ სასურველის მიღება ან არასასურველის თავიდან აცილება წარმოადგენს ქცევის ძირითად ფუნქციას, მიზანს, შემანარჩუნებელ ფაქტორს. სასურველი ქცევის შედეგი არ უნდა იყოს დამაჯილდოებელი. თუ ქცევა მეორდება, შედეგი დამაჯილდოებელია. ადამიანი აღნიშნული ქცევით ან რაიმე სარგებელს იღებს, ან არასასურველ ქმედებას და/ან ემოციას იცილებს თავიდან.

სპეცმასწავლებლების გამოცდილება ცხადყოფს, რომ ABC მოდელი აადვილებს რთული ქცევის ბავშვებთან მუშაობას და მათი ქცევის მართვას. ქცევის მართვის ეფექტური სტრატეგიების შემუშავების გარანტია ABC ფორმატით ქცევის წინაპირობებისა და შედეგების იდენტიფიცირება და ანალიზი, რომელსაც სპეციალური მასწავლებელი მოსწავლის მშობელთან, დამრიგებელსა და საგნის მასწავლებლებთან თანამშრომლობით ნერგავს და სახავს წარმატების მიღწევის გზებს.

ჩვენს მოდელში წარმოდგენილი ქცევები სულაც არ არის გამოგონილი. გამოგონილი აქ მხოლოდ მეორეკლასელი ბავშვის სახელია. ბავშვისა, რომელიც ახლა მეექვსე კლასშია და სამაგალითოდ იქცევა.

გარდა ABC ფორმატის წარმოებისა, ბავშვის ქცევაზე მუშაობისას ასევე მნიშვნელოვანი დოკუმენტია **ქცევაზე მუშაობის გეგმა**[4].

ის შემდეგნაირად უნდა შევავსოთ:

ბავშვის სახელი, გვარი

ბავშვის ასაკი

დიაგნოზი

აკადემიური უნარები

სოციალური უნარები

ინფორმაცია ოჯახის შესახებ

დამატებითი ინფორმაცია

| პრობლემური ქცევა | ქცევის გამოვლენის სიხშირე/დრო | წინაპირობა | შედეგი |
|---|---|---|---|
| | | | |
| | | | |

ქცევის მიზანი/მოტივი

ჩამანაცვლებელი/სასურველი ქცევა

ჩარევის სტრატეგია (რა არის გასაკეთებელი, მიზანი)

| ჩასანაცვლებელი აქტივობების ეტაპები | პერიოდები | განხორციელების ადგილი | აქტივობაში მონაწილე პირები |
|---|---|---|---|
| | | | |
| | | | |

იმედს ვიტოვებთ, აღნიშნული დოკუმენტაცია დაეხმარება სპეციალურ მასწავლებლებს თავიანთი რთული სამუშაოს წარმატებით შესრულებაში – ის ხომ მსოფლიოში აღიარებული ექსპერიმენტატორისა და ვირტუოზი მომთვინიერებლის, ბერას სკინერის გამოცდილების ნაყოფია. და თუ მასავით მტრედს რამდენიმე წუთში ცეკვას ვერ ვასწავლით, ის ხომ ნამდვილად შესაძლებელია, ჩვენი მოსწავლეების რთული ქცევა დავამარცხოთ და ის ყველასთვის გასახარი შედეგებით შევცვალოთ.

[1] მცირე ხნის წინ სპეციალური მასწავლებლების ასოციაციის გვერდზე აღნიშნული მოდელის ხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია. ამ წერილის მომზადებაც სწორედ აღნიშნულმა ინტერესმა განაპირობა.

[2] ჯ. უოტსონი, ე. თორნდაიკი, ბ.ფ. სკინერი

[3] ამ საკითხს ჩვენი ცალკე წერილი მიეძღვნა.

[4] აღნიშნული დოკუმენტაციის შესახებ ვხელმძღვანელობთ მაკლეინის ასოციაციის მიერ გამოცემული სატრენინგო კრებულით „ქცევის მართვა“ (თბილისი, 2017) და ამავე ტრენინგზე მიღებულ ცოდნასა და დანერგილ გამოცდილებას, მათივე თხოვნით, სიამოვნებით ვუზიარებთ ინკლუზიური განათლების დარგში მომუშავე სპეციალისტებს, რომლებისთვისაც საინტერესო და რამდენადმე მიუწვდომელია აღნიშნული ფორმები.

თამთა ღოღიძე

# რამდენიმე გზა კითხვის სწავლებისთვის

> წერა და კითხვა თითქმის თანადროული პროცესებია, თუმცა განათლების სფეროს წარმომადგენელთა აზრი ამ მიმართულებითაც არაერთგვაროვანია. ზოგიერთი მიიჩნევს, რომ წერა-კითხვა სინქრონულად უნდა ისწავლებოდეს, რადგან ორივე მათგანი საერთო უნარ-ჩვევების განვითარებას უწყობს ხელს.

წერა და კითხვა ის ფუნდამენტური უნარებია, რომელთა განვითარებასაც დაწყებით საფეხურზე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. მიზეზი მარტივია – მათ გარეშე შეუძლებელია განათლების მიღება. არაერთხელ მომიკრავს ყური მოსაზრებისთვის, რომ მშობლიური ენის სწავლა-სწავლება ძალიან მარტივია, რადგან ეს ენა დაბადებიდან გვესმის და კომუნიკაციის დროს თავისუფლად ვიყენებთ. თუმცა ასე მარტივადაც არ არის საქმე. კითხვის პროცესი რამდენიმე კომპონენტს (ფონოლოგიური უნარ-ჩვევა, ანბანის ცოდნა, ლექსიკური მარაგი, გაწაფული კითხვა, წაკითხულის გაგება-გააზრება) მოიცავს და თითოეული მათგანის დაუფლებას საკმაო ძალისხმევა სჭირდება (კომპლექსური უნარების ერთობლიობას წარმოადგენს წერის პროცესიც). ზემოაღნიშნული კომპონენტები ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული და თუ რომელიმე მათგანი სათანადოდ არ განვავითარეთ, კითხვასთან დაკავშირებული სირთულეები მალევე იჩენს თავს.

და მაინც, რის ცოდნას/შეძლებას გულისხმობს გაწაფული კითხვის უნარი? პირველ რიგში, ბგერის (რაც გესმის, რასაც წარმოთქვამ) ასო-ნიშანთან დაკავშირებას. ანბანის შესწავლასთან ერთად, მოსწავლეს სიტყვის, წინადადების, ტექსტის სტრუქტურის აღქმაც უნდა შეეძლოს, რასაც ფონეტიკური უნარების (სიტყვის ასო-ბგერებად/მარცვლებად დაშლა-გამთლიანება და ა.შ.) განვითარება და მცირედი გრამატიკული ინფორმაციის (რა არის სიტყვა, წინადადება, სასვენი ნიშანი და სხვ.) გააზრებაც სჭირდება. გარდა კითხვის პროცესის ტექნიკურად გამართვისა (ასოების/მარცვლების – სიტყვებად, სიტყვების წინადადებებად გამთლიანება, კითხვის ტემპი, ინტონაცია...), წაკითხული მასალის შინაარსიც უნდა გვესმოდეს. მიუხედავად იმისა, რომ მშობლიურ ენას ვსწავლობთ, ლექსიკური მარაგის შევსება მაინც გვჭირდება, რადგან კომუნიკაციის დროს სამწერლობო ლექსიკას იშვიათად ვიყენებთ. ყველა ზემოაღნიშნული კომპონენტის დაუფლება გვაძლევს იმის შესაძლებლობას, რომ წაკითხული მასალა სიღრმისეულად გავიაზროთ და სწორი დასკვნები გამოვიტანოთ.

საუკუნეების განმავლობაში წერა-კითხვის სწავლებასთან დაკავშირებით საკმაო გამოცდილება დაგროვდა, თუმცა დღემდე ვერ თანხმდებიან, რომელი გზაა უფრო ეფექტური. ამ საკითხთან დაკავშირებული აზრთა სხვადასხვაობა თანამედროვე სახელმძღვანელოებშიც შეიმჩნევა. ზოგიერთი მათგანი ეფუძნება სინთეზურ (ნაწილების შეერთება, გამთლიანება) მეთოდს, რაც გულისხმობს ნაწილიდან მთელისკენ, ანუ ასო-ბგერიდან მარცვლისკენ, შემდეგ კი სიტყვისკენ სვლას. აღნიშნული მეთოდის თანახმად, მოსწავლე ჯერ დაასახელებს შესასწავლ ასო-ბგერას და წაიკითხავს ასოებად დაშლილ სიტყვას, რომელიც, ახალთან ერთად, ნაცნობი ასო-ბგერებისგან შედგება. შემდეგ ამავე სიტყვის ამოკითხვას დამარცვლით შეეცდება, ბოლოს კი გაამთლიანებს.

მასწავლებელთა ნაწილი კი მიიჩნევს, რომ გაცილებით ეფექტიანია მთლიანიდან დეტალებისკენ მიმავალი გზის გამოყენება, მაგალითად, მოსწავლეს ჯერ აჩვენებ/უკითხავ წინადადებას და მასაც ამეორებინებ. ამის შემდეგ იწყებ სიტყვებზე დაკვირვებას – მიუთითებ კონკრეტულ სიტყვაზე, წაიკითხავ

> უმჯობესია, კითხვის სწავლების პროცესი წერისთვის მომზადების ეტაპად აღვიქვათ. პირველკლასელთა უმრავლესობას, როგორც წესი, დასახვეწი აქვს წვრილი მოტორიკა. აქედან გამომდინარე, ჯობია, მოსწავლეებს ამ უნარის გასაუმჯობესებელი სავარჯიშოები მივაწოდოთ.

და მასაც ათქმევინებ. შემდეგ კი ამ სიტყვის დეტალებზე დაკვირვების პროცესი იწყება. მოსწავლეს ეკითხები, რომელ ასო-ბგერაზე იწყება მის მიერ დასახელებული სიტყვა, რამდენი ასო-ბგერისგან შედგება და ა.შ. აღნიშნულ მეთოდს ანალიზურსაც უწოდებენ.

კითხვის სწავლების ორივე მეთოდს – სინთეზურს (აღმავალს) და ანალიზურს (დაღმავალს) – თავისი მომხრეები და მოწინააღმდეგეები ჰყავს, თუმცა წერა-კითხვის სწავლებისას ორივე მათგანი აქტიურად გამოიყენება. სინთეზური მეთოდის გასაკრიტიკებელ ელემენტად დღემდე რჩება დაშლილი სიტყვების გამთლიანებასთან დაკავშირებული სირთულეები (ბავშვების გარკვეულ ნაწილს მთლიანი სიტყვის ხატის ცნობა და დასახელება უფრო ეადვილება, ვიდრე ასოებად/მარცვლებად ამოკითხული სიტყვის გამთლიანება). გარდა ამისა, უინტერესო, ერთმანეთთან აზრობრივად დაუკავშირებელი ფრაზების ამოკითხვა კითხვის მოტივაციას მნიშვნელოვნად აქვეითებს. ანალიზური მეთოდი სწორედ ამ სირთულეების აღმოფხვრას ცდილობს. მისი მამოძრავებელი ძალა ენის მთლიანობაა. ასაკის შესაბამისი ლექსიკისა და შინაარსის მქონე პატარა ტექსტების მოსმენით, ფრაზების/წინადადებების მრავალჯერ გამეორებით, ინტუიციისა და ანალოგიის პოვნის თანდაყოლილი უნარების დახმარებით მოსწავლეები ახერხებენ ფონოლოგიური უნარების განვითარებას და სიტყვის/ტექსტის სტრუქტურის გააზრებას. კითხვის მოტივაციაც იზრდება, რადგან საკითხავი მასალა ბავშვებისთვის საინტერესო საკითხებს მოიცავს და მოსწავლეებს დამოუკიდებელი აზროვნების ასპექტების გამოვლენის საშუალებასაც აძლევს. თუმცა აღნიშნული მეთოდით სწავლების დროსაც შეიძლება წააწყდეთ სირთულეებს. მათგან ყველაზე ხშირია ნაცნობ ტექსტს მოცილებული ცალკეული სიტყვების ამოკითხვის/ცნობის პრობლემა.

კითხვის სწავლების ორივე გზის დაბალანსებისა და მათი საუკეთესო დეტალების გაერთიანების შედეგია ანალიზურ-სინთეზური მეთოდი (მაგ., იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“). მეოცე საუკუნის ბოლოს კი კითხვის სწავლების კიდევ ერთი გზა გაიკვალა. კომბინირებული მეთოდების მიმდევრები ბავშვის



განვითარების თავისებურებათა გათვალისწინებით ცდილობენ ეფექტიანი მიდგომების შერჩევას და დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ისეთი სფეროების განვითარებას, როგორიცაა ფონემური ცოდნა, გაწაფული კითხვა, ლექსიკური მარაგის გამდიდრება, ტექსტის მახასიათებლების ცოდნა და წაკითხულის გააზრება.

წერა და კითხვა თითქმის თანადროული პროცესებია, თუმცა განათლების სფეროს წარმომადგენელთა აზრი ამ მიმართულებითაც არაერთგვაროვანია. ზოგიერთი მიიჩნევს, რომ წერა-კითხვა სინქრონულად უნდა ისწავლებოდეს, რადგან ორივე მათგანი საერთო უნარ-ჩვევების განვითარებას უწყობს ხელს. ზოგჯერ კი მათ აცალკევებენ და კითხვის სფეროში გარკვეული ცოდნის დაგროვების შემდეგ იწყებენ წერის მიმართულებით მუშაობას (აზრთა სხვადასხვაობას სახელმძღვანელოების მაგალითზეც კარგად დაინახავთ), რადგან ანბანის ცოდნის, ფონეტიკური უნარებისა თუ ზემოთ ჩამოთვლილი სხვა ელემენტების გარდა, წერის პროცესი სივრცის აღქმას, საწერ ბადეში ორიენტირებას, წერის მიმართულების გააზრებას/დაცვას, ასოთა სწორად მოხაზვას და სხვა ტექნიკური კომპონენტების დაუფლებასაც გულისხმობს.

საკუთარი გამოცდილებით თუ ვიმსჯელებ, ვფიქრობ, უმჯობესია, კითხვის სწავლების პროცესი წერისთვის მომზადების ეტაპად აღვიქვათ. პირველკლასელთა უმრავლესობას, როგორც წესი, დასახვეწი აქვს წვრილი მოტორიკა. აქედან გამომდინარე, ჯობს, მოსწავლეებს ამ უნარის გასაუმჯობესებელი სავარჯიშოები მივაწოდოთ. აღნიშნული საქმიანობა თავისუფლად შეგვიძლია დავუკავშიროთ შესასწავლ ასო-ბგერას, მაგალითად, ასო „ს“-სთან დაკავშირებული ტექსტის კითხვისას მოსწავლეებს წერტილებისგან აწყობილი სპილოს კონტური გავამთლიანებინოთ და გავაფერადებინოთ, ან ასო-ბგერების კონტურების გამთლიანება-გაფერადების გზით ანბანის წიგნაკები შევადგენინოთ. ბავშვებს ასევე ძალიან მოსწონთ ასო-ბგერების, სიტყვების, წინადადებების გამოძერწვა, ქვიშაზე წერა, ასოების ჰაერში მოხაზვა და „ასოების მასაჟი“. მსგავსი თამაშების დახმარებით ახალბედები ასოების მოხაზულობასაც გაეცნობიან და რვეულის ბადეში მათი გადატანის დროს უფრო თავისუფლად იგრძნობენ თავს.

ქართულ რეალობაში უმეტესად ისევ წერა-კითხვის სწავლების იაკობ გოგებაშვილისეულ მეთოდს ეყრდნობიან. სახელმძღვანელოთა უმრავლესობასაც თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ გათანამედროვებული „დედა ენა“. თუმცა სიტყვა „თანამედროვე“ ნაკლებად შეეფერება საანბანო პერიოდის ტექსტებს. რას ვიზამთ, რაც არ უნდა მოვინდომოთ, ვერაფრით გავამდიდრებთ საანბანო ტექსტების („აი თითა, აი თათი, აი ათი თითი“ და სხვ.) შინაარსს. ამიტომ, კითხვის მოტივაციის ამაღლებისა და ანბან-ქალაქთან გაშინაურების მიზნით, ხშირად ვიყენებ ე.წ. საანბანო წიგნებს. გარდა ამისა, ასო-ბგერათა ზოგიერთ თავგადასავალს თავადაც ვიგონებ. მე დასაწყისების მწერალი ვარ, მოსწავლეები კი ჩემს მონათხრობს სხვადასხვა დასასრულს უსადაგებენ. სახელდახელო ამბებს ფონეტიკური სავარჯიშოებიც უხდება. ამ წერილსაც ერთ-ერთი ასო-ბგერის შესახებ მოთხრობილი პატარა ისტორიით და ფონეტიკური თამაშით დავასრულებ:

*ანბანის სახლში, მეორე სართულზე, ანის და ინის მეზობლად, ერთი ახალი ასო-ბგერა – თანი დასახლდა. თანი ოროთახიან ბინაში ცხოვრობდა და თავისი ახალი საცხოვრებელი ადგილი ძალიან მოსწონდა. ძალიან მხიარული ვინმე იყო, სულ სათამაშოდ მიუწევდა გული. განსაკუთრებით კი სიტყვობანას თამაში მოსწონდა და ვიდრე ქალაქში სხვა ასო-ბგერები დასახლდებოდნენ, ანის და ინის დახმარებით რამდენიმე სიტყვა ააწყო. მოდი, ჩვენც ვითამაშოთ სიტყვობანა...*

*შენიშვნა: თამაშისთვის საჭიროა მოძრავი/მაგნიტური ანბანი.*

*ინსტრუქცია: მოსწავლეებს ვუხსნით, რომ მოცემული ასო-ბგერების (ა, ი, თ) სიტყვაში საჭიროებისამებრ განმეორებით გამოყენების უფლება აქვთ.*

*სავარაუდო სიტყვების ჩამონათვალი: ათი, თათი, თითა, თითი, თათია, თათა, თაია...*

*მარცვლებად დაშლილი სიტყვების აწყობა: თამაშის ეს ვარიაცია ეფექტურია საკითხავი მასალის დამუშავების პროცესში. დაფაზე არეული თანმიმდევრობით ვაკრავთ წებოვან ქაღალდზე დაწერილ მარცვლებს და ვყვებით, როგორ დაუბერა ანბანის ქალაქში ძლიერმა ქარმა და სიტყვებს მარცვლები სულ აუწეწა, მერე კი მოსწავლეებს ვთხოვთ, მარცვლებს ერთმანეთის პოვნასა და სიტყვებად გამთლიანებაში დაეხმარონ.*

თინათინ ზარდიაშვილი

# დისტანციური სწავლება და „სასწავლო გაჩერებები“

„სასწავლო გაჩერებები“ აქტივობათა ერთობლიობაა, რომელიც საშუალებას აძლევს მასწავლებელს, მიაღწიოს დასახულ მიზანს, შეუქმნას მოსწავლეებს სახალისო და საინტერესო გარემო, აუმაღლოს მოტივაცია, გაზარდოს მათი ჩართულობა მათივე შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით. ამ მეთოდით ჩატარებული გაკვეთილი ეფექტურად გამოიყენებოდა რეალური სასწავლო პროცესის დროს და ასევე ადვილად შეიძლება მოვარგოთ დისტანციურ სწავლებას. ამისთვის მასწავლებელმა კლასის შიგნით უნდა შექმნას იმდენი ჯგუფი, რამდენი გაჩერების გავლასაც გეგმავს გაკვეთილზე. ყველა ჯგუფს თავდაპირველად კონკრეტულ დავალებას ახვედრებს, მერე კი უცვლის. ამ დავალებების ატვირთვა თავიდანვე შესაძლებელია Fails-ში. სასურველია, ყველა დავალებას დაარქვას სახელი: გაჩერება 1-ლი; გაჩერება მე-2 და ა.შ. მოსწავლეები თავდაპირველად შემოვლენ Teams-ის ძირითად ჯგუფში, მერე კი გადანაწილდებიან მცირე ჯგუფებში ინსტრუქციის მიხედვით.




გაჩერებების რაოდენობასა და თითოეულ ჯგუფში მოსწავლეთა რაოდენობას, გაკვეთილის მიზნიდან და კლასის სპეციფიკიდან გამომდინარე, მასწავლებელი განსაზღვრავს. ასევე მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა სწორად განსაზღვროს თითოეულ „სასწავლო გაჩერებაზე“ მოსწავლეებისთვის გათვალისწინებული დრო. აქტივობების სწორად წარმართვისთვის **აუცილებელია, ყველა გაჩერებას თანაბარი** დრო **დაეთმოს**, მასწავლებელმა აკონტროლოს მოსწავლეთა „გადაადგილება“ გაჩერებებზე და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს დროის ლიმიტის დაცვას. მოსწავლეების ჯგუფებად დაყოფის სხვადასხვა მეთოდი არსებობს. ერთ-ერთი ფორმაა 1-4 ზე გათვლა (მოსწავლეები გაითვლიან იმდენზე, რამდენი გაჩერებაც არის). მასწავლებელი მათ მიუთითებს, რა თანმიმდევრობით უნდა შეასრულონ დავალებები. პირველი ჯგუფი ასრულებს დავალებას „გაჩერება 1-ლი“, მეორე – დავალებას „გაჩერება მე-2“, მესამე – დავალებას „გაჩერება მე-3“, მეოთხე – დავალებას „გაჩერება მე-4“. ამის შემდეგ მასწავლებელი მათ დავალებებს უცვლის. პრეზენტაციისთვის შესრულებულ დავალებებს მოსწავლეები ძირითად ჯგუფში გააზიარებენ.

> ამ მეთოდით ჩატარებული გაკვეთილი ეფექტურად გამოიყენებოდა რეალური სასწავლო პროცესის დროს და ასევე ადვილად შეიძლება მოვარგოთ დისტანციურ სწავლებას.

**გაკვეთილის თემა:** ორგანიზმის ჰომეოსტაზი

**გაკვეთილის მიზანი:** მოსწავლემ შეძლოს ადამიანის ორგანიზმის ჰომეოსტაზის მნიშვნელობის გაანალიზება, ჰომეოსტაზის ჩამოყალიბებაში მონაწილე ორგანოებისა და ორგანოთა სისტემების როლის განსაზღვრა.

**გაკვეთილის გრძელვადიანი მიზანი:** მოსწავლემ შეძლოს ერთი საკითხის ირგვლივ არსებული მონაცემების შეგროვება და ამბის სახით გადმოცემა (პოსტერის შექმნა).

## ესგ - ის სტანდარტი

- კვლევის საფუძველზე ორგანიზმის ჰომეოსტაზის (წყლის ბალანსი, ტემპერატურა) შენარჩუნების მნიშვნელობის დადგენა და ორგანიზმის დაცვითი შესაძლებლობების (კანი, ლორწოვანი გარსები, ღვიძლი, ტემპერატურის მატება, ფაგოციტები, იმუნიტეტი) შესახებ მსჯელობა **(ბიოლ. საბ. 1, 2, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10);**
- კვლევის საფუძველზე გარემოს ცვლად პირობებში ორგანიზმში მიმდინარე ცვლილებების (მაგ., პულსის აჩქარება-შენელება, სუნთქვის სიხშირის შეცვლა, ოფლიანობა, წნევის მომატება) დადგენა **(ბიოლ. საბ. 1, 2, 4, 5, 6, 8, 9, 10).**

**წინარე ცოდნა და უნარები:** მოსწავლეებმა იციან საჭმლის მონელების, სისხლის მიმოქცევის, სუნთქვისა და გამომყოფ ორგანოთა სისტემების აგებულება და ფუნქცია. შეუძლიათ მოდელზე ორგანოების ამოცნობა, დიაგრამის ანალიზი იდენტიფიცირება-ინტერპრეტაციის მეთოდის გამოყენებით.

**რესურსები:** სამუშაო ფურცლები, კომპიუტერი, შეფასების რუბრიკები, ელექტრონული რესურსი.

**შეფასება:** განმავითარებელი – ჯგუფის მუშაობაზე დაკვირვება, ერთი ჯგუფის მიერ სხვა ჯგუფის ნამუშევრის შეფასება.

## გაკვეთილის მსვლელობა

**აქტივობა 1**. შექმენით პოზიტიური სასწავლო გარემო (გააცანით მოსწავლეებს გაკვეთილის მიზანი, შეფასების ფორმები, შეახსენეთ ქცევის წესები) (2 წთ).

**აქტივობა 2**. მოსწავლეთა ახალი საკითხით დაინტერესების მიზნით აჩვენეთ ადამიანსა და გარემოს შორის სითბოს მიმოცვლის სურათი **(სურ 1)**. სთხოვეთ, გამოთქვან ვარაუდი სითბოს გადაცემის მიმართულებათა შესახებ. გონებრივი იერიშის მეთოდის გამოყენებით დააფიქსირეთ მათი მოსაზრებები, დაახარისხეთ იდეები.

„სასწავლო გარემოებები“ აქტივობათა ერთობლიობაა, რომელიც საშუალებას აძლევს მასწავლებელს, მიაღწიოს დასახულ მიზანს, შეუქმნას მოსწავლეებს სახალისო და საინტერესო გარემო, აუმაღლოს მოტივაცია, გაზარდოს მათი ჩართულობა მათივე შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით.



სთხოვეთ მოსწავლეებს, გაიხსენონ, რა არის ჰომეოსტაზი. რას ნიშნავს ტერმინი? როგორ ხდება ორგანიზმის შინაგანი გარემოს მუდმივობის შენარჩუნება? (4 წთ)

კლასი დაყავით ოთხ ჯგუფად. გააცანით „სასწავლო გაჩერებების“ მეთოდის ინსტრუქცია. თითოეული ჯგუფი დაიკავებს რომელიმე ერთ გაჩერებას. შეახსენეთ დრო. მოსწავლეები ოთხ „სასწავლო გაჩერებას“ გაივლიან. თითოეულის ხანგრძლივობაა 6 წთ.

ყოველი გაჩერების გავლის შემდეგ სთხოვეთ ჯგუფს, სამუშაო ფურცელი მომდევნო გაჩერებაზე გადაიტანონ. ოთხი გაჩერების გავლის შემდეგ პოსტერი უნდა ააწყონ.

**გაჩერება 1-ლი:** მოსწავლეები იმუშავებენ სამუშაო ფურცელ N1-ზე; იმსჯელებენ, როგორ მუშაობს კანის სხვადასხვა სტრუქტურა გარემოში მაღალი და დაბალი ტემპერატურის საპასუხოდ.

**გაჩერება მე-2:** მოსწავლეები განიხილავენ ვიდეოს https://www.youtube.com/watch?v=xNrD8uPPf4w. შემდეგ შეავსებენ სამუშაო ფურცელ N2-ს. იმსჯელებენ, რა ცვლილებებს განიცდის ორგანიზმი მასში უცხო სხეულის შეჭრის დროს.

**გაჩერება მე-3:** მოსწავლეები ჯგუფში ჩაატარებენ ექსპერიმენტს. ჯგუფის წევრების ნახევარი მოხალისის როლში იქნება, ნახევარი – დამკვირვებლის როლში. დამკვირვებლები მოხალისეებს დაუთვლიან პულსს და გაუზომავენ წნევას. ჩაინიშნავენ მონაცემებს სამუშაო ფურცელ N3-ზე. შემდეგ მოხალისეები 1 წუთის განმავლობაში ბუქნებს გააკეთებენ. ამის შემდეგ დამკვირვებლები დაითვლიან მოხალისეების პულსს და წნევას. მონაცემებს ჩაინიშნავენ სამუშაო ფურცელ N3-ზე. დასასრულ, იმსჯელებენ, როგორ შეიცვალა სისხლის წნევა და პულსი ფიზიკური დატვირთვის გავლენით.

**გაჩერება მე-4:** მოსწავლეები იმუშავებენ სიმულაციაზე https://phet.colorado.edu/sims/html/ph-scale/latest/ph-scale_ka.html, სადაც შეძლებენ, აირჩიონ სხვადასხვა სითხე, დაადგინონ pH და მისი დამოკიდებულება სითხის კონცენტრაციაზე. აქტივობის ბოლოს იმსჯელებენ იმ ორგანოს ფუნქციონირებაზე, რომელიც ადამიანის სხვადასხვა სითხის pH-ის მეტ-ნაკლებ მუდმივობას განაპირობებს.

მას შემდეგ, რაც მოსწავლეები ოთხივე გაჩერებას გაივლიან და პოსტერის აწყობას დაასრულებენ, სთხოვეთ, ის კედელზე გააკრან. სთხოვეთ, გადაადგილდნენ კლასში ქცევის წესების დაცვით და დაათვალიერონ სხვა ჯგუფების მიერ მომზადებული ნამუშევრები. დროის ამოწურვის შემდეგ გამოსაძახებელი ჩხირების გამოყენებით შეარჩიეთ ჯგუფი, რომელიც პოსტერის პრეზენტაციას ჩაატარებს. დანარჩენ სამ ჯგუფს სთხოვეთ, ყურადღებით მოისმინონ პრეზენტაცია და სამ-სამი წინადადებით შეაფასონ.

**შეფასება:** მასწავლებლის მიერ ჯგუფის მუშაობაზე დაკვირვების რუბრიკა.

ჯგუფის მიერ სხვა ჯგუფის მუშაობის შეფასება კომენტარით:

1. ჩემი აზრით _____
2. სასურველი იქნებოდა _____
3. საბოლოოდ _____

### სამუშაო ფურცელი N 1

შეავსეთ ცხრილი. როგორ პასუხობს კანის სხვადასხვა სტრუქტურა და ჩონჩხის კუნთები გარემოს დაბალ და მაღალ ტემპერატურას?

| | პასუხი დაბალ ტემპერატურაზე | პასუხი მაღალ ტემპერატურაზე |
|---|---|---|
| კანის არტერიოლების გლუვი კუნთები | | |
| საოფლე ჯირკვლები | | |
| თმის ამწევი კუნთი | | |
| ჩონჩხის კუნთები | | |

### სამუშაო ფურცელი N 2

დააკვირდით, როგორ პასუხობს ორგანიზმი მასში უცხო სხეულის მოხვედრას და შეავსეთ ცხრილი.

| |
|---|
| ფაგოციტები |
| ლორწოვანი გარსები |
| სხეულის ტემპერატურა |

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. „განმავითარებელი შეფასება, დიფერენცირებული სწავლება“, მარიანა ხუნძაყიშვილი, სარა ბივერი, 2018 წ. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი
2. ბიოლოგია, მე-8 კლასი, მოსწავლის წიგნი, ნ. ზაალიშვილი, ნ. იოსებაშვილი, გამომცემლობა „ტრიასი“, 2012 წელი
3. ჯგუფური მუშაობა teams-ში, ნანა დაბრუნდაშვილი https://www.youtube.com/watch?v=1QanK51hFAI&t=254s https://www.youtube.com/watch?v=xNrD8uPPf4w


ვიდეოს ტრანსკრიპტი:

1. ეს იმუნური უჯრედებია, რომლებიც „ჭამენ“ და ინელებენ ბაქტერიას. მწვანე ჩხირი კი ბაქტერიაა.
2. ესენი არიან სისხლის თეთრი უჯრედები - მაკროფაგები.
3. მათი საქმეა, გაანადგურონ ორგანიზმში მოხვედრილი უცხო სხეული. ამ პროცესს ფაგოციტოზი ეწოდება.
4. ბაქტერია გამოყოფს ცილებს, რომლებიც აფრთხილებს მაკროფაგებს საკუთარი მდებარეობის შესახებ.
5. მაკროფაგები ემაგრებიან ბაქტერიას.
6. ბაქტერია ჩახლართული და დაბმულია სხეულში, რომელსაც ფაგოსომა ჰქვია.
7. სპეციალური მომნელებელი ფერმენტები ბაქტერიას ნაწილებად ყოფენ.
8. უვნებელი ნაწილები ან გამოიყენება უჯრედის მიერ, ან გარეთ გამოიყოფა.

## სამუშაო ფურცელი N3:

შეავსეთ ცხრილი

| | პულსი დატვირთვამდე | პულსი დატვირთვის შემდეგ | წნევა დატვირთვამდე | წნევა დატვირთვის შემდეგ |
|---|---|---|---|---|
| I მოხალისე | | | | |
| II მოხალისე | | | | |
| III მოხალისე | | | | |

**დასკვნა:**

რა გავლენას ახდენს ფიზიკური დატვირთვა პულსზე, წნევასა და სუნთქვითი მოძრაობის სიხშირეზე?

## სამუშაო ფურცელი N4:

გახსენი ბმული.
https://phet.colorado.edu/sims/html/ph-scale/latest/ph-scale_ka.html

აირჩიე ქვემოთ მოცემული სამი პიქტოგრამიდან Macro. გამოჩნდება pH-ის სკალა, ჭურჭელი, ორი ონკანი, პიპეტი და სითხის ასარჩევი პიქტოგრამა. აირჩიე სხვადასხვა სითხე და ჩაინიშნე მათი pH-ის მნიშვნელობები. შემდეგ მოუშვი წყლის ონკანი და გააზავე წყლით. დააკვირდი pH-ის ცვლილებას. მოიფიქრეთ, როგორ არეგულირებს ჩვენი ორგანიზმი შინაგანი გარემოს pH-ს მეტ-ნაკლებად მუდმივ დონეზე. პასუხი დაასაბუთეთ.

მაღინა საჯაია

# რამდენიმე რჩევა მშობლებს ონლაინსწავლებისას შვილების ჩართულობისა და მოტივაციის ასამაღლებლად

**ყველა რჩევა, რომლებსაც ქვემოთ ამოიკითხავთ, ორ მთავარ მიზანს ემსახურება:**

- წავახალისოთ ბავშვი მეტი ავტონომიის მიცემით. დავეხმაროთ, სხვა მოსწავლეებთან უფრო მჭიდრო კავშირი იგრძნოს.
- სათანადოდ მოვუწყოთ გარემო, რომ საქმეზე კონცენტრირება მოახერხოს და კომპეტენტურობის შეგრძნებით ისიამოვნოს.

ამისთვის:

### 1. მიეცით სხვა ბავშვებთან ურთიერთობის შესაძლებლობა.

- დისტანციური სწავლის დროს მოტივაციის დაკარგვის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ ბავშვები თავს გარიყულად გრძნობენ. მათ მოსწონთ გუნდის ნაწილად ყოფნა და სხვა ბავშვებთან ერთად მუშაობა. ასე რომ, ეძებეთ გზები იზოლაციის დასაძლევად.

დაუკავშირდით შვილის თანაკლასელებს და დაუგეგმეთ დრო Zoom-ში შესახვედრად და ერთად სამეცადინოდ. შეგიძლიათ შესთავაზოთ ისეთ საკითხებზე მუშაობაც, რომლებიც მასწავლებელს არ დაუვალებია, მაგრამ განამტკიცებს კავშირს ბავშვებს შორის. მაგალითად, რომელიმე წიგნის განხილვა. ბავშვები მეტი ენთუზიაზმით მოეკიდებიან ამ წიგნს და, საერთოდ, კითხვას.

- შეუთანხმდით ნაცნობ ოჯახებს და შეკრიბეთ რამდენიმე ბავშვი, რომ დასხდნენ და ერთად იმუშაონ (პირბადეებით და დისტანციის დაცვით, ან სულაც ღია ცის ქვეშ). მოუმზადეთ რამე სასუსნავიც, რომ, როცა მოშივდებათ, პირი ჩაიგემრიელონ.

- გამართეთ Zoom-ში სათამაშო შეხვედრები. ერთად თამაში ბავშვებს აახლოებს და მომავალში ისინი მეტი სიამოვნებით მეცადინეობენ ერთად.

### 2. შეუდგინეთ დღის განრიგი

- როცა განრიგი არ არსებობს, ყოველი წუთი იქცევა ბრძოლად იმისთვის, რა გააკეთოს ბავშვმა ამის შემდეგ. განრიგი აღმოფხვრის ქაოსს და ბადებს რწმენას, რომ ცხოვრება საჭიროებისამებრ მიედინება. ამასთან, განრიგი ავითარებს თავის ტვინის პრეფრონტალურ ქერქს, რადგან ბავშვმა იცის, რას უნდა ელოდეს. დაბოლოს, ბავშვი, რომელმაც იცის, რომ მალე გართობის დრო მოვა, უინტერესო დავალებებს უფრო ადვილად ართმევს თავს.

- მკაფიოდ მონიშნეთ ყოველდღიური საქმიანობის დასაწყისი. აიძულეთ ბავშვი, ისე მოემზადოს, თითქოს სკოლაში მიდის, ნაცვლად ლოგინში ღამის პერანგით კოტრიალისა. დააყენეთ

> დისტანციური სწავლის დროს მოტივაციის დაკარგვის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ ბავშვები თავს გარიყულად გრძნობენ. მათ მოსწონთ გუნდის ნაწილად ყოფნა და სხვა ბავშვებთან ერთად მუშაობა. ასე რომ, ეძებეთ გზები იზოლაციის დასაძლევად.

> დამოუკიდებლად მუშაობის ჩვევა ნელ-ნელა ყალიბდება. თავდაპირველად მეტად ხართ ჩართული პროცესში, მერე და მერე კი თქვენი შვილი უფრო და უფრო მეტ პასუხისმგებლობას იღებს და თქვენი ჩართულობაც მცირდება. თქვენი ძალისხმევა ამაოდ არ ჩაივლის – თქვენი შვილი გაიზრდება ორგანიზებულ და პასუხისმგებლობიან პიროვნებად, რომელიც ჯერ სწავლაში, მერე კი ცხოვრებაში აუცილებლად მიაღწევს წარმატებას.

მაღვიძარა და როდესაც რეკვას შეწყვეტს, უთხარით ბავშვს, რომ ზარი დაირეკა და სწავლის დროა.

- თუ გსურთ, ბავშვი განრიგს მიჰყვეს, დაიხმარეთ მის შედგენაში. ბავშვებს სჭირდებათ განრიგი, რომელიც ადვილი გასაგები იქნება მათთვის, სასურველია, ფოტოებით, ნახატებით, ფერადი ფანქრებით ან მარკერებით გაფორმებული.
- მიეცით 30 წუთში ერთხელ შესვენების საშუალება, თუმცა ამ ნახევარსაათიან პერიოდებშიც შეიძლება მოუწყოთ რამდენიმე ხანმოკლე შესვენება და ნება მისცეთ, ადგეს და ადგილზე იხტუნოს, წყალი დალიოს. შეგიძლიათ, სიმღერა ჩაურთოთ და აცეკვოთ.
- თავისუფალი დრო დაუთმეთ ეზოში თამაშს, საბავშვო წვეულებებს, ხელოვნებას, ხელსაქმეს, ცხობას, სახალისო სამეცნიერო ექსპერიმენტებს, „გამოგონებებს“, შენებას, სენსორულ თამაშს, თავისუფალ თამაშს, კითხვას. ამ ყველაფერს – დღეში არანაკლებ სამი საათისა. ეს ის საწვავია, რომელიც ბავშვს სტრესთან გამკლავებაში დაეხმარება.
- ბავშვთან კავშირი თქვენი საიდუმლო იარაღია, ასე რომ, ისიც ჩართეთ ყოველდღიურ რუტინაში: ერთად თამაში, კითხვა, თუნდაც უბრალოდ ჩახუტება.

### 3. ხელი შეუწყვეთ, რომ სასკოლო მინიმუმი მაინც შეასრულოს.

- ნუ გექნებათ იმის მოლოდინი, რომ თქვენი შვილი დილის 9-დან საღამოს 6 საათამდე იმეცადინებს. ბავშვებს ღლის ონლაინ რეჟიმში სწავლა. ნუ მისცემთ შუა გაკვეთილზე ქსელიდან გამოსვლის ნებას, მაგრამ ასწავლეთ ხმისა და გამოსახულების გათიშვა, რომ დროდადრო შეისვენოს.
- შეაფასეთ, რა შეუძლია თქვენს შვილს და რას ითხოვს სკოლა მისგან, რათა ოქროს შუალედი იპოვოთ.

4. **შეიმუშავეთ ანგარიშვალდებულებათა სისტემა, რომელიც საშუალებას მისცემს თქვენს შვილს, შეძლებისდაგვარად მართოს საკუთარი თავი.**

- ყველა ბავშვს აქვს დამოუკიდებლობის მოთხოვნილება. ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებისას მოტივაციაც უფრო მაღალია და ბავშვიც ნაკლებად „იბრძვის ძალაუფლებისთვის“.

  შეგიძლიათ, დავალებები დაფაზე ჩამოწეროთ ან აღრიცხვის ბარათები გამოიყენოთ. შეთანხმდით, რომ, მაგალითად, ბავშვი ყოველდღე შეასრულებს ექვს დავალებას და თითოეულის შესრულების შემდეგ მოგიტანთ შესაბამის ბარათს, რომ მასზე მითითებული დავალება შესრულებულად მონიშნოთ.

- მიეცით ნება, თავად აირჩიოს, როდის რას გააკეთებს – ჯერ რთულ დავალებას შეასრულებს თუ ადვილით დაიწყებს და რთულს ბოლოსთვის მოიტოვებს.

- თუ ხედავთ, რომ ბავშვი მუშაობის დაწყებას არ ჩქარობს, ჰკითხეთ, რამდენი წუთის განმავლობაში შეძლებს პირველ დავალებაზე მუშაობას შესვენებამდე და რის გაკეთებას ისურვებს შესვენებისას. დააყენეთ წამზომი სწორედ ამდენ წუთზე და შემდეგ ოთხიხუთი წუთით შეასვენეთ. ამ დროს გააკეთეთ რაიმე აქტიური ან სენსორული (გაბერეთ ბუშტები, იჭიდავეთ და სხვ.).

5. **მოუწყვეთ სამუშაო კუთხე ისე, რომ სწავლისთვის განეწყოს.**

- საწოლის დანახვა ძილს გვგვრის, თეფშების დანახვა კი გვამცნობს, რომ ჭამის დროა. ასევეა საჭირო სამუშაო სივრცეც, რომელიც ბავშვს სამეცადინოდ განაწყობს.

  ზოგ ბავშვს შეუძლია მარტო მეცადინეობა, მაგრამ უმრავლესობა უფრო მშვიდად გრძნობს თავს, როცა მშობელი სიახლოვეს ტრიალებს და უფრო იოლად ახერხებს დავალებაზე კონცენტრირებას.

  ყურადღება მიაქციეთ ერგონომიკას. მაგალითად, ეკრანი ისე მოათავსეთ, რომ ბავშვი პირდაპირ უყურებდეს, კლავიატურა და მაუსი – ისე, რომ იდაყვები 90°-იანი კუთხით იყოს მოხრილი. თუ ბავშვს მაგიდასთან დგომა და ისე მუშაობა ურჩევნია, ნუ აუკრძალავთ, მაგრამ თუ მოძრაობისას ყურადღება ეფანტება, ჯობია, იჯდეს.

- განუვითარეთ სასკოლო ნივთების, წიგნების, რვეულების თავ-თავის ადგილას შენახვის ჩვევა.

- შეგიძლიათ, მეამბოხე ბავშვებს რთული დავალებების შესრულება სახალისო ადგილას – პარკში ან, მაგალითად, ოთახში მოწყობილ კარავში შესთავაზოთ.

6. **თვალ-ყური ადევნეთ.**

- ბავშვისთვის მთელი დღე თვალ-ყურის დევნება ძნელია, მით უმეტეს, მაშინ, როდესაც სხვა საქმეც მრავლად გაქვთ, მაგრამ ონლაინ სწავლისას ბავშვებს აუცილებლად სჭირდებათ მეთვალყურეობა.

  დამოუკიდებლად მუშაობის ჩვევა ნელ-ნელა ყალიბდება. თავდაპირველად მეტად ხართ ჩართული პროცესში, მერე და მერე კი თქვენი შვილი უფრო და უფრო მეტ პასუხისმგებლობას იღებს და თქვენი ჩართულობაც მცირდება. თქვენი ძალისხმევა ამაოდ არ ჩაივლის – თქვენი შვილი გაიზრდება ორგანიზებულ და პასუხისმგებლობიან პიროვნებად, რომელიც ჯერ სწავლაში, მერე კი ცხოვრებაში აუცილებლად მიაღწევს წარმატებას.


**წყარო:**

https://www.psychologytoday.com/intl/blog/peaceful-parents-happy-kids/202009/remote-learning-6-tips-engage-and-motivate-your-child

ირმა კახურაშვილი

# სასკოლო გაკვეთილების მრავალფეროვნება დისტანციურად და არა მხოლოდ

> ვფიქრობ, ერთ-ერთი მთავარი გაკვეთილი, რომელიც პანდემიისგან უნდა მივიღოთ, ის არის, რომ მასწავლებლები ძალიან მნიშვნელოვანი ადამიანები არიან და მათ უნდა მოვუფრთხილდეთ".

ახალგაზრდა ჩიკაგოელი მასწავლებელი პოლ ემერიკ ფრანსი, სილიკონის ველის ტექნიკური სტარტაპის ყოფილი თანამშრომელი და გამოცემა „Reclaiming Personalized Learning"-ის ავტორი, ჰყვება, თუ როგორ შეიძლება სასკოლო გაკვეთილების გამრავალფეროვნება დისტანციურად და არა მხოლოდ დისტანციურად.

პოლ ემერიკ ფრანსმა მასწავლებლობა მოულოდნელად გადაწყვიტა – ის სამუსიკო ფაკულტეტზე სწავლობდა, მაგრამ ერთხელაც საზაფხულო ბანაკში უმცროსკლასელებთან ერთად მოუწია ყოფნა. იქ მიხვდა, რომ პედაგოგიკა მისი საქმე იყო. გარისკა და სხვა ფაკულტეტზე გადავიდა. ამბობს, რომ ბავშვების სწავლაზე დაკვირვება საინტერესო პროცესია, განსაკუთრებით – 8-10 წლის ასაკში, როცა მოსწავლეები იწყებენ აბსტრაქტულად აზროვნებას, სიღრმისეულად მსჯელობას და ფიქრს იმაზე, თუ რა ხდება მსოფლიოში.

ჩიკაგოელი მასწავლებლის პირველი რჩევაა, პედაგოგმა საკლასო ოთახში შესვლისთანავე დაივიწყოს, რომ ერთადერთია, ვინც ყველაფერი იცის. ყველაფრის მცოდნე მასწავლებლები არ არსებობენ. მასწავლებლის მთავარი ფუნქცია მოსწავლეებისთვის მიმართულების მიცემა და სწავლაში დახმარებაა.

პოლი ამბობს, რომ მას სრულყოფილად არ ესმის მათემატიკა და ლიტერატურა, მაგრამ ინფორმაციის მოძიების კარგი უნარი აქვს. იცის, როგორ უნდა დასვას სწორი შეკითხვა და როგორ ასწავლოს ბავშვებს ერთმანეთთან ურთიერთობა. მიაჩნია, რომ ამ უნარების განვითარება თანამედროვე მასწავლებლისთვის აუცილებელია, თუკი მას ნამდვილად სურს მოსწავლეთა აღზრდა-განათლებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა.

ფრანსს მიაჩნია, რომ 2020 წლის პანდემიამ ბევრ მასწავლებელს მისცა გამოცდილება და აჩვენა, რამდენად საჭიროა კომუნიკაციის უნარი. როდესაც ფრანსი თავის მოსწავლეებთან ონლაინსწავლებაზე გადავიდა, ცდილობდა, ისე დაეგეგმა გაკვეთილები, რომ მოსწავლეებს მაქსიმალურად შესძლებოდათ ერთმანეთთან ურთიერთობა. მან შემოიღო „საოფისე დრო" – დრო, როდესაც მოსწავლეებს მასწავლებელთან შეხვედრა და დაგროვილი კითხვების დასმა შეეძლოთ, ან შეეძლოთ ეთხოვათ მისთვის, დახმარებოდა რომელიმე დავალების შესრულებაში, ან ერჩია, რა წაეკითხათ თავისუფალ დროს.

პოლ ემერიკ ფრანსი ამბობს: „მეტისმეტად დიდ მნიშვნელობასაც ნუ მიანიჭებთ ტექნოლოგიებისა და ონლაინინსტრუმენტების როლს სწავლებაში. მე მომიწია მუშაობა სილიკონის ველის სტარტაპკომპანიაში, სადაც ვამუშავებდი ინსტრუმენტებს პერსონალიზებული განათლების იდეის განსახორციელებლად. ვფიქრობდით, რომ პროცესში ბავშვების ჩართულობის საუკეთესო გზა იყო სასწავლო პროგრამების, ინდივიდუალური პროგრამების პერსონალიზაცია თითოეული

მოსწავლისათვის. „ფლეილისტების“ – ინდივიდუალური საკლასო აქტივობების ჩამონათვალის – დიდი იმედი მქონდა, მაგრამ როდესაც ჩვენი საუკეთესო პრაქტიკის საკლასო ოთახში დანერგვა დავიწყე, მივხვდი, რომ შევცდით. სწავლის პერსონალიზება ძალიან კარგი იდეაა და ახლა მისი დანერგვის მრავალი ტექნოლოგიური საშუალება არსებობს, მაგრამ სწავლა, პირველ რიგში, ბავშვებთან ურთიერთობასა და მასწავლებელთან არის დაკავშირებული, იმ წმინდა ალგორითმულ სქემაში კი ცოცხალი ურთიერთობის დიდი დანაკლისია.

გარკვეული ხნის შემდეგ თანდათან დამავიწყდა ჩემი მოსწავლეების სახეები და მივხვდი, რამდენად მყიფე იყო ეს მოდელი.

კვირაში 60-70 საათს ვმუშაობდი თითოეული ბავშვის სასწავლო გეგმის პერსონალიზებაზე, მერე კი გულწრფელად ვკითხე საკუთარ თავს: „მუშაობს ეს?“ პასუხი იყო: – „არა“. როდესაც რომელიმე ბავშვს ჩემი დახმარება სჭირდებოდა, ყურადღებას ვაკლებდი – ვიღაცას უკვე შეესრულებინა დავალება და მოწყენილი იჯდა, ვიღაც კი პირველ ეტაპზე იყო გაჩერებული.

> იდეალურ შემთხვევაში, კლასის სასწავლო გეგმა საშუალებას უნდა გაძლევდეს, ყველა მოსწავლე კომფორტულად გრძნობდეს თავს და მაქსიმალურად იყოს ჩართული საერთო სასწავლო პროცესში.

იდეალურ შემთხვევაში, კლასის სასწავლო გეგმა საშუალებას უნდა გაძლევდეს, ყველა მოსწავლე კომფორტულად გრძნობდეს თავს და მაქსიმალურად იყოს ჩართული საერთო სასწავლო პროცესში. თუმცა, როდესაც ჩვენ უბრალოდ ვანაწილებთ პერსონალურ დავალებებს, მოსწავლეებს არ უჩნდებათ ჩართულობის განცდა, პირიქით.

იმის გასაგებად, მუშაობს თუ არა მათ მიერ შერჩეული საგანმანათლებლო ტექნოლოგია, მასწავლებლებს ვურჩევ, უპასუხონ კითხვებს: ამარტივებს თუ არა ეს ტექნოლოგია სასწავლო პროცესს? ზრდის თუ არა თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ პოტენციალს? იძლევა თუ არა იმის საშუალებას, რომ ნაცნობ თემას ახალი კუთხით შეხედონ? გულისხმობს თუ არა ბავშვების კომუნიკაციას ერთმანეთთან და მასწავლებელთან?

და კიდევ, მთავარია არა შეფასება, არამედ ადამიანი. საზოგადოდ, ჰუმანიზაცია – ეს არის ადამიანის სწრაფვა უფრო მეტი ადამიანურობისკენ ზრდისა და განვითარების პროცესში. იგივეა განათლებაში: ბავშვები რომ იზრდებიან, უფრო მეტ დროს ხარჯავენ სწავლაზე, უფრო ყურადღებით ექცევიან საკუთარ თავს, გარშემო მყოფებს და სამყაროს, რომელშიც ცხოვრობენ.

განათლების ჰუმანიზებით ჩვენ უბრალოდ ამოვატივტივებთ ზედაპირზე ამ მარტივ მოსაზრებას.

ერთი კითხვა, რომელიც, ვგონებ, ყველა მასწავლებელმა უნდა დაუსვას საკუთარ თავს, ასეთია: ის, რასაც ამ წამს ვაკეთებ გაკვეთილზე, ეხმარება თუ არა ჩემს მოსწავლეს, გახდეს უფრო ადამიანური, კეთილი, პასუხისმგებლობიანი, სხვის მიმართ ყურადღებიანი?

მოკრძალებით ვურჩევ მასწავლებლებს, ეცადონ, გაკვეთილის თითოეული თემა მოსწავლეებთან განსახილველ საკითხად აქციონ და დისკუსია გამართონ. ეს მათ დაეხმარება კრიტიკულ აზროვნებაში, იმის გააზრებაში, რაზეა საერთოდ საუბარი და რატომ არის ეს მნიშვნელოვანი. მასწავლებელიც ბევრად უკეთეს შედეგს მიიღებს, ვიდრე სქემით „ახსნა-დავალებების მიცემა – შეფასება“. სასწავლო პროცესის არსი საუბარია – უფრო ხშირად ესაუბრეთ ბავშვებს.

2020 წლის აგვისტოში სკოლიდან წამოვედი. მიუხედავად პანდემიისა, აშშ-ში ბევრ პედაგოგს აიძულებდნენ, სკოლაში ევლო. ცხარედ კამათობდნენ, გახსნილიყო თუ არა სკოლები ახალ სასწავლო წელს. სამწუხაროდ, ჩვენი აზრი ხშირად ნაკლებად აინტერესებთ. მიმაჩნია, რომ მასწავლებელი არ უნდა იყოს ბავშვისთვის საფრთხე, რადგან ჯერ კიდევ არ გვაქვს ვაქცინა, არ ვიცით, როდის გამოჩნდება ის, მილიონობით ადამიანი კვლავ ავადდება და მათი დაღუპვის სიხშირე იზრდება. მიუხედავად ამისა, ბევრ მასწავლებელს აიძულებდნენ საკლასო ოთახებში დაბრუნებას. მე დროებით დავტოვე სკოლა. მასწავლებელსაც უნდა ჰქონდეს არჩევნის საშუალება. არ ვიცი, როგორ არის საქმე სხვა ქვეყანაში, მაგრამ აქ მასწავლებლები სუპერგმირებივით უნდა იყვნენ და თავიანთი ჯანმრთელობა, ოჯახი, სიცოცხლე შესწირონ სკოლას. ესეც სადავოა. მასწავლებლის პროფესია უდავოდ ძალიან კარგია, მაგრამ ყველაა კი მზად იმისთვის, რომ თავი გაწიროს? ვფიქრობ, ერთ-ერთი მთავარი გაკვეთილი, რომელიც პანდემიისგან უნდა მივიღოთ, ის არის, რომ მასწავლებლები ძალიან მნიშვნელოვანი ადამიანები არიან და მათ უნდა მოვუფრთხილდეთ“.

ქეთევან კობაღაძე

# „მშობლებო, ნუ დააპროგრამებთ შვილებს!“

„მშობლებისა და შვილების ურთიერთობაში უმნიშვნელო არაფერია: რასაც პატარებს ეუბნებით, რასაც არ ეუბნებით, ისიც, რასაც ცნობიერად აკეთებთ და ისიც, რასაც ქვეცნობიერის კარნახით – ყველაფერი გავლენას ახდენს ბავშვებზე“, – ასე იწყებენ წიგნს იტალიელი ავტორები რობერტა კავალო და ანტონიო პანარეზე. მშობლებისა და შვილების ურთიერთობა უწყვეტია. ერთხელ დაწყებული ეს ურთიერთობა არასოდეს წყდება და ის ხან სიხარულს ანიჭებს ადამიანებს, ხან ტანჯვას ჰგვრის.

რობერტა კავალო პედაგოგი, ფსიქოლოგი და აღზრდის შესახებ რამდენიმე წიგნის ავტორი და თანაავტორია. იტალიაში მისი ყველა წიგნი გამოსვლისთანავე ბესტსელერად იქცა. როგორც თავად ამბობს, მან საკუთარ თავზე იწვნია მშობლების სტერეოტიპებით გამოწვეული წნეხი და მიაჩნია, რომ თუ ადამიანს სურს, ცხოვრებაში მიზანს მიაღწიოს, მან საკუთარ ოცნებებზე უარი არ უნდა თქვას. რობერტა კავალოს საკუთარი ცენტრი „Bimbiveri“ აქვს. ის მშობლებსა და აღმზრდელებს ასწავლის, რამდენად მნიშვნელოვანია, საშუალება მისცე ბავშვს, იცხოვროს საკუთარ მისწრაფებებსა და სურვილებთან ჰარმონიაში. ის ასევე ეხმარება ბავშვებს პოტენციალის აღდგენაში, გარშემო მყოფებთან გაფუჭებული ურთიერთობების აღდგენასა და განმტკიცებაში. თავად პედაგოგი და ფსიქოლოგი ამბობს, რომ ეხმარება მშობლებს ბავშვების ქცევის „საიდუმლო გზავნილებისა“ და „მინიშნებების“ ინტერპრეტაციაში, რათა მათ წარმატებით შეძლონ შვილების განათლებისა და ქცევის მართვის პრობლემების გადაჭრა.

მაშ ასე, ჩვენ დანამდვილებით ვიცით, – ამბობენ ავტორები, – რომ არ არსებობენ მშობლები, რომლებსაც არ ეკითხოთ საკუთარი თავისთვის: „კარგი დედა ვარ?“, „კარგი მამა ვარ?“, „ბედნიერია თუ არა ჩემი შვილი?“. ნებისმიერ მშობელს უამრავი კითხვა უჩნდება: „ნეტავი ყველაფერს სწორად ვაკეთებ თუ არა?“, „რატომ არის ჩემი შვილი აგრესიული?“, „რატომ არის ასეთი მორცხვი?“, „რატომ არასდროს ესმის ჩემი?“, „გამუდმებით აქეთ-იქით ისვრის თავის ნივთებს, რას უნდა ნიშნავდეს ასეთი ქცევა?“, „რატომ არის, რომ სულ რაღაცას ითხოვს და არ აინტერესებს, საიდან მოდის ფული? რატომ არავის უწევს ანგარიშს?“

თქვენი შვილები უფრო დიდები არიან, ძვირფასო მკითხველო? და ახლა სხვა კითხვები გაწუხებთ? – „რა სჭირს ასეთი, რომ ვერაფრით შოულობს სამსახურს?“, „რატომ ვერ ახერხებს პარტნიორის პოვნას?“, „მგონი, ჩემი შვილი სულაც არ არის ბედნიერი. რატომ მოხდა ასე?“ მოდი, დავფიქრდეთ, იქნებ ჩვენივე აღზრდის პროცესში ჩამოყალიბებული ჩვევები და სტერეოტიპები, რომლებიც თავის დროზე მშობლებმა ჩაგვინერგეს, გვიშლის ახლა ხელს, რომ ჩვენი შვილებისთვის საუკეთესო მშობლები გავხდეთ.

წიგნი, რომლის ამონარიდებსაც მკითხველი გაეცნობა, ეძღვნება ისეთ მშობლებს, რომლებიც მთელი ძალით ცდილობენ, საუკეთესო მშობლები იყვნენ, მაგრამ მათი შვილი არავის უჯერებს, მუდმივად უხეშობს, ან ისეთი მორცხვია, რომ ძალიან უჭირს თვითგამოხატვა; თინეიჯერი, რომელიც მუდმივად ნერვიულობს, შფოთავს, ყველაფრით უკმაყოფილოა და ისეთი მეამბოხე გახდა, რომ „საკუთარი თავიც კი დაკარგა“, რაც შესაძლოა ზრდასრულ ასაკშიც გაჰყვეს და შემდგომშიც ველარ იპოვოს საკუთრი თავი“. ამ წიგნისა და მისი ავტორების მიზანია, დააფიქროს მშობლები, იქნებ თავად უწევენ პროვოცირებას იმ პრობლემებს, რომლებიც სხვადასხვა სირთულის სახით თავს ატყდებათ მათ შვილებს.

ძვირფასო მშობლებო, იყავით საყრდენი შვილებისთვის. ნუ ცდილობთ მათ გადაკეთებას, შეცვლას. უბრალოდ, გიყვარდეთ ისინი და იყავით ბედნიერი მათთან ერთად. კიდევ ერთხელ: ნუ დააპროგრამებთ შვილებს, რადგან შემდგომში ამ „პროგრამებისგან“ გათავისუფლება ძალიან ძნელია.

მოდი, ახლა ერთი ფართოდ გავრცელებული აღმზრდელობითი შეცდომის შესახებ ვისაუბროთ, – გვთავაზობენ რობერტა კავალო და ანტონიო პანარეზე, – „შენ ყოჩაღი, დამჯერი უნდა იყო“. ანუ მშობელი შვილს ეუბნება, რას მოელის მისგან და ბავშვიც იწყებს „ყოჩაღობას“, ცდილობს, მოერგოს გარე სამყაროს, მშობლების სურვილებს, მათ წარმოდგენებს მისი მომავალი ცხოვრების შესახებ. ამ ყველაფრის საფასური არცთუ მცირეა. ბავშვი თანდათან კარგავს გრძნობებს, სურვილებს, ხასიათის თავისებურებებს, სიცოცხლით ტკბობის უნარს და საკუთარ პიროვნებას. ბავშვები არ უნდა იყვნენ „ყოჩაღები და დამჯერები“. ისინი უნდა იყვნენ

ისეთები, როგორებიც არიან სინამდვილეში.

> წიგნი, რომლის ამონარიდებსაც მკითხველი გაეცნობა, ეძღვნება ისეთ მშობლებს, რომლებიც მთელი ძალით ცდილობენ, საუკეთესო მშობლები იყვნენ, მაგრამ მათი შვილი არავის უჯერებს, მუდმივად უხეშობს, ან ისეთი მორცხვია, რომ ძალიან უჭირს თვითგამოხატვა.

რატომ არის, რომ ბავშვები ადვილად ადაპტირდებიან უფროსების სურვილების მიხედვით საკუთარი განცდების საზიანოდ? იმიტომ, რომ პატარებს ნამდვილად სჭირდებათ კარგად მოქცევა მშობლების სიყვარულის მოსაპოვებლად, სჭირდებათ დაცულობა და სასიცოცხლო საჭიროებების დაკმაყოფილება.

ახლა კი ანტონიო პანარეზეს სევდიანი ისტორია იმ მშობლებისთვის, რომლებიც ამ სტატიას კითხულობენ: „საბოლოოდ, მე ვერაფრით გავხდი ყოჩაღი და დამჯერი ბიჭი. სიმართლე გითხრათ, ეს იმიტომ მოხდა, რომ ვერ მოვახერხე, ჩემი მშობლების სურვილებს მოვრგებოდი. რაღაც უხილავმა ძალამ მაიძულა, ამბოხება მომეწყო და გამეპროტესტებინა „ყოჩაღი ბიჭის“ როლი. გაინტერესებთ, რას ნიშნავდა „ყოჩაღი ბიჭობა“? დავიწყოთ:

> ძვირფასო მშობლებო, იყავით საყრდენი შვილებისთვის. ნუ ცდილობთ მათ გადაკეთებას, შეცვლას. უბრალოდ, გიყვარდეთ ისინი და იყავით ბედნიერი მათთან ერთად. კიდევ ერთხელ: ნუ დააპროგრამებთ შვილებს, რადგან შემდგომში ამ „პროგრამებისგან“ გათავისუფლება ძალიან ძნელია.

უწინარეს ყოვლისა, უნდა იყო ზრდილობიანი, გახსოვდეს, რომ მადლობის გადახდა აუცილებელია; არ გააბრაზო ბებო, ბაბუ; იყო ფაქიზი და მოწესრიგებული, ანუ არ ყრიდე საკუთარ ნივთებს აქეთ-იქით... შემდეგ, უნდა დაასრულო სკოლა საუკეთესო ნიშნებით და ყოფაქცევაც სანიმუშო გქონდეს. მოთხოვნები ასაკის მატებასთან ერთად იზრდება. უნდა შეიძინო ისეთი პროფესია, რომელიც მაღალანაზღაურებადი სამსახურის პოვნაში დაგეხმარება; შექმნა საუკეთესო ოჯახი და აღზარდო შვილები.

იყო „ყოჩაღი“, ჩემი მშობლების გაგებით, ნიშნავდა: იყო ისეთი, როგორიც არის შენ გარშემო უმრავლესობა, ანუ იყო ჩვეულებრივი, ნორმალური ბავშვი. გამოგიტყდებით, მრავალი წლის განმავლობაში თავს ცუდად ვგრძნობდი იმის გამო, რომ ჩემი ოცნებები და სურვილები რადიკალურად განსხვავდებოდა ჩემი თანატოლების სურვილებისგან. თოთხმეტი წლისამ გადავწყვიტე, რომ „ყოჩაღი“ არ ვიქნებოდი და თვრამეტი წლისა სახლიდან წავიდოდი. მშობლებმა თავდაპირველად თავი იმით დაიმშვიდეს, რომ ეს „გარდატეხის ასაკის“ ბრალი იყო, რომ წამოვიზრდებოდი და ოჯახიდან წასვლას გადავიფიქრებდი. აქვე გეტყვით, რომ „ცუდი ბიჭი“ არ გამოვედი. მე მხოლოდ საკუთარი ჭეშმარიტი „მეს“ საპოვნელად მინდოდა წასვლა, რადგან ზუსტად ვიცოდი, რომ იქ, სადაც ვცხოვრობდი, მისი პოვნა შეუძლებელი იყო. მოკლედ, როგორც მიხვდით, ყველაფერი კარგად დასრულდა“.

რობერტა კავალოსაც აქვს საკუთარი „ყოჩაღი გოგოს“ ისტორია. აი, რას ჰყვება ის: „მე ყოველთვის სამაგალითო ბავშვი ვიყავი. წარჩინებული მოსწავლე, კარგად აღზრდილი, ზრდილობიანი, მუდამ მოღიმარი, კეთილგანწყობილი და ფაქიზად ჩაცმული. მშობლებს პრობლემებს არ ვუქმნიდი. ისინი კი გამუდმებით მიჩიჩინებდნენ: „უნდა იყო ყოჩაღი და დამჯერი“. ვაღიარებ, ხშირად მიფიქრია, როგორი ადამიანი ვიქნებოდი, ჩემს მშობლებს ასე განუწყვეტლივ რომ არ ემეორებინათ საკუთარი შეგონებები. სიმართლე გითხრათ, არ მესმოდა, რატომ უნდა ვყოფილიყავი მაინცდამაინც „ყოჩაღი, დამჯერი, თვინიერი“ და არა ისეთი, როგორიც თავად მიმაჩნდა სწორად. დარწმუნებული ვარ, ნამდვილად არ გავხდებოდი უზრდელი მონსტრი! გამუდმებით მაწუხებს იმაზე ფიქრი, რატომ მაიძულებდნენ სანიმუშო ბავშვის ნიღბის ტარებას. ნუთუ მთავარი ის იყო, რომ თავად მშობლებს სურდათ, კომფორტულად ეგრძნოთ თავი იმ შეგრძნების ხარჯზე, რომ ბავშვი, რომელიც მათ ოჯახში აღიზარდა, იდეალურია? სამწუხაროდ, მიუხედავად იმისა, რომ გარშემო მყოფების თვალში „საოცნებო“ ბავშვი ვიყავი, მე მეშინოდა სიბნელის, ისე ძლიერად, რომ დაძინება მიჭირდა და, თქვენ წარმოიდგინეთ, თოთხმეტ წლამდე ვიტანჯებოდი ღამის ენურეზით. ხშირად მქონდა მრისხანების შეტევები, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მე და დედა მარტო ვრჩებოდით. არცთუ იშვიათად ოჯახის წევრებს ვეუხეშებოდი. ჩემში თითქოს მეორე ადამიანი ცხოვრობდა და ეს მდგომარეობა დიდხანს გამყვა. სწორედ ამის გამო მაწვალებს კითხვა: მშობლების სიტყვები და ქცევები ჩვენზე ზრდასრულ ასაკშიც მოქმედებს? იდეალური ბავშვის ფიქრები: „მშობლებს რომ ვუთხრა, თავი დამანებეთ, აღარ მინდა „ყოჩაღობა“-მეთქი, რა მოხდება? ძალიან ინერვიულებენ? იმედი გაუცრუვდებათ?“ ასეთ შფოთვაში ატარებენ დღის დიდ ნაწილს „წესიერი, დამჯერი, თვინიერი“ ბავშვები. ისინი დანაშაულის განცდით იტანჯებიან, თუ შემთხვევით რამე „ისე არ გამოუვათ“, უნებურად შეცდომას დაუშვებენ. „ყოჩაღები“ ცდილობენ, ისე მოიქცნენ, რომ უფროსებს მოლოდინი გაუმართლონ. „თვინიერი, დამჯერი ყოჩაღები“ მთელ ძალ-ღონეს ახმარენ იდეალური ბავშვების როლის თამაშს, რაც მათ ძალას ართმევს და ბავშვობის პერიოდისთვის დამახასიათებელ სილაღეს, სიხარულსა და ბედნიერებას უკარგავს“.

ნასტასია არაბული

# კომუნიკაციის პრობლემები

ყველაფერი კარგად არის მანამდე, სანამ ჩემი შვილები მიყვებიან, რა ახარებთ და რა აბრაზებთ, რა მოსწონთ და რა – არა, რა ხდებოდა იქ, სადაც უჩემოდ იყვნენ და რაზე ფიქრობენ ხოლმე შუბლშეკრულები. ჯერ პატარები არიან და ვიცი, ყოველთვის ასე ვერ იქნება.

თუკი რამის მეშინია, ერთ-ერთი ისაა, არ გამომეპაროს მათი უხმო ძახილი. ისე არ მოხდეს, რომ ჩემი დახმარება სჭირდებოდეთ და ვერ მივხვდე, ზედმეტი კითხვები დავუსვა და მოსაწყენი გავხდე, მათი ნდობა დავკარგო, მხარდამჭერად აღარ ვეგულებოდე.

ალბათ ნდობა და გამართული კომუნიკაციაა ის, რამაც შეიძლება ბევრი საფრთხე აგვარიდოს თავიდან, სირთულეები უფრო მარტივად გადაგვალახვინოს, კიდევ უფრო გაგვზარდოს და ურთიერთობაც სასიამოვნო გახადოს – არა მხოლოდ ბავშვებსა და უფროსებს შორის, არამედ ყველანაირი.

როცა ჩვენს სკოლებსა და ოჯახებზე ვფიქრობ, მგონია, რომ კომუნიკაციის პრობლემები ზედაპირზე დევს და ბევრი სხვა გართულება, რაც მერე იჩენს ხოლმე თავს, ამის შედეგიცაა. უფროსებს უჭირთ, გამონახონ დრო და ნებისყოფა ბავშვების მოსასმენად, მათი თვალით შეხედონ მოვლენებს. უფრო მეტს სხვა უფროსებზე ფიქრობენ, ვიდრე პატარებზე და ასე იჭყლიტება ბავშვის საუკეთესო ინტერესები. ბავშვები კიდევ ჭკვიანები არიან: თუ მიხვდნენ, რომ შენთან ლაპარაკს აზრი არ აქვს, შვების მაგივრად პრობლემები მოგაქვს, აღარ დაგელაპარაკებიან. მერე ვდგავართ და გავიძახით, რომ ეს ჩვენ არ უნდა დაგვმართოდა, ამას არ ვიმსახურებდით, ეს როგორ გაგვიბედეს, ეს როგორ ვერ შევნიშნეთ, ამას როგორ წარმოვიდგენდით  და სულ არ ვფიქრობთ იმაზე, რომ ამ ყველაფერში ჩვენი წვლილიც არის – უფროსების, რომლებსაც ბავშვების მოსმენა არ გამოგვდის; სკოლების, რომლებიც მშობლების გულის მოგებაზე უფრო ფიქრობენ, ვიდრე ბავშვების მხარდაჭერაზე; გადაწყვეტილების მიმღებების, რომლებსაც საერთოდ არ ესმით ბავშვების, ისიც კი არ ახსოვთ, თვითონ როგორები იყვნენ ბავშვობაში.

ახლა ერთ-ერთი ყველაზე მძიმე პერიოდია, რაც ბავშვებსა და დიდებს, სკოლებსა და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებს ერთად გვაქვს გადასატანი. დაკეტილი სკოლები, გაღრმავებული უთანასწორობა, სწავლება ეკრანიდან, იზოლაცია, შიში და გაურკვევლობა. ეს დრო უნდა გამოვიყენოთ იმაზე სალაპარაკოდ, რა შეგვიძლია გავაკეთოთ ერთმანეთის დასახმარებლად; იმაზე მსჯელობისთვის, რა არ მოგვწონს სწავლების პროცესში და როგორ შევცვლიდით; იმის სათქმელად, რა არ ვიცით და არ გამოგვდის; იმის საღიარებლად, რისი გვეშინია; და იმისთვისაც, რომ მოქმედებასთან ერთად ფიქრისთვისაც მოვიტოვოთ დრო, უკეთ რომ გავერკვეთ იმაში, სად ვართ და რა გვინდა.

> ROცა ჩვენს სკოლებსა და ოჯახებზე ვფიქრობ, მგონია, რომ კომუნიკაციის პრობლემები ზედაპირზე დევს და ბევრი სხვა გართულება, რაც მერე იჩენს ხოლმე თავს, ამის შედეგიცაა. უფროსებს უჭირთ, გამონახონ დრო და ნებისყოფა ბავშვების მოსასმენად, მათი თვალით შეხედონ მოვლენებს.



> იმსჯელეთ ბავშვებთან ერთად დისტანციური სწავლების სიკეთეებსა და სირთულეებზე; ელაპარაკეთ იმაზე, რა უჭირთ ყველაზე მეტად, როგორ შეცვლიდნენ არსებულ პროცესს, რომ მათთვის უფრო მისაღები გამხდარიყო; მოუყევით იმ სირთულეებსა და გამოწვევებზე, რომლებიც თქვენ გქონდათ სწავლისა და სწავლების სხვადასხვა ეტაპზე.

ჩემი შვილი პირველ კლასში დისტანციური სწავლების რეჟიმში აღმოჩნდა. არავინ იცის, რას ფიქრობენ ეს ბავშვები სკოლაზე, რომელიც მათთვის ფიზიკურად არ არსებობს, ნაცნობობასა და მეგობრობაზე, რომელიც ეკრანის მიღმაა, როგორი იქნება მათი წარმოდგენები სწავლასა და ცოდნის მიღებაზე, მასწავლებლებსა და კლასელებზე. ჩვენ ამგვარი გამოცდილება არ გვაქვს, ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ პროცესი უდავოდ საინტერესოა და უნდა დავაკვირდეთ.

აი, რამდენიმე ხრიკი, რომლებიც კომუნიკაციის აგებასა და იმის გარკვევაში დაგვეხმარება, რას ფიქრობენ ერთმანეთზე ბავშვები, მშობლები, მასწავლებლები.

- ჰკითხეთ ბავშვებს, რა მოლოდინი ჰქონდათ სკოლისგან და რამდენად შეესაბამება მას რეალობა.
- სთხოვეთ, გაიხსენონ სკოლის ცხოვრებიდან ყველაზე ამაღელვებელი, სევდიანი, მხიარული და დამაფიქრებელი ორი ეპიზოდი.
- მოაწყვეთ დისკუსიები პატარა ჯგუფებში, სადაც ბავშვები იმსჯელებენ, როგორი იქნება მათთვის იდეალური სკოლა.
- იმსჯელეთ ბავშვებთან ერთად დისტანციური სწავლების სიკეთეებსა და სირთულეებზე; ელაპარაკეთ იმაზე, რა უჭირთ ყველაზე მეტად, როგორ შეცვლიდნენ არსებულ პროცესს, რომ მათთვის უფრო მისაღები გამხდარიყო; მოუყევით იმ სირთულეებსა და გამოწვევებზე, რომლებიც თქვენ გქონდათ სწავლისა და სწავლების სხვადასხვა ეტაპზე.
- ააწყვეთ პლატფორმა, სადაც მოსწავლეებს შეეძლებათ, ანონიმურად მოგწერონ თავიანთი სათქმელი. ყურადღებით მოეკიდეთ მათ წერილებს.
- ჰკითხეთ მოსწავლეებს, რისთვის გამოიყენებდნენ უფრო სიამოვნებით იმ დროს, რომელსაც გაკვეთილებისთვის იყენებენ და რომელიმე გაკვეთილის ჩატარების ნაცვლად შეეცადეთ, ერთად განახორციელოთ ყველაზე საინტერესო იდეები.
- იყავით სამართლიანი და გულწრფელი, ელაპარაკეთ ბავშვებს თქვენს შიშებზე, გამოწვევებსა და წარმატებებზე. წარმატებამდე მისასვლელ რთულ გზებზეც.
- ასწავლეთ ბავშვებს მოსმენა და მოსმენის მნიშვნელობა, საკუთარი აზრის მკაფიოდ ჩამოყალიბება, დისკუსიებში მონაწილეობის წესები და კულტურა.
- ჩართეთ პროცესში მშობლებიც. ვიცი, ადვილი არ არის და ხშირად მშობლებთან კომუნიკაცია ბავშვებთან კომუნიკაციაზე რთულია, მაგრამ მოკავშირე საჭიროა. საჭიროა საერთო პრინციპებზე შეთანხმებაც და შემდგარი დიალოგების პრეცედენტებიც.
- ითხოვეთ დახმარება, თუ ამის საჭიროებას ხვდებით და სხვებსაც უთხარით, რომ თუ დასჭირდათ, შეუძლიათ, თქვენი იმედი ჰქონდეთ.

წინ მძიმე ზამთარი გველოდება. როგორ ფორმატშიც არ უნდა წარიმართოს სწავლება, ადვილი არ იქნება. ამიტომ მნიშვნელოვანია, ერთად ვიფიქროთ, ვიმსჯელოთ და ვიმუშაოთ იმაზე, როგორ გავხადოთ ეს წელი ნაკლებად საზიანო და მეტად საინტერესო ბავშვებისთვისაც და უფროსებისთვისაც, რომლებსაც მათზე პასუხისმგებლობა გვაქვს აღებული.

ნესტან რატიანი

# ფრთხებიან ყვავები დამბაჩის ხმაზე?

„დავუსვი ამ ამბავს ბოლო წერტილი, დავუძახე ჩემს ქალიშვილს, რომლის თვალებზეც ვამოწმებ ხოლმე, როგორ მოქმედებს ჩემი დაწერილი ამბები სხვებზე, წავუკითხე მთელი მონდომებით, ყოველი სიტყვის მკაფიო გამოთქმით. მეგონა, თვალები გაბრწყინებული ექნებოდა აღტაცებით. მან კი შეეჭვებულმა მკითხა: – ვითომ დაფრთხებოდნენ დამბაჩის ხმაზე ყვავები, მამა? – ეგ იყო და ეგ“.

რევაზ ინანიშვილის მოთხრობის „ფრთხებიან ყვავები დამბაჩის ხმაზე?“ ანალიზისას მასწავლებლებს მისი არა მხოლოდ შინაარსი და იდეურ-თემატური მხარე, არამედ მხატვრული ასპექტებიც უნდა აინტერესებდეთ. ისეთ მხატვრულ-გამომსახველობით ხერხებთან ერთად, როგორებიცაა შედარება, მეტაფორა, სიმბოლო, აუცილებელია ტექსტის სტრუქტურის, პერსონაჟების და სხვა საშუალებების განხილვაც. ამ მოთხრობის დასასრული კი საშუალებას აძლევს მასწავლებელს, განუმარტოს და ასწავლოს მოსწავლეებს რამდენიმე მხატვრული ხერხი და ცნება. ესენია: პერსონაჟის ტიპები, მკითხველის ტიპები, ავტორი და მთხრობელი, მხატვრული და არამხატვრული ტექსტი, კომენტარი, მეტაფიქცია. განვიხილოთ, რას ნიშნავს თითოეული მათგანი და როგორ რეალიზდება ისინი რევაზ ინანიშვილის მოთხრობაში.

მესმის, რომ, მოსწავლეების ასაკიდან გამომდინარე, რთულია მათთან ყველა იმ საკითხის გავლა, რომლებზეც წერილში ვისაუბრებ, მაგრამ მასწავლებელი თავად უნდა გაერკვიოს კარგად შესასწავლ მოთხრობაში და მოძებნოს ის ფორმა, რომლითაც ზედმეტი სირთულეების გარეშე დააყენებს მოსწავლეებს სწორ გზაზე და ზემოთ ჩამოთვლილი ტერმინებიდან და ხერხებიდან შერჩევით მაინც შეასწავლის ზოგიერთს.

**პერსონაჟი.** პერსონაჟთა კლასიფიკაციის რამდენიმე გზა არსებობს. როდესაც გვაინტერესებს, იცვლება თუ არა პერსონაჟი მოქმედების განვითარებასთან ერთად, ვსაუბრობთ ცვალებად და სწორხაზოვან, სტატიკურ და დინამიკურ პერსონაჟებზე. როდესაც გვაინტერესებს კონფლიქტში მონაწილე მხარეები, ვსაუბრობთ პროტაგონისტსა და ანტაგონისტზე. მაგრამ პერსონაჟთა დაჯგუფებისას უმეტესად მაინც მარტივი პრინციპით ვხელმძღვანელობთ და მათ მთავარ და არამთავარ, ძირითად და მეორეხარისხოვან პერსონაჟებად ვყოფთ. თუმცა არსებობს სხვა კლასიფიკაციებიც და ლიტერატურათმცოდნეები იცნობენ პერსონაჟთა სხვა ტიპებსაც, მაგალითად, სიმბოლურ და არქეტიპულ პერსონაჟებს (არქეტიპული პერსონაჟების შესაქმნელად მხატვრული ლიტერატურა ზღაპრით საზრდოობს და თავის წიაღში შემოჰყავს გმირი-მებრძოლი, ურჩხული, ჯადოქარი, შემწე, მავნე, სულელი, ბრძენი და სხვ.).

ზემოთქმული იმას ნიშნავს, რომ ერთი და იგივე პერსონაჟი ერთსა და იმავე დროს შეიძლება იყოს მთავარი და დინამიკური, ან მთავარი და სწორხაზოვანი; სიმბოლური შესაძლოა მთავარი პერსონაჟიც იყოს და არამთავარიც, გააჩნია მწერლის სათქმელს და მკითხველის ინტერესს. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ პერსონაჟები ყოველთვის ადამიანები არ არიან, პერსონაჟის როლს მწერალი ზოგჯერ ცხოველს, ფრინველს, ბუნებრივ, მეტეოროლოგიურ მოვლენას, ნივთს, აბსტრაქტულ ცნებას აკისრებს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ არსებობენ დამხმარე პერსონაჟები და ისინი იმით

> პერსონაჟთა კლასიფიკაციის რამდენიმე გზა არსებობს. როდესაც გვაინტერესებს, იცვლება თუ არა პერსონაჟი მოქმედების განვითარებასთან ერთად, ვსაუბრობთ ცვალებად და სწორხაზოვან, სტატიკურ და დინამიკურ პერსონაჟებზე. როდესაც გვაინტერესებს კონფლიქტში მონაწილე მხარეები, ვსაუბრობთ პროტაგონისტსა და ანტაგონისტზე.

განსხვავდებიან არამთავარი პერსონაჟებისგან, რომ ავტორს ადრესატამდე სათქმელის უკეთ მიტანაში ეხმარებიან. თუ რევაზ ინანიშვილის მოთხრობის პერსონაჟთა კლასიფიკაციას მოვახდენთ, აღმოვაჩენთ, რომ გარდა კონფლიქტში მონაწილე და კონფლიქტის განვითარებისთვის საჭირო პერსონაჟებისა, მოთხრობას ისეთი პერსონაჟებიც ჰყავს, რომლებიც აბნევენ გულუბრყვილო მკითხველს.

ბოლო წინადადებიდან აზრის გამოსატანად საჭიროა, მკითხველთა ტიპებში გავერკვეთ.

**მკითხველი.** მკითხველი, იმის მიხედვით, წამოეგება თუ არა მწერლის ან მთხრობელის მიერ გადმოგდებულ ანკესს, გაებმება თუ არა ამ ორიდან თუნდაც ერთის მიერ დაგებულ ხაფანგში, ორი ტიპისაა – გულუბრყვილო და გამჭრიახი. მკითხველისთვის კითხვის პროცესი, ესთეტიკური სიამოვნების მიღებასთან ერთად, ინტელექტუალური ტკბობაცაა და ალბათ ყველაზე დიდი ჯილდოა, როცა მკითხველი აღმოაჩენს, როგორ ცდილობდა ავტორი ან მთხრობელი, თავგზა აებნია მისთვის, ესარგებლა მისი ნდობით, მიამიტობით, მაგრამ როგორ გამოიჩინა მან გამჭრიახობა და მწერლის/მთხრობელის ჩანაფიქრი ამოიცნო. მკითხველის გამჭრიახობა მხოლოდ მკითხველის ჯილდო კი არა, მწერლის გამარჯვებაცაა, რადგან მწერლის მიზანი არ არის მკითხველის დამარცხება – მკითხველის დამარცხება აზრს დაუკარგავდა ლიტერატურას.

**ავტორი და მთხრობელი.** ყველასთვის გასაგებია, რომ ლიტერატურულ ტექსტს ჰყავს კონკრეტული ავტორი. მაგრამ ავტორმა შეიძლება ისარგებლოს უფლებით და ნაწარმოებში შემოიყვანოს მთხრობელი, რომელიც სულაც არ იქნება თავად ის. მთხრობელი ხან მესამე პირში უყვება მკითხველს ამბავს, ხანაც პირველ პირში. საინტერესოა ისიც, რომ თხრობის ადრესატი ყოველთვის მკითხველი არ არის – ზოგჯერ ის პერსონაჟია. იმისდა მიხედვით, ვინ არის თხრობის ადრესატი, მთხრობელის მიზანიც განსხვავებული იქნება. როცა მთხრობელს პერსონაჟის შეცდომაში შეყვანა უნდა, მისი თხრობა არასანდოა. აი, აქ მართებს მკითხველს მთელი თავისი გამჭრიახობის მოკრება, რათა თხრობის ადრესატი საკუთარ თავთან არ გააიგივოს და პერსონაჟთან ერთად თავადაც არ შეცდეს. როცა მკითხველი ნაწარმოების ანალიზის პროცესში თავის ადგილს მიუჩენს ავტორს, მთხრობელს და პერსონაჟს, თითქმის წარმოუდგენელი იქნება, მის გამჭრიახობას საფრთხე შეექმნას. მკითხველი ყველაზე დიდი საფრთხის წინაშე მაშინ დგას, როცა მთხრობელის ხმა პირველ პირში ესმის. ამ დროს მკითხველს ავიწყდება, რომ მხატვრულ ტექსტთან აქვს საქმე და მხატვრული ტექსტი არამხატვრულისგან სწორედ იმით განსხვავდება, რომ გამოგონილ ამბავზეა. როგორც არ უნდა ამტკიცებდეს მთხრობელი ან ავტორი, რომ ტექსტში აღწერილი ამბავი სინამდვილეა, დაუფიქრებლად დაჯერება არ ღირს. ავტორი და მთხრობელი სანდონი ან არასანდონი არიან, მაგრამ მათი არასანდოობა სულაც არ აკნინებს მხატვრული ნაწარმოების ღირსებას, ალბათ პირიქითაც კი. მწერლის ღირსების ერთ-ერთი საზომი სწორედ ესაა – ისე დამაჯერებლად მოჰყვეს ამბავს, გამონაგონი სიმართლეს დაამსგავსოს. მაგრამ ვერც ვერავინ უსაყვედურებს, თუ ასე არ მოიქცა. აი, იმ მკითხველს კი, რომელიც მწერლის ფანტაზიას რეალურ ცხოვრებაში გადმოიტანს და გამონაგონსა და სინამდვილეს შორის საზღვარს ვერ დაინახავს, ნამდვილად ეკუთვნის საყვედური.

რეალურსა და მხატვრულს შორის ბუნდოვანი, ბაცი, არამკაფიო საზღვრის არსებობისას მკითხველის მიზანი ამ საზღვრის დადგენაა. ავტორის კეთილი ნებაა, დაეხმაროს მას ან არ ჩაერიოს მკითხველის ინტელექტუალური შესაძლებლობების გამოვლენაში. პირველ შემთხვევაში ის სხვადასხვა ფორმას მიმართავს, მაგალითად, კომენტარს ტოვებს ტექსტში, შეიჭრება მასში როგორც პერსონაჟი ან მთხრობელი, მოკლედ, არღვევს ტექსტის ტრადიციულ ფორმას. ამ მხატვრულ ხერხს მეტაფიქციას უწოდებენ.

სიტყვა **„მეტაფიქცია“** ორი ნაწილისგან შედგება. „ფიქცია“ (fiction) მხატვრულ ტექსტს აღნიშნავს, ხოლო „მეტა“ ბერძნული ზმნისწინია და ითარგმნება როგორც „მიღმა“, „იქით“.

## როგორ ამოვიცნოთ მეტაფიქცია?

მეტაფიქციაში ხშირად იგრძნობა მწერლის კრიტიკული დამოკიდებულება ტექსტის მიმართ, ანუ მეტაფიქცია ხშირად ირონიული კომენტარია. ლიტერატურათმცოდნეები გვირჩევენ, დავაკვირდეთ იმასაც, რამდენად ინტროსპექტულია, რამდენად თვითრეფლექსიურია ავტორი. დაბოლოს, რა უცნაურიც უნდა იყოს, მეტაფიქციაში ავტორის თვითკმაყოფილება უნდა იგრძნობოდეს. შორს წაგვიყვანს იმაზე საუბარი, რომ ჩამოთვლილი ნიშნებიდან ყველა ერთიმეორისგან გამომდინარეობს.

რა ხდება რევაზ ინანიშვილის მოთხრობაში „ფრთხებიან ყვავები დამბაჩის ხმაზე“? მოთხრობის დასასრულს ავტორი მიანიშნებს მკითხველს, რომ მან ერთმანეთში არ უნდა აურიოს ამბავი და მოთხრობა. ის ამბობს: „დავუსვი ამ ამბავს წერტილი“, – და აგრძელებს

თხრობას, ანუ მას მოთხრობა ჯერ არ დაუმთავრებია, მან მხოლოდ ერთი ამბის თხრობა დაასრულა და იწყებს... რა ვუწოდოთ იმას, რაც ამ წინადადების შემდეგ იწყება? მეორე ამბავი? ჩაშენებული ამბავი? დასრულებული ამბის კომენტარი? თუ პირობითი გამყოფი მოთხრობის პირველ და მეორე ნაწილებს შორის? ამის გარკვევაში მკითხველს პერსონაჟთა კლასიფიკაცია დაეხმარება.

მოთხრობის პირველი ნაწილი დასრულებული ამბავია და თუ მას ცალკე აღებულს წავიკითხავთ, დამოუკიდებელი მოთხრობაცაა. მას მხატვრული სამყარო აქვს, ჰყავს პერსონაჟები – პროტაგონისტი და ანტაგონისტი, აქვს სამოქმედო არეალი, დრო, რომელშიც ვითარდება მოქმედება, ისტორიული კონტექსტი. მაგრამ, როგორც ჩანს, მწერალს ეჭვი უჩნდება, რომ მკითხველი სათანადოდ ვერ აღიქვამს გზავნილს, მას არასაკმარისად მიაჩნია დასრულებულ ამბავში გაბნეული სათქმელის ამოსაცნობი ელემენტები, ეშინია, მკითხველმა დეკოდირების გარეშე არ დატოვოს ტექსტი, ამიტომ იჭრება მასში, – მოთხრობაში და არა ამბავში, რომლისგანაც დისტანცირებულია, მაგრამ მხოლოდ ფორმალურად. ამიტომ მკითხველს მიანიშნებს, რომ, თუმცაღა ამბავს წერტილი დაუსვა, მოთხრობა ჯერ არ დასრულებულა. ამ პასაჟიდან ირკვევა, რომ დასრულებული ამბავი დასათაურებულიც არ არის. წერტილის შემდგომ განვითარებული მოვლენების გარეშე მოთხრობას, სავარაუდოდ, სხვა სათაური ექნებოდა, მაგრამ ფაქტია, ავტორმა მას ისეთი სათაური შეურჩია, რომლის დეკოდირებაც თითქმის წარმოუდგენელია მხოლოდ ამბის წაკითხვით, მოთხრობის სრულად წაკითხვის გარეშე.

მოთხრობის დასასრულს მწერალს შემოჰყავს ახალი პერსონაჟი – „ქალიშვილი“. რევაზ ინანიშვილს ორი ვაჟი ჰყავდა. გამოდის, რომ „მწერლის ქალიშვილი“ გამოგონილი პერსონაჟია. თუ ასეა, იქნებ მწერალიც გამოგონილია? იქნებ ისიც, როგორც „მწერლის ქალიშვილი“, მოთხრობის მხატვრული სამყაროს ნაწილია? ვინაიდან თხრობა პირველ პირშია და პერსონაჟი მწერალია, მკითხველი იბნევა, მას უჭირს, დაინახოს მკრთალი საზღვარი რეალობასა და გამონაგონს შორის. ამიტომაც ვთქვი წერილის დასაწყისში, რომ რევაზ ინანიშვილის რამდენიმე პერსონაჟი გულუბრყვილო მკითხველს აბნევს და სანამ მკითხველი კარგად არ გაერკვევა მკითხველისა და პერსონაჟების ტიპებში, გაუჭირდება მოთხრობაში ჩაშიფრული მწერლის სათქმელის ამოცნობა.

ვინ არის „მწერლის ქალიშვილი“, რა მიზნით შემოჰყავს ავტორს ის მოთხრობაში? „მწერლის ქალიშვილი“ დამხმარე პერსონა-

> პერსონაჟთა დაჯგუფებისას უმეტესად მაინც მარტივი პრინციპით ვხელმძღვანელობთ და მათ მთავარ და არამთავარ, ძირითად და მეორეხარისხოვან პერსონაჟებად ვყოფთ. თუმცა არსებობს სხვა კლასიფიკაციებიც და ლიტერატურათმცოდნეები იცნობენ პერსონაჟთა სხვა ტიპებსაც.

ჟია და მისი დახმარების გარეშე წარმოუდგენელია მოთხრობის სრულყოფილად გაგება. ის პერსონიფიცირებული მკითხველია. რა სურს ავტორს? ცხადია, მისი ბუნებრივი სურვილია, ნაწარმოების გამოქვეყნებამდე ამოიცნოს მკითხველის რეაქცია. ამ მიზნით მწერალი ახდენს თვითრეფლექსიას და ინტროსპექციას და „ქალიშვილის“ პირით გამოაქვს განაჩენი საკუთარი თავისთვის: ნაწარმოებმა ვერ გაუბრწყინა თვალები ქალიშვილს, ე.ი. მწერალი ხვდება, რომ, მიუხედავად მონდომებისა, მისი მონათხრობი ვერ აღაფრთოვანებს კონკრეტულ აუდიტორიას. პერსონაჟ მწერალს მოსწონს თავისი ნაწარმოები (მოთხრობის პირველი ნაწილი), მაგრამ რომ არა მოთხრობის ასეთი დასასრული, შესაძლოა, მწერალ რევაზ ინანიშვილისთვის ნაწარმოებს კმაყოფილება ვერ მოეტანა. სწორედ ქალიშვილის კრიტიკა, რომელიც ვითომ მას, მწერალ რევაზ ინანიშვილს მიემართება, მაგრამ რომლის ადრესატიც სინამდვილეში პერსონაჟი მწერალია, ხდის მოთხრობას ირონიულს და პერსონაჟი მწერლის თვითირონია უკვე ნამდვილ მწერალს ანიჭებს კმაყოფილებას.

მკითხველის ირონია, რომელიც მწერლის ქალიშვილის სიტყვებში იგრძნობა, სინამდვილეში მწერალ რევაზ ინანიშვილის თვითირონიაა. რევაზ ინანიშვილი თვითირონიულიცაა და იმავდროულად დელიკატურად ირონიულიც იმ მკითხველის მიმართ, რომელიც პერსონაჟ მწერალს ნამდვილ ავტორთან გააიგივებს. ამ მხატვრული ხერხით, არაჩვეულებრივი ლიტერატურული მიგნებით, ის ცდილობს, აირიდოს მკითხველის კრიტიკა, თანაც ისე ოსტატურად, რომ მკითხველი ვერც კი ხვდება, როგორ გაიხადა ავტორმა მოკავშირედ. სხვა შემთხვევაში მწერალს შესაძლოა მკითხველის რისხვა დასტყდომოდა თავს, მაგრამ ახლა მკითხველი ინდობს მას, რადგან სურს, „ქალიშვილის“ ულმობელი განაჩენისგან დაიცვას.

ამრიგად, პერსონაჟი მწერალი, რომელიც მოთხრობაში მას შემდეგ გამოჩნდება, რაც ამბავს წერტილს დაუსვამს, მოთხრობილი ამბის ავტორია, ხოლო მოთხრობის ავტორი რევაზ ინანიშვილია და გამჭრიახი მკითხველი ამ ორს ერთმანეთთან არ გააიგივებს, მიუხედავად იმისა, რომ მოთხრობის მეორე ნაწილი პირველ პირშია დაწერილი.

ახლა კი ვნახოთ, როგორ გაიხადა ავტორმა რევაზ ინანიშვილმა მკითხველი მოკავშირედ. ამისთვის ავხსნათ, რამდენად სიმბოლური პერსონაჟია მწერლის ქალიშვილი. სამწუხაროდ, რევაზ ინანიშვილი მის შესახებ არაფერს გვეუბნება, მაგრამ მკითხველისთვის წარმოდგენის შესაქმნელად სავსებით საკმარისია ის ინფორმაცია, რაც მოთხრობაში მოიპოვება მასზე. ქალიშვილი, სავარაუდოდ, ახალგაზრდაა და ის ფაქტი, რომ ქალიშვილის გემოვნება რადიკალურად განსხვავდება მამის გემოვნებისგან, ორი თაობის განსხვავებაზე მიუთითებს. ქალიშვილი ახალი თაობის წარმომადგენელია. ახალგაზრდა – სოციალური ფენომენია, რომელიც ძველი, ტრადიციული ღირებულებების გაუფასურებას ახდენს. ამ ტრადიციული ღირებულებების აპოლოგეტია მწერალი, რომელიც ასევე სიმბოლური პერსონაჟია. ორი სიმბოლური პერსონაჟის შემოყვანით ავტორი თითქოს გვეუბნება, რომ თანამედროვეობა ზედაპირულია.

რას და ვის აკრიტიკებს ავტორი? ძველს, წმინდას თუ ახალს, ზედაპირულს? ვისი კრიტიკა ისმის მოთხრობაში – მწერლის როგორც ძველი თაობის წარმომადგენლის თუ ქალიშვილის როგორც ახალი თაობის გემოვნებისა და ინტერესების გამხმოვანებლის? რამდენად შლის მწერალი ზღვარს ელიტურსა და პოპულარულს შორის? როგორ აყენებს საზოგადოებაში გაბატონებულ კითხვებს: „ახალ თაობას რა მოეწონება“, „ახალი თაობა რას გაიგებს“ და „თუ ახალი თაობა ვერ გაიგებს, რად მინდა ამ საკითხებზე წერა“? ნუთუ ამგვარად ემშვიდობება ავტორი ძველ ღირებულებებს და შემოაქვს ახალი, ახალგაზრდული კულტურის სამყარო? ვისი პერსპექტივიდან დაგვანახებს ის პრობლემას?

ჩემი აზრით, პერსონაჟი ქალიშვილი სულაც არ არის ზედაპირული. ის აყენებს უმთავრეს გზავნილს, იმას, რაც სათაურად უკვე გამოიტანა მწერალმა რევაზ ინანიშვილმა: „ვითომ დაფრთხებოდნენ დამბაჩის ხმაზე ყვავები, მამა?“ რას ნიშნავს ეს ფრაზა? როგორც წესი, საზოგადოებაში ვიღაც ეწირება ამა თუ იმ ღირებულების დაცვას, მაგრამ გამართლებულია მსხვერპლი? თუ ამ მსხვერპლშეწირვის უნებლიე მოწმეები, სიმბოლური პერსონაჟები – ყვავები, დამბაჩის ხმაზე დაფრთხებიან, მსხვერპლი გამართლებულია, მაგრამ თუ დამბაჩის ხმა მათ ვერც კი დააფრთხობს, მსხვერპლშეწირვა უსარგებლოა.

ამიტომ რევაზ ინანიშვილის ამ მოთხრობის სწავლებისას საჭიროდ მიმაჩნია მეტაფიქციის როგორც მხატვრული ხერხის, გაცნობა და სათაურის/ტექსტის დეკოდირება სწორედ მისი მეშვეობით, თორემ ვერ ჩავწვდებით მთავარს, ვერ ამოვიცნობთ ავტორის გზავნილს/ჩანაფიქრს და დამარცხებული მკითხველების რიგებში გადავინაცვლებთ, ეს კი ნამდვილად არ არის მწერალ რევაზ ინანიშვილის მიზანი.

ძვირფასო მასწავლებლებო!

ჟურნალი „მასწავლებელი“ და ინტერნეტგაზეთი „Mastsavlebeli.ge“ წარმოგიდგენთ

## მასწავლებლის წიგნს:
## „ვწერ მასწავლებლისთვის“



აინშტაინს ძალიან უყვარდა ჩარლი ჩაპლინის ფილმები. განსაკუთრებით მოსწონდა ფილმი „ოქროს ციებ-ცხელება“, რომლის ნახვის შემდეგ ჩაპლინს დეპეშა გაუგზავნა: „თქვენი ფილმი მსოფლიოსათვის გასაგებია, დარწმუნებული ვარ, რომ დიდი ადამიანი გამოხვალთ“. პასუხად აინშტაინმა ასეთი შინაარსის დეპეშა მიიღო: „მე თქვენით უფრო აღფრთოვანებული ვარ. თქვენი თეორია აბსოლუტურად არ მესმის, ვერც მსოფლიო იგებს, მაგრამ თქვენ მაინც გახდით დიდი ადამიანი“.




WWW.TPDC.GE